# თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი "გორგასალი" უნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

# „თანამედროვეობა თეორია და პრაქტიკა"

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2014

უნივერსიტეტი კლასიკური განმარტებით – პროფესორთა და სტუდენტთა ერთობლიობა ან კორპორაციაა, რომელიც ახორციელებს სწავლებასა და კვლევას, ანიჭებს აკადემიურ ხარისხს. ემსახურება ცოდნის შენახვას, გავრცელებას, შექმნას და ეფუძნება აზრის თავისუფლების იდეას.

თანამედროვე მსოფლიოში, უნივერსიტეტი ადამიანს, ნებისმიერ ასაკში, უნდა აძლევდეს არა მხოლოდ პროფესიული განვითარების შანსს, არამედ შესაძლებლობას დააკმაყოფილოს მუდმივად ცვალებადი შრომითი ბაზრის გაზრდილი მოთხოვნები. ზემოაღნიშნული მიიღწევა უწყვეტი განათლების, ანუ სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში, გზით.

ჩვენი უნივერსიტეტ ის ადგილია, სადაც სტუდენტმა შეიძლება მიიღოს კარგი თეორიული ცოდნა. გამოიმუშაოს პრაქტიკული უნარ-რჩევები და ჩამოყალიბდეს პროფესიონალად. სტუდენტს დასახული მიზნების განხორციელებაში მუდმივად ხელს უწყობს ჩვენი უნივერსიტეტი, რომელიც ერთგულია იმ იდეალებისა და ღირებულებების - ადამიანს თვითრეალიზაციასა და თვითდამკვიდრებაში რომ ეხმარება.

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი ,,გორგასალი“ თავის მისიად თვლის, მოამზადოს დემოკრატიული ღირებულებისადმი ერთგული, მაღალი მოქალაქეობრივი და ეროვნული თვითშეგნების, ღრმა კომპეტენციისა და კონკურეტუნარიანი სპეციალისტების ახალი თაობა.

წარმოდგენილი სამეცნიერო კრებულის მე-6 ტომი არის ჩვენი უნივერსიტეტის პროფესურის სამეცნიერო საქმიანობის შედეგი.

რექტორი, პროფესორი: მზია ქათამაძე

*სარედაქციო კოლეგია:* მზია ქათამაძე, ზაურ ჯინჯოლავა, მარინა შაქარაშვილი, კონსტანტინე აბულაძე

© უნივერსიტეტი „გორგასალი“ 2014

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2014
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E–mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-440-9

# სამართალი

## საქართველოს პრეზიდენტის კომპეტენცია

**ზაურ ჯინჯოლავა**
*იურიდიულ მეცნიერებათა*
*დოქტორი, პროფესორი*

პრეზიდენტის უფლებამოსილება და პოლიტიკური როლი მნიშვნელოვან წილად განისაზღვრება არსებული მმართველობის ფორმით. ცნობილია, რომ საპრეზიდენტო და ნახევრადსაპრეზიდენტო (შერეული) რესპუბლიკებში პრეზიდენტის უფლებამოსილება უფრო ფართოა, ვიდრე საპარლამენტო რესპუბლიკაში. ამიტომ, პრეზიდენტის კომპეტენციის საკითხში სწორად გასარკვევად აუცილებელია შევეხოთ სახელმწიფო მმართველობის ფორმას.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით საქართველო მმართველობის ფორმის მიხედვით იყო საპრეზიდენტო რესპუბლიკა, რომელიც აკმაყოფილებდა ყველა იმ თავისებურებას, რომელიც დამახასიათებელია საპრეზიდენტო რესპუბლიკისათვის. საქართველოს კონსტიტუციაში გარკვეული ცვლილებები შევიდა საქართველოს 2004 წლის კონსტიტუციური კანონით, რომლითაც საქართველო გახდა ნახევრადსაპრეზიდენტო (შერეული) რესპუბლიკა. ხოლო 2010 წლის 15 ოქტომბრის კანონით მომხდარმა კონსტიტუციურმა ცვლილებებმა და, განსაკუთრებით, პრეზიდენტის კომპეტენციების გადახალისებამ, საპარლამენტო უმრავლესობასა და მის ნდობით აღჭურვილ მთავრობას მნიშვნელოვანი უპირატესობა მიანიჭა – რეალური ხელისუფლება პრეზიდენტიდან პრემიერ-მინისტრზე გადავიდა, რამაც გამოიწვია შერეული მმართველობის საპრარლამენტო მმართველობისაკენ გადახრა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო კონსტიტუციონალობის პრაქტიკა იცნობს საპარლამენტო სისტემების ტრანფორმაციას საპრეზიდენტო მოდელისკენ. რაც შეეხება საპრეზიდენტო მმართველობიდან საპარლამენტო სისტემაზე გადასვლას, ამის მაგალითი კონსტიტუციონალობის პრაქტიკაში თითქმის არ გვხვდება. ამ მხრივ გამონაკლისია საქართველოს სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯი – საპრეზიდენტო მმართველობიდან საპარლამენტოზე გადასვლა.

ამ ნაბიჯის გადადგმის მიზეზი გახლდათ თითქოსდა ის, რომ საპრეზიდენტო მმართველობას მთელი რიგ დადებით მახასიათებლებთან ერთად გააჩნია უარყოფითიც. კერძოდ, დიდი ძალაუფლების კონცენტრაცია ერთი პირის (პრეზიდენტის) ხელში, რაც შეიცავს ამ ძალაუფლების უზურპაციის საფრთხეს. ამასთანავე, პრეზიდენტის ხელში თავმოყრილი ძალაუფლება თითქმის გაუკონტროლებელია, რადგან პარლამენტს არ გააჩნია მისი გაკონტროლების რეალური ბერკეტები. ასეთ შემთხვევაში ამ ძალაუფლების გამოყენების ხასიათი პრეზიდენტის ისეთ პიროვნულ თვისებებზე ხდება დამოკიდებული, როგორიცაა კეთილსინდისიერება, კანონმორჩილება, ობიექტურობა და სამართლიანობა. ჩვენდა სამწუხაროდ, მაშინდელ ჩვენს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს არ აღმოაჩნდა ზემოთ ჩამოთვლილი თვისებები და მან დაიწყო ძალაუფლების თვითნებურად და ბოროტად გამოყენება, რამაც ქვეყანას ავტორიტარიზმისაკენ უბიძგა. გამოდის, რომ მთავარი შიში, რომელმაც ქართველ კანონმდებელს საპრეზიდენტო მოდელიდან საპარლამენტო მმართველობისაკენ უბიძგა, ეს იყო გაუკონტროლებელი საპრეზიდენტო ძალაუფლების შიში და მისი საპარლამენტო კონტროლსადმი დაქვემდებარების პოოლიტიკური მიზნები.

როგორც ვხედავთ, პარლამენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები, ერთი შეხედვით, სრულიად მოსაწონი და მისაღები უნდა იყოს საზოგადოების ფართო ფენებისათვის. მაგრამ ეს ერთი შეხედვით, სინამდვილეში კი ამ ცვლილებების შეტანით მმართველ პარტიას – ნაციონალურ მოძრაობას სულ სხვა მიზნები ჰქონდა. კერძოდ, საქმე იმაშია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 70–ე მუხლის ძალით ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. მაშინდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი არჩეული იყო მეორედ. მისი მესამე ვადით არჩევის უფლებას კონსტიტუცია არ იძლევა, ამიტომ ნაციონალებმა გადაწყვიტეს საპრეზიდენტო მოდელის შეცვლა დაახლოებით საპარლამენტო მოდელით. მათ ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ პარლამენტში მოიპოვებდნენ უმრავლესობას. ხოლო უმრავლესობამოპოვებული პარტიის ლიდერს დანიშნავდნენ პრემიერ–მინისტრად. ამით შეიზღუდებოდა პრეზიდენტის ძალაუფლება და გაძლიერდებოდა პრემიერ–მინისტრის ძალაუფლება. ე.ი. მთელი უფლებამოსილების კონცენტრაცია მოხდებოდა ისევ მიხეილ სააკაშვილის ხელში. მაგრამ, მათ ამ მიზანს ვერ მიაღწიეს, ვერ მოიპოვეს უმრავლესობა პარლამენტში და ბუნებრივია, ვერც სააკაშვილი მოიყვანეს პრემიერ–მინისტრად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ცვლილებები მიღებული იქნა 2010 წლის 15 ოქტომბრის კანონით, მაგრამ მისი ძირითადი დებულებები ძალაში უნდა შესულიყო 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან. როგორც ვხედავთ, ცვლილებები მიიღეს 2010 წელს, მაგრამ ისინი ძალაში უნდა შესულიყო 2013 წლიდან, სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ.

ბუნებრივია, ამ ცვლილებებით მოხდა შერეული

მმართველობის მოდელის საპარლამენტო სისტემისაკენ ტრანსფორმაცია. პრეზიდენტი საბოლოოდ დისტანცირებული იქნა აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან – შეიზღუდა მისი გავლენა მთავრობის საქმიანობაზე.

2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებიდან ამოქმედებული ცვლილებების თანახმად, პრეზიდენტს აღარ გააჩნია:

ა) მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა აქტების დამოიუკიდებლად შეჩერებისა და გაუქმების უფლებამოსილება (ადრე იგი ამ უფლებას ფლობდა);

ბ) მთავრობის მიერ უფლებამოსილების მოხსნა დაკავშირებულია საპარალამენტო არჩევნებთან და მთავრობის ფორმირება არ უკავშირდება საპრეზიდენტო არჩევნებს;

გ) ახალი პრემიერ–მინისტრის კანდიდატურის დასახელება საპარლამენტო უმრავლესობის უფლებამოსილებაა, პრეზიდენტის როლი მხოლოდ ფორმალურია;

დ) თუ ადრე პრეზიდენტს, მართალია ფორმალურად, თითქოსდა შეზღუდული, მაგრამ გააჩნდა საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. მან ეს უფლება დაკარგა;

ე) თუ ადრე მთავრობა პასუხისმგებელი იყო როგორც პარლამენტის, ასევე პრეზიდენტის წინაშე, ცვლილებებით მთავრობა პასუხისმგებელია მხოლოდ პარლამენტის წინაშე. შესაბამისად, პრეზიდენტს არ შეუძლია საკუთარი ინიციატივით დაითხოვოს მთავრობა;

ვ) პრემიერ–მონისტრს უფლება აქვს დამოუკიდებლად, პრეზიდენტთან შეთანხმების გარეშე დააკომპლექტოს მთავრობის შემადგენლობა და ნდობის მოსაპოვებლად წარუდგინოს პარლამენტს;

ზ) ადრე თუ პრეზიდენტს უფლება ქონდა საკუთარი

ინიციატივით და საკუთარი დღის წესრიგის მიხედვით მოეწვია პარლამენტის რიგგარეშე სხდომა, ახალი რედაქციით მას ამის უფლება არ აქვს;

თ) ახალი რედაქციით პრეზიდენტს აეკრძალა პარტიული თანამდებობის შეთავსება;

ი) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებას. ცვლილებებით პრეზიდენტი არ განიხილება როგორც სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში. ის საგარეო უფლებამოსილებებს მხოლოდ მთავრობასთან შეთანხმებით განახორციელებს, მთავრობისგან კონტრასიგნაციის შემთხვევაში უფლებამოსილია დადოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და მთავრობის წარდგინებით დანიშნოს ელჩები. საქართველოს კონსტიტუციის 73–ე მუხლის პირველი პუნქტში გარკვევითაა ნათქვამი, რომ საქართველოს პრეზიდენტი მთავრობასთან შეთანხმებით აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. ე.ი. როგორც ვხედავთ საერთაშორისო ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს პრეზიდენტი დებს არა დამოუკიდებლად, არამედ მთავრობასთან შეთანხმებით. ამიტომ, ბუნებრივია, ჩემთვის გაუგებარია ის აჟიოტაჟი, რომელიც გამოიწვია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე პრემიერ-მინისტრის ხელმოწერამ.

პრეზიდენტის უფლებამოსილების შეზღუდვის მიუხედავად პრეზიდენტს რჩება მთელი რიგი უფლებამოსილებისა, რის გამოც მან პოლიტიკურ ლექსიკაში მიიღო "წყვეტილად მბჟუტავი პრეზიდენტის" სახელი. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ არ შეცვლილა საქართველოს პრეზიდენტის არჩევის პირდაპირი, საყოველთაო წესი, მას აქვს პარლამენტსი დათხოვნის უფლება და ვეტოს გამოყენების

უფლება, რის გამოც პრეზიდენტი კვლავაც რჩება დიდი ლეგიტიმაციის მქონე პოლიტიკურ ფიგურად.

ცვლილებებით ამომწურავად იქნა გათვალისწინებული პარლამენტის დათხოვნის შემთხვევები. პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ორ შემთხვევაში:

1. პირველი დაკავშირებულია მთავრობის მიერ პარლამენტში ნდობის მოპოვებასთან, როგორც კონსტიტუციითაა გათვალისწინებული. ახალარჩეული პარლამენტის წინაშე მთავრობა იხსნის უფლებამოსილებას და პრემიერ–მინისტრობის კანდიდატად სახელდება საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი კანდიდატურა. თუ ამ წესით პრეზიდენტის მიერ დასახელებული პრემიერის მიერ შერჩეული მთავრობის შემადგენლობა ვერ მიიღებს პარლამენტის ნდობას, 30 დღის ვადაში შედგება განმეორებითი კენჭისყრა. ნდობის არ გამოცხადების შემთხვევაში პრეზიდენტი წამოაყენებს პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის 2/5–ის მიერ წარმოდგენილ პრემიერ–მინისტრის კანდიდატურას. ამ წესით დასახელებული მთავრობის მეთაურობის კანდიდატი, პარლამენტს თხოვს მის მიერ დაკომპლექტებული სამთავრობო შემადგენლობისადმი ნდობის გამოცხადებას. თუ პარლამენტი ამ შემთხვევაშიც არ გამოუცხადებს ნდობას მთავრობას, პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.

2. მეორე შემთხვევა დაკავშირებულია მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურასთან. უნდობლობის აღძვრის ინიციატივს მხარს უნდა უჭერდეს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ამავე დროს, დეპუტატთა 2/5–მა უნდა დაასახელოს ახალი პრემიერ–მინისტრის კანდიდატურა. პრეზიდენტის მიერ ახალი

პრემიერ–მინისტრის კანდიდატურის წამოყენების შემდგომ, ეს უკანასკნელი შეარჩევს მინისტრებს და წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად. თუ პარლამენტი, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით არ დაამტკიცებს მთავრობას, პრეზიდენტი უფლებამოსილია დაითხოვოს პარლამენტი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პრეზიდენტს აქვს "შეყოვნებითი" ვეტოს უფლება. პრეზიდენტი ხელს აწერს და აქვეყნებს კანონებს, ე.ი. პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტებს ის ანიჭებს იურიდიულ ძალას. პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი 7 დღის ვადაში უნდა გადაეგზავნოს პრეზიდენტს. პრეზიდენტი 10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს, მაგრამ მას უფლება აქვს ხელი არ მოაწეროს კანონს და მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნოს პარლამენტს. ასეთ შემთხვევაში პარლამენტი კენჭს უყრის პრეზიდენტის შენიშვნებს. შენიშვნათა მისაღებად საკმარისია ხმათა იგივე რაოდენობა, რაც ამ სახის კანონპროექტისათვის დადგენილია კონსტიტუციით. შენიშვნების მიღების შემთხვევაში კანონპროექტის საბოლოო რედაქცია გადაეცემა პრეზიდენტს. ეს უკანასკნელი კი 7 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს. თუ პრეზიდენტის შენიშვნები არ იქნა მიღებული პარლამენტის მიერ, კენჭი ეყრებაკანონპროექტის პირვანდელ რედაქციას. კანონის პროექტი მიღებულად ითვლება თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ორგანული კანონის პროექტი მიღებულად ჩაითვლება თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ხოლო კონსტიტუციური კანონის პროექტი მიღებულად ჩაითვლება თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი. თუ პრეზიდენტმა დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე.

საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების გარკვეულ შეზღუდვად ჩაითვლება ის გარემოება, რომ პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები, გარდა საომარი მოვალეობის დროს გამოცემული აქტებისა საჭიროებს პრემიერ–მინისტრის კონტრასიგნაციას. კონტრასიგნაციას არ საჭიროებს ბრძანება, გარდა კონსტიტუციით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა. კონტრასიგნაციას არ საჭიროებს პრეზიდენტის ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც, კონსტიტუციის შესაბამისად, გამოცემულია მთავრობის წარდგინებით ან რომელზედაც მთავრობას მიცემული აქვს წინასწარი თანხმობა. ასევე, კონტრასიგნაციას არ საჭიროებს პრეზიდენტის ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც უკავშირდება:

ა) პარლამენტის არჩევნების დანიშვნას და დათხოვნას. ახლადარჩეული პარლამენტის პირველის სხდომის მოწვევას. აგრეთვე, პარლამენტის რიგგარეშე სხდომის ან სესიის მოწვევას;

ბ) კანონის ხელმოწერას და გამოქვეყნებას, აგრეთვე, პარლამენტში კანონპროექტის შენიშვნებით დაბრუნებას;

გ) კონსტიტუციით განსაზღვრულ თანამდებობის პირთა წარდგენას, დანიშვნას, გათავისუფლებას და გადაყენებას, თუ კონსტიტუციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

დ) სასამართლოში, საკონსტიტუციო სასამართლოში მიმართვას;

ე) პრემიერ–მინისტრობის კანდიდატის წამოყენებას და პრემიერ–მინისტრის დანიშვნას;

ვ) მთავრობისათვის მოვალეობის შესრულების დაკისრებას;

ზ) სახელმწიფო ჯილდოებისა და სპეციალური წოდებების მინიჭებას;

თ) მოქალაქეობის მინიჭებას და შეწყვეტას;

ი) მთავრობის სხდომაზე საკითხის განხილვის მოთხოვნას;

კ) პრეზიდენტის ადმინისტრაციის და ეროვნული უშიშროების საბჭოს საქმიანობას;

ლ) საომარი მდგომარეობის გამოცხადებას და გაუქმებას;

მ) მსჯავრდებულთა შეწყალებას.

ყველა სხვა სამართლ;ებრივ აქტებზე აუცილებელია კონტრასიგნაცია. აქტი, რომელიც საჭიროებს კონტრასიგნაციას ქვეყნდება და სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ კონტრასიგნაციის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ კონტრასიგნაციის შემთხვევაში სამართლებრივ აქტზე პასუხისმგებლობა ეკისრება არა პრეზიდენტს, არამედ მთავრობას.

## ლიტერატურა:


1. საქართველოს კონსტიტუცია ცვლილებებითა და დამატებებით, თბ., 1995.
2. სუპერსაპრეზიდენტოდან საპარალამენტომდე (სტატიების კრებული), თბ., 2013.
3. გიორგი გოგიაშვილი, შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2014.
4. ქეთევან ერემაძე, ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, თბ., 2013.
5. ბადრი კოჭლამაზიშვილი, კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა, თბ., 2009.

## SUMMARY

According to the Constitutional Law by 15th September of 2010 since 2013 in Georgia semi-presidential (mixed) model of governance has been transformed to parliament model. Of course, because of these changes competencies of president have been constrained. Specifically, the president lost the right to:

- appoint the Prime Minister, give the Prime Minister consent to appoint a member of the Government – a Minister;
- be entitled, on his/her own initiative or in other cases envisaged by the Constitution, to dissolve the Government;
- to hold any party position;
- to suspend or abrogate acts of the Government and the bodies of the executive power;
- to set the date of special sitting of parliament according only his or her schedule.

According to these changes the constitutional status and functions of president have been constrained in some ways. But the rules of election of president are same, so the president still is a legitimated political body.

# მტკიცებულების ახალი სტანდარტები სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში

**ჯ. ბაბილაშვილი**
*სამართლის დოქტორი,*
*ასოცირებული პროფესორი*

მეხუთე წელია რაც საქართველოში სისხლის სამართლის საქმეთა წარმოება ახალი საპროცესო კოდექსით მიმდინარეობს. განვლილი პერიოდი, ვფიქრობთ სავსებით საკმარისი უნდა იყოს გარკვეული დასკვნების გასაკეთებლად მისი ავკარგიანობის შესახებ, თუმცა კანონმდებლობაში მიმდინარე პერმანენტული ცვლილებები და ის, რომ ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა ძველი კანონმდებლობის მთელი რიგ პრინციპულ ნორმებზე (საუბარია გამოძიებისას მოწმის დაკითხვის დროებით წესზე, მუხ. 332) უარის თქმა, მნიშვნელოვნად ართულებს ამ მისიას. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი კი ცხადყოფს, რომ ყველაზე მეტად მტკიცებულებათა მოპოვების და შესაბამისად დამაგრების პრობლემა ითხოვს ყურადღებას, რამდენადაც ყოველი კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის საბოლოო პერსპექტივა, სწორედ ამასთან არის დაკავშირებული. აღარაფერს ვამბობთ ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვასა და უსაფუძვლოდ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის და სხვა.

მტკიცებულებათა პრობლემა ყოველთვის აქტუალური იყო და მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, როგორც პრაქტიკაში ისე სისხლის საპროცესო სამართლის თეორიაში. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ სისხლის სამართლის პროცესის, როგორც სამართლებრივ მეცნიერების

ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგში, ცალკე არსებობს თეორია მტკიცებულებათა შესახებ, რომლის ფარგლებშიც დეტალურად განისაზღვრება მტკიცებისა და მტკიცებულებათა დაწვრილებითი პერიპეტიები. ასე, რომ არსებული თეორიული ბაზა სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ პრაქტიკოსმა მუშაკებმა სათანადოდ იხელმძღვანელონ კანონით შემოთავაზებული კონსტრუქციებით, მათ შორის მტკიცებისა და მტკიცებულებათა შესახებ.

ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობამ ინოვაციის სახით გაითვალისწინა მტკიცებულებათა ახალი სტანდარტები, რომლებიც პროცესის სტადიების მიხედვით ასე განაწილდა: პირველი და ყველაზე დაბალი სტანდარტი ეს არის: "დასაბუთებული ვარაუდი"- ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა.

ეს სტანდარტი განკუთვნილია და საკმარისია „საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად ან აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის". მართალია კანონმდებელი არ აზუსტებს თუ რომელი საგამოძიებო მოქმედება აქვს მას მხედველობაში, მაგრამ პრაქტიკიდან გამომდინარე, პირველ რიგში, აქ უნდა ვიგულისხმოთ ის რომელიც ყველაზე მეტად უკავშირდება ადამიანის უფლებისა და თავისუფლების დაცვას. მათ შორის: სატელეფონო საუბრის მოსმენა, საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა, ამოღება, კორესპონდენციის დაყადაღება და სხვა; ანუ ის საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა ჩასატარებლადაც სასამართლოს ნებართვაა საჭირო. მართალია, კანონი უშვებს და ნებას აძლევს საგამოძიებო ორგანოს „გადაუდებელი აუცილებლობის" შემთხვევაში არ დაელოდოს ასეთ ნებართვას და საკუთარი ინიციატივით

ჩაატაროს ესა თუ ის მოქმედება, მაგრამ ამასთან ერთად მოითხოვს, რომ მისი დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში გამოძიების ადგილის მიხედვით, პროკურორმა მოსამართლეს აცნობოს აღნიშნულის შესახებ და „გადასცეს სისხლის სამართლის საქმის მასალები (ან მათი ასლები), რომლებიც ასაბუთებენ საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობას“.

კანონი აძლევს რა გამოძიებას, ცალკეულ შემთხვევებში, დამოუკიდებელი და თავისუფალი მოქმედების საშუალებას ამავე დროს იგი მას დიდ პასუხისმგებლობასაც აკისრებს, რადგანაც მოუმზადებელი და დაუსაბუთებელი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შეიძლება მას იქით შემოუბრუნდეს შესაბამისი ნეგატიური შედეგებით – საბოლოოდ სასამართლომ ასეთი მოქმედება შეიძლება უკანონოდ ცნოს და მიღებული ინფორმაცია (ამ შემთხვევაში მტკიცებულება) დაუშვებლად მიიჩნიოს.

მტკიცებულების განსახილველი სტანდარტი, ჩვენი აზრით, საკანონმდებლო თვალსაზრისით წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს, რადგან მან, ვფიქრობთ, ბოლო მოუღო სასამრთლო პრაქტიკაში მანამდე არსებულ არც თუ ისე სახარბიელო პრაქტიკას, რაც ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების შერჩევასთან იყო დაკავშირებული. საქმე ეხებოდა სასამართლოს პრეტენზიებს მოცემულ მომენტში მტკიცებულებათა საკმარისობაზე. ხშირად მხედველობის გარეშე რჩებოდა ის, რომ განსახილველი მტკიცებულებები მოპოვებული იყო პირის დაკავებიდან 48 საათის განმავლობაში და ბუნებრივია ისინი ვერ იქნებოდა სრულყოფილი და ამომწურავი. სასამართლოები იმაზე კი არ მსჯელობდნენ, რომ შესაძლებელი იყო ბრალდებულს მართლაც ჩაედინა ინკრიმინირებული დანაშაული არამედ მოითხოვდნენ სრული ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას.

მეტიც, ზოგიერთი სასამართლო იქამდეც კი მიდიოდა, რომ სისხლის სამართლის საქმის საბოლოო პერსპექტივაზეც კი გამოთქვამდა თავის აზრს, რითაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა მისი გამოძიების საჭიროებას. საკითხისადმი ასეთი მიდგომა განსაკუთრებით უარყოფითად აისახებოდა კორუფციული პროფილის საქმეებზე - ბრალდებულის მიმართ გამოძიების მიერ პატიმრობის გამოყენების მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ხსენებული პირები სარგებლობდნენ ამით, გარბოდნენ და მიმალვით შველოდნენ თავს.

ეს საკითხი თავის დროზე საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოზეც იყო ინიცირებული გენერალური პროკურატურის მიერ და დასტურად წარდგენილი იყო უამრავი ფაქტობრივი მასალა მთელი რესპუბლიკის სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით. იყო თხოვნა შეცვლილიყო მიდგომა განსაზღვრული შემთხვევებისადმი, მართალია პოლიტიკური კონიუნქტურის გამო საბჭოს აღნიშნულზე რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიუღია, მაგრამ იუსტიციის მესვეურების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, პირველ რიგში ეს უნდა ითქვას საქართველოს უზენაეს სასამართლოზე, იმედისმომცემი იყო შექმნილი არაჯანსაღი ვითარების გამოსასწორებლად.

ასე რომ, მტკიცებულებათა ახალ სტანდარტს, რომელიც დასაბუთებულ ვარაუდს შეეხება პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესახებ, ჩვენს სინამდვილეში, საკმაოდ მძიმე პრეისტორია გააჩნია.

ახლა თავად ამ სტანდარტის შესახებ. როგორც ვნახეთ, მისი განსაზღვრის დროს (სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 პუნქტში) აქცენტი კეთდება ორ პროცესუალურ მომენტზე - საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ან ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე, რისთვისაც საკმარისი უნდა იყოს კანონით გათვაისწინებული მტკიცებულებითი

სტანდარტი. საყურადღებოა, რომ აქ არაფერია ნათქვამი სისხის სამართლის პროცესის ისეთ მნიშვნელოვან სტადიაზე, როგორიცაა პირის ბრალდებულად ცნობა. აღკვეთის ღონისძიების შერჩევა ხომ პირის ბრალდებულად ცნობის შემდეგ ხდება, მისი მომდევნო უშუალო საფეხურია? თუ ეს სტანდარტი მას არ ეხება ვფიქრობთ, აქ რაღაც გაუგებრობაა: ან აქ ისიც იგულიხმება ან უბრალოდ საკანონმდებლო ხარვეზთან გვაქვს საქმე. ჩვენი აზრით, უფრო გამორჩენილი უნდა იყოს, რადგან საგამოძიებო მოქმედებაში შეუძლებელია ვიგულისხმოთ პირის ბრალდებულად ცნობაც, ვინაიდან საგამოძიებო მოქმედება ტარდება საქმეზე მტკიცებულებათა შესაკრებად ან შესამოწმებლად. როგორც წესი, მას გამომძიებელი ატარებს. პირის ბრალდებულად ცნობა კი, კანონით მხოლოდ პროკურორის პრეროგატივაა. რაც შეეხება პირისათვის აღმკვეთი ღონისძიების შერჩევას, ეს საკითხი ისმის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირი უკვე ბრალდებულად არის ცნობილი და პროცესუალურად აღნიშნული სტატუსის განსაზღვრას სინქრონულად მოსდევს აღკვეთის ღონისძიების შერჩევა და მისი შეფარდება. ასე რომ, თუკი რამე მტკიცებულებით სტანდარტზეა საუბარი, პირველ რიგში იგი პირის ბრალდებულად ცნობის დადგენილების დასაბუთებულობისაკენ უნდა იყოს მიმართული, რამდენადაც საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან შედარებით ეს საპროცესო მოქმედება უფრო მნიშვნელოვანი, ძირითადი და განმსაზღვრელია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ საქმე გვაქვს საკანონმდებლო ხარვეზთან, რაც სამომავლოდ აუცილებლად უნდა გასწორდეს და სსსკ-ს მე-3 მუხლის 11 პუნქტში მოყვანილი მტკიცებულებითი სტანდარტის ადრესატებს შორის პირის ბრალდებულად ცნობაც უნდა იყოს გათვალისწინებული.

საგულისხმოა, რომ თვდაპირველად საქართველოს სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის კანონ-პროექტში მტკიცებულებითი სტანდარტის პირველ და შედარებით დაბალ საფეხურად გათვალისწინებული იყო ,,საფუძვლიანი ეჭვი", რაც შემდგომ „დასაბუთებული ვარაუდით" შეიცვალა, რითაც, ჩვენი აზრით, არაფერი შეცვლილა, რადგან ეჭვიც და ვარაუდიც არ გამორიცხავს იმას, რომ ცალკეულ გამონაკლის შემთხვევებში პირს არ ქონდეს ჩადენილი დანაშაული და მასზე ეჭვი იყოს მიტანილი. თვითონ კანონის განმარტება, რომ ,,განსაზღვრული ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს ,რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა" არ გამორიცხავს ამას, რადგან ,, დანაშაულის შესაძლო ჩადენა" ეს არ არის მითითება საბოლოო ჭეშმარიტებაზე - რომ პირმა, მართლაც ჩაიდინა დანაშაული. კანონით ეს ფუნქცია მესამე მტკიცებულებით სტანდარტს აკისრია, რაც შესაბამისად უნდა აისახოს სასამართლოს განაჩენში. ჩვენ როგორც არ უნდა გავაძლიეროთ სიტყვებით ,,საფუძვლიანი ეჭვიც" და ,,დასაბუთებული ვარაუდიც" ორივე ასეთად რჩება, რადგან პროცესის მოცემულ სტადიაზე შეკრებილ მტკიცებულებათა დეფიციტის გამო, რაც თავის მხრივ დროის ლიმიტითაა გაპირობებული. პროკურატურას, როგორც წესი, გამოძიების გაგრძელებისა და შესაბამისი მტკიცებულებითი ბაზის განმტკიცების გარეშე ჯერ კიდევ არ შეუძლია გადჭრით ამტკიცოს, რომ კონკრეტულმა პირმა მართლაც ჩიდინა ინკრიმინირებული დანაშაული. რა თქმა უნდა, ეს ყველა დანაშაულებრივ შემთხვევას არ ეხება, რადგან არის კატეგორია დანაშაულებისა, რომლის დროსაც გამოძიებას საკმაო დრო აქვს მტკიცებულებათა შეკრებისათვის. მაგალითად: ეკონომიკური ხასიათის და სხვა ისეთი დანაშაულები, რომელთა

ჩამდენი პირის დაკავებაც გადაუდებელ აუცილებლობას არ წარმოადგენს. არის სხვა შემთხვევებიც, როდესაც მიხედავად იმისა, რომ პირის დაკავება 48 საათიანი რეჟიმით არის ლიმიტირებული, დანაშაულის თავისებურება და მოვლენათა შემდგომი განვითარება იმ თავითვე იძლევა მყარ საფუძველს პირისათვის ბრალდების წასაყენებლად – ვთქვათ პირის გამოცხადება მკვლელობაში ბრალის აღიარებით, დანაშაულის იარაღის წარდგენითა და ქმედების მოტივაციის დამაჯერებელი განმარტებით, სავსებით უნდა აკმაყოფილებდეს მტკიცებულებითი განსახილველი სტანდარტის მოთხოვნებს.

საყურადღებოა, რომ კანონში აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით (მუხ. 198) პირდაპირ არაფერი არ არის ნათქვამი. ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე, რაც ჩვენი აზრით, თუ ძირითად არა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარემოებად უნდა იყოს მიჩნეული კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების შერჩევის დროს. მაგალითად სსსკ-ს 198-ე მუხლის მე-5 ნაწილში აღნიშნულია, რომ „აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ითვალისწინებს: ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტს და სხვა გარემოებებს“. აღნიშნული ჩამონათვალი, როგორც ხედავთ ამომწურავი არ არის და სასამართლოს შეუძლია გაითვალისწინოს სხვა გარემოებებიც. თუმცა ძალიან გვიჭირს იმის თქმა, რომ სხვა გარემოებებში ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშულის სიმძიმეც შეიძლება იგულისხმებოდეს.[1] ამ საკითხს არ ჩავუღრმავდებით რადგან თემი-

[1] ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს „შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ“ (მუხ. 202), სადაც მითითე-

დან გადახვევა გამოგვივა, თორემ ვიტყოდით, რომ დანაშაულის სიმძიმის პრობლემა რატომღაც უგულვებელ-ყოფილია დღევანდელ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში საერთოდ, თვით აღკვეთის ღონისძიების სახეების რეგლამენტაციის დროსაც კი, რაც არ გვგონია ხელს უწყობდეს დამნაშავეობის პრევენციას.

ვთქვათ, პირმა ჩაიდინა განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში (შურისძიების ნიადაგზე მოკლა ორი კაცი) ბრალის აღიარებით, გამოცხადდა პოლიციაში, წარადგინა ცეცხლსასროლი იარაღი, რითაც ჩაიდინა დანაშალი და გულწრფელად აღიარა ყველაფერი. დანაშაულის შედეგად დაზარალებული მხარე უკიდურესად აგრესიულად განეწყო, მკვლელს გადაუწვეს სახლ-კარი და დაემუქრნენ მოკვლით. არ მოიპოვება გარემოება, რაც აუცილებელია პირის დასაპატიმრებლად სსსკ-ს 205-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად. შეიძლება ასეთი მძიმე ბრალდებით დაკავებული პირი მოცემულ სიტუაციაში გავათავისუფლოდ და სხვა უფრო მსუბუქ აღმკვეთ ღონისძიებაზე ვიმსჯელოთ? ვფიქრობთ პასუხი ცალსახად უარყოფითი უნდა იყოს და, რაღა თქმა უნდა, ასეც ხდება სინამდვილეში – საგამოძიებო პრაქტიკიდან შეიძლება არაერთი მაგალითის მოყვანა, როდესაც სწორედ წარდგენილი ბრალდების სიმძიმის გამო პროკურატურა იძულებულია პირის მიმართ მოითხოვოს აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობის შეფარდება, რასაც სასამართლო, სავსებით სწორად, ეთანხმება კიდეც.

თუ მტკიცებულებითი პირველი სტანდარტი – ,,დასაბუთებული ვარაუდი“ ინკრიმინირებული დანაშაულის

---

ბულია, რომ იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს „ მხოლოდ იმ დანაშაულის საქმეზე, რომელიც სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთ წელზე მეტი ვადით“.

შესაძლო ჩადენის შესახებ, გათვალისწინებულია საქმის გამოძიების სტადიაზე მისაღები მნიშვნელოვანი პროცესუალური გადაწყვეტილებების მისაღებად (პირველ რიგში აღკვეთის ღონისძიების შესარჩევად) შემდგომი (პირობითად ვამბობთ) მეორე მტკიცებულებითი სტანდარტი ,,ალბათობის მაღალი ხარისხი“ გამოიყენება წინა სასამართლო ხდომის შედეგებთან დაკავშირებით.

სსსკ-ს მე-3 მუხლის მე-12 ნაწილში ,,ალბათობის მაღალი ხარისხი“ განმარტებულია როგორც ,,წინა სასამართლო სხდომაზე წარდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობად, რომელიც დამაკმაყოფილებელია სხდომის მოსამართლისათვის, რათა ვარაუდის მაღალი ხარისხით იქნეს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი“. როგორც ვხედავთ, მოცემული სტანდარტი განკუთვნილია, მხოლოდ მოსამართლისათვის შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად. როგორც ცნობილია, ამ სტადიაზე საქმეზე გამოძიება დამთავრებულია და მასალები წარდგენილია სასამართლოში პროკურატურის მიერ საქმის შემდგომი (არსებითი) განხილვისათვის ბრალდებული პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. პოცესის ამ სტადიზე სასამართლო პრაქტიკულად ამოწმებს მხარეების მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, იმაში დასარწმუნებლად, რომ შესაძლებელია თუ არა აღნიშნული მტკიცებულებების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა, საქმის არსებითად განხილვის შემთხვევაში.

განსახილველ სტანდარტში აქცენტი კეთდება „მაღალი ხარისხის ვარაუდზე“ რომლის არსებობის შემთხვევაშიც შეიძლება გამოტანილი იქნეს გამამტყუნებელი განაჩენი. მოსამართლის ეს დასკვნა იძლევა საშუალებას საქმის განხილვის პროცესმა შემდგომ სტადიაზე გადაინაცვლოს და დაინიშნოს საქმის არსებითი განხილვა. სხვა სიტყვებით რომ

ვთქვათ, მოსამართლე უნდა დარწმუნდეს, რომ ბრალდების მიერ წარმოდგენილი ლეგიტიმური მტკიცებულებებით პირი მხილებულია დანაშაულში და არსებობს პერსპექტივა საქმის შემდგომი არსებითი განხილვის დროს მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.

ჩვენი აზრით, ამ სტანდარტში რაიმე ახალი და განსაკუთრებული არაფერია, რაც მანამდე უცნობი იყო სისხლის სამართლის წარმოებისთვის საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ნაწილში. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რამდენადაც წინასასამართლო სხდომა (რასაც ადრე, სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომა ერქვა ) ფორმატის მიუხედავად ერთსადაიმავე მიზანს ემსახურება და ემსახურებოდა - რომ არსებითი განხილვისათვის არ წასულიყო საქმე, რომელზედაც შეუძლებელი იყო გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა.

განსახილველ შემთხვევაში ჩვენს ინტერესს იწვევს სხვა გარემოება - კანონმდებელმა შემოთავაზებული სტანდარტები გაანაწილა პროცესის არსებითი სტადიების მიხედვით. პირველი სტანდარტი დაეთმო გამოძიებას, კერძოდ საგამოძიებო მოქმედებასა და აღმკვეთი ღონისძიების შერჩევის კრიტერიუმებს, მეორე და მესამე სტანდარტი კი წინასასამართლო და საქმის არსებითად განხილვის დროს მისაღებ სასამართლო შემაჯამებელ გადაწყვეტილებებს. საკითხავია რომელი მტკიცებულებითი სტანდარტით უნდა იხელმძღვანელოს პროკურორმა გამოძიების დამთავრების შემდეგ საქმის სასამართლოში განსახილველად გაგზავნის საკითხის გადაწყვეტის დროს? ამის შესახებ არცერთ სტანდარტში მითითებული არ არის. იქნებ ეს სადმე იგულისხმება ან საერთოდაც არ ღირს ამაზე შეჩერება? ჩვენი აზრით ნამდვილად ღირს, რამდენადაც პროცესის თანახმად ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და უმთავრესი ეტაპი

გამოძიების დამთავრების შემდეგ, არამარტო ბრალდებულის ბედის გადასაწყვეტად, არამედ თვით პროკურორისთვისაც, რამდენადაც ამ საკითხის სწორად და კანონიერად გადაწყვეტაზეა დამოკიდებული ქვეყანაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობა და ადამიანის უფლების და თავისუფლების შესაბამისი დაცვა.

საყურადღებოა, რომ კანონით არ არის პირდაპირ რეგლამენტირებული, თუ როდიდან ითვლება გამოძიება დამთავრებულად (ჩვენ მხედველობაში გვაქვს სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოს მიერ ჩატარებული გამოძიება) და რა პირობებია ამისთვის საჭირო. მხოლოდ სსსკ-ს 208-ე მუხლის მიხედვით შეგვიძლია ამის გამოცნობა. კერძოდ, ამ მუხლის მესამე ნაწილში მითითებულია, რომ „წინასასამართლო სხდომა უნდა გაიმართოს პირის დაკავებიდან ან ბრალდებულად ცნობიდან (თუ ის არ დაუკავებიათ) არაუგვიანეს სამოცი დღისა“. ანუ გამოძიება უნდა დამთავრდეს მაქსიმუმ ორ თვეში. კანონი უშვებს გამონაკლისსაც, თუ აღნიშნულ ვადაში გამოძიება ვერ ეტევა იგი შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს გონივრულ ვადამდე მის გასაგრძელებლად.

ჩვენი აზრით, მოქმედი კანონმდებლობა მნიშვნელოვნად მოიგებდა თუ სამომვლოდ მტკიცებულებითი მეორე სტანდარტის ადრესატად პროკურატურასაც გაითვალისწინებდა. დღევანდელი პრაქტიკა სწორედ ამ გზით მიდის, როდესაც სხდომაზე გამოსული პროკურორი ცდილობს სასამართლოს დაუმტკიცოს, რომ წინასასამართლო სხდომაზე განსახილველად გამოტანილ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები „ალბათობის მაღალი ხარისხით“ იძლევიან იმის საფუძველს, რომ „ვარაუდის მაღალი ხარისხით“ სასამართლომ გამოიტანოს განაჩენი.

ეს რწმენა მას საქმის სასამართლოში გაგზავნამდეც

ჰქონდა. უფრო ზუსტად, მაშინ შეექმნა იგი და სწორედ ამის საფუძველზე მიიღო მან ასეთი გადაწყვეტილება. საქმის სასამართლოში გაგზავნამდე, პროკურორი ვალდებულია მტკიცებულებათა ერთობლიობაში და საქმის ყველა გარემოებათა გათვალისწინებით დაინახოს საქმის სასამართლო პერსპექტივა და მხოლოდ ამის შემდგომ მიიღოს მან გადაწყვეტილება. სწორედ ამ დროს უნდა გამოჩნდეს მისი პროფესიული დონე და სამართლებრივი შორსმჭვრეტელობა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი წინააღმდეგობაში მოვა კანონის იმ მოთხოვნებთან, რომელიც პროკურორს ავალდებულებს შესაბამის ვითარებაში შეწყვიტოს საქმეზე გამოძიება და პირის სისხლისსამართლებრივი დევნა (იხ. სსსკ-ს 105-ე მე-5 და მე-12 მუხლები). უფრო მეტიც, თუ იგი ამას გააკეთებს ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო, რაც პროკურორისთვის, რბილად რომ ვთქვათ, სულ ერთი არ უნდა იყოს. სსსკ-ს 219-ე მუხლის (წინასასამართლო სხდომა) თანახმად წინასასამართლო სხდომის მოსამართლე თავისი განჩინებით წყვეტს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას თუ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით არ იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა.

ჩვენი აზრით, კარგი იქნებოდა თუ მსგავსი ფორმულირება სსსკ-ს 105-ე მუხლშიც იქნებოდა გათვალისწინებული, სადაც გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძვლებია გათვალისწინებული. მართალია, ამ მუხლის პირველი ნაწილის ბ-ე პუნქტითაც შეიძლება შეწყდეს დევნა და საქმის წარმოება, მაგრამ განსახილველი ფორმულირების გათვალისწინება უფრო მეტ სიცხადეს შეიტანდა საკითხში და მტკიცეულებითი სტანდარტის მოთხოვნებზე დაყრდნობა, ლეგიტიმურობის თვალსაზრისითაც, უფრო დასაბუთებულს გახდიდა პროკურორის გადაწყვეტილებას.

კანონით გათვალისწინებული მესამე მტკიცებულებითი სტანდარტი განკუთვნილია გამამტყუნებელი განაჩენის გამომტანი სასამართლოსათვის და იგი გულისხმობს ,, გონივრულ ეჭვს მიღმა“ სასამართლოს მიერ ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში. მოცემული სტანდარტის საფუძველზე სასამართლომ უნდა შეძლოს ყველა იმ საკითხის თანმიმდევრული გადაწყვეტა რომლებიც სსსკ-ს 260-ე მუხლშია გათვალისწინებული და რის გარეშეც შეუძლებელია გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა. კერძოდ, ჩაიდინა თუ არა ბრალდებულმა სისხლისსამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, უნდა შეერაცხოს თუ არა მას ბრალად იგი და სხვა.

ერთი სიტყვით, აღნიშნული მტკიცებითი სტანდარტი გამორიცხავს, ყოველგვარ გონივრულ ეჭვს და დარწმუნებით ადასტურებს ბრალდებულის მიერ ინკრიმინირებული დანაშაულის ჩადენას.

ეს წერილი შეიძლება ამით დაგვემთავრებინა, რომ არა ერთი და უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოება, რომელზედაც ქვემოთ გვინდა შევჩერდეთ.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებისას კანონპროექტის თანდართულ განმარტებითი ბარათი ადრე მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთ ნაკლად მტკიცებულების მკაფიოდ განსაზღვრული სტანდარტების არ არსებობას მიიჩნევდა, რის საპირისპიროდაც გვთავაზობდა მტკიცებულებებისა და მტკიცების წესების ახლებურ და მარტივ სისტემას, რომელიც სამ ძირითად სტანდარტს ეყრდნობოდა (და შემდეგ ჩამოთვლილი იყო ის სტანდარტები, რომელზეც ზემოთ იყო მსჯელობა).

ცოტა არ იყოს ჩვენ გვიჭირს აღნიშნული მოხსენებითი

ბარათის ავტორების ასეთი გადაჭარბებული ოპტიმიზმის გაზიარება, რადგან შემოთავაზებული სისტემა საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით არც ახალია და არც თუ ისეთი სიმარტივით გამოირჩევა, როგორც ეს ზოგიერთს გონია. თუმცა, როგორც ზევით ითქვა, ერთგვარი პოზიტივი მაინც შეინიშნება,რაც ძირითადად პირველ სტანდარტს უკავშირდება, ყოველ შემთხვევაში დინამიკა ამ მიმართულებით სახეზეა და დანარჩენი უკვე სასამართლო პრაქტიკისა და საპროცესო სამართლის მეცნიერების საქმეა.

ნებისმიერი მტკიცებულებითი სტანდარტი ,,დასაბუთებული ვარაუდი", ,,ალბათობის მაღალი ხარისხი" თუ ,,გონივრულ ეჭვს მიღმა" შეფასებით კატეგორიას მიეკუთვნება და მათი გამოყენება ნორმის გამომყენებლის მართლშეგნებაზეა დამოკიდებული თუ როგორ ესმის მას კანონი, რამდენად სჯერა საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების და რას კარნახობს შინაგანი რწმენა.

ასე რომ მათი გამოყენება სუბიექტივიზმის გარკვეული რისკის შემცველია და ხშირად შემფასებლის პროფესიონალიზმზეა დამოკდებული. მართალია კანონმდებელი ცდილობს მოგვცეს ერთგვარი ობიექტური მასშტაბი, რამაც მდგომარეობა უნდა დააბალანსოს, მაგრამ არც ეს შეიძლება იქნეს პანაცეად მიჩნეული. აქ მთავარია შემფასებელს მიეწოდოს ის ობიექტური კრიტერიუმები, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა გააკეთოს მან ობიექტური დასკვნა მის ხელთ არსებული მტკიცებულებებიდან პირის ბრალეულობაზე. შემფასებელი კი, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ არის ნორმის გამომყენებელი სასამართლო ან პროკურორი.

როდესაც ობიექტურ მასშტაბზე ვსაუბრობთ მხედველობაში გვაქვს კანონის მითითება „ობიექტურ პირზე", რომელიც გამომდინარე ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობიდან დაიჯერებდა, რომ ბრალდებულის მიერ იყო

დანაშაული ჩადენილი (პირველი სტანდარტი).

ობიექტურ პირთა რიცხვს მიეკუთვნება თუ არა მოსამართლე? ტექსტიდან გამომდინარე არა, თუმცა მოსამართლე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების დროს ითვალისწინებს მიუდგომელი პირის პოზიციას მტკიცებულებათა დამაჯერებლობასთან დაკავშირებით.

სულ სხვა ვითარებაა მეორე სტანდარტის შემთხვევაში. აქ უკვე ობიექტური პირის მაგივრად მითითებულია პირდაპირ მოსამართლე, რომელმაც უნდა განსაზღვროს ალბათობის მაღალი ხარისხი საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. ე.ი. ის ობიექტური მასშტაბი, რაზეც პირველ სტანდარტში იყო საუბარი, აქ აღარ მოქმედებს. რატომ? აქ აღარ გვჭირდება შეფასების ობიექტური სისტემა? თუ ადგილი აქვს არათანამიმდევრობას?

ცნობილია, რომ პროცესის აღნიშნულ სტადიაზეც შეკრებილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე წყდება პირის მიერ ინკრიმინირებულ დანაშაულში ბრალეულობის საკითხი, რასთან დაკავშირებითაც სასამართლო უფლებამოსილია დაუსაბუთებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა. ამ კონტექსტში სრულებითაც ვერ ჯდება მარტო მოსამართლის ვარაუდის მაღალი ხარისხი გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის პერსპექტივასთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, წინასასამართლო სხდომაზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობის შესაფასებლად აქ უნდა ყოფილიყო ,,ობიექტური პირის“ მასშტაბიც. ჩვენი აზრით, ეს კანონის ხარვეზად უნდა მივიჩნიოთ და იქნებ ვიფიქროთ სამომავლოდ მის გასწორებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ირღვევა თანმიმდევრულობა და ეჭვის ქვეშ დგება კანონში ობიექტური მასშტაბის საჭიროება.

ამ მხრივ ვერაფერს ვიტყვით მესამე სტანდარტზე, სადაც სავსებით სწორად კეთდება მითითება ,,ობიქტურ პირზე“, რომელსაც სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი უეჭველად დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.

როდესაც მტკიცებულებითი ახალი სტანდარტების შესახებ მოგახსენებთ, საქმეში ჩაუხედავ მკითხველს არ უნდა შეექმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს აღნიშნული სტანდარტების შემოღებამდე ქვეყანა, გამოძიება და საერთოდ მართლმსაჯულება გამოუვალ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. რა თქმა უნდა, არა. მტკიცებულებათა სტანდარტები მაშინ სხვა იყო, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ ღირებულება და წარმატებით გამოიყენებიან კონტინენტალური ევროპის რიგ ქვეყნებში დამნაშავეობასთან საბრძოლველად.[2]

ცალკეული მტკიცებულებების შესაფასებლად კანონი განმარტავდა და დღესაც განმარტავს თუ რა შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ იგი სარწმუნოდ და დავეყრდნოთ გადაწყვეტილების მიღებისას. მაგალითად, ბრალდებულის აღიარებითი ჩვენების (მის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ) სანდოობის შემოწმებისას თვითონ კანონივე მოითხოვს და მიუთითებს, რომ იგი მისაღებად ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, თუ დასტურდება პირის ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებებით (მუხ.74-ე). თავისთავად მარტო აღიარება, თუ მისი შემოწმება ვერ ხერხდება, ჯერ კიდევ ვერ იქნება უტყუარ მტკიცებულებად მიჩნეული, რამდენადაც, როგორც პრაქტიკით დასტურდება აღიარების მოტივაცია შეიძლება მრავამლნაირი იყოს (უფრო მძიმე დანაშაულისთვის მოსალოდნელი პასუხისმგებლობის

---

[2] დაწვრილებით იხილეთ „დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი“ კ. გუცენკოსა და სხვათა ავტორობით; თბ; 2007 წ.

თავიდან აცილება, ზეწოლა დაინტერესებული პირების მხრიდან, რათა ბრალდებულმა თავისთავზე აიღოს ჩადენილი დანაშაული, პირადი დაინტერესება და სხვა).

ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მეთოდიკა პრაქტიკულად ყოველთვის ითვალისწინებს კრიტიკულ მიდგომას მოპოვებული მტკიცებულებებისადმი.რაც საშუალებას აძლევს გამოძიებას თავიდანვე გულდასმით შეამოწმოს მიღებული სამხილის სანდოობა. აღარაფერს ვამბობთ თვით საგამოძიებო მოქმედებების საკანონმდებლო რეგლამენტაციაზე, რაც დამატებით გარანტიას იძლევა მცდარი დასკვნებისგან თავის ასარიდებლად.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლი ეთმობა მტკიცებულების შეფასებას, რომელსაც სამი კომპონენტით ახასიათებს. ესაა: სისხლისსამართლის საქმესთან მისი რელევანტურობა, დასაშვებობა და უტყუარობა.[3] ,,რელევანტურობა“ უცხოური სიტყვაა და მოცემულ შემთხვევაში ვფიქრობთ საქმესთან დაკავშირებულ მტკიცებულებად უნდა იყოს გაგებული.[4] ადრე მოქმედი კოდექსით

---

[3] საგულისხმოა, რომ სიტყვა „უტყუარობა“, როგორც მტკიცებულების მახასიათებელი, ზემოთ განხილულ არც ერთ სტანდარტში არ არის ნახსენები.

[4] რელევანტურობა ინგლისური წარმოშობის სიტყვაა და იგი სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე პირადად როგორც ერთი რიგითი მოქალაქე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ საერთოდ კანონმდებლობაში და კერძოდ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის კოდექსებში ასე უხვად უცხო სიტყვების გამოყენებისა, მაშინ როდესაც ქართულ ენაში არ არის ამის აუცილებლობა. კანონები ხომ ხალხისთვის იწერება. მათი ადრესატი ხომ საზოგადოების ფართო ფენებია, რომლებისთვისაც კანონის ენა უნდა იყოს მარტივი (და არა პრიმიტიული) და ადვილად გასაგები, რაც იურისპრუდენციაში სამართალდარღვევათა პრევენციის ანაბანად არის მიჩნეული.

ეს მიმართება განმარტებული იყო, როგორც მტკიცებულების დამოკიდებულება სისხლის სამართლის საქმესთან. ჩვენი აზრით, ახალი კოდექსის ეს განმარტება უფრო ნათელს ხდის მტკიცებულების შესაფასებელ კომპონენტს, რომ იგი უნდა უკავშირდებოდეს მტკიცების საგანს ანუ იმ დანაშაულის ნიშნებს, რომლის არსებობაზეც გამოძიება მიუთითებს (ქმედებას აძლევს შესაბამის იურიდიულ კვალიფიკაციას) და შესაბამისად პირს ბრალს სდებს მის ჩადენაში. ასე რომ მტკიცების საგნის შინაარსის გარკვევა წარმოუდგენელია სისხლის სამართლის შესაბამისი ნორმების გარეშე. რის მიხედვითაც დაკვალიფიცირებულია გამოსაძიებელი თუ განსახილველი დანაშაულებრივი ქმედება. ვთქვათ მიმდინარეობს ქურდობის ფაქტის გამოძიება. სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ნორმის კვალიფიკაციის ფარგლებში გამოძიებამ უნდა დაამტკიცოს ყველა ის ნიშანი, რომლითაც ეს ქმედება ხასიათდება და რა ნიშნითაც განსხვავდება იგი სხვა მომიჯნავე ქმედებებისგან (ვთქვათ ყაჩაღობისგან, ძარცვისგან და სხვა). აღარაფერს ვამბობთ სხვა გარემოებებზე. კანონმდებელი ამით პრაქტიკულად განსაზღვრავს მტკიცების ფარგლებს - სასამართლოს და მხარეებს იცავს იმ ზედმეტი და ზოგჯერ ფუჭი ძალისხმევისაგან, რაც ზოგადი და არაფრისმთქმელი გარემოებების გამოკვლევასთან არის ხოლმე დაკავშირებული და რასაც არანაირი კავშირი არ აქვს არსებითად სისხლის სამართლის საქმესთან.

საპროცესო სამართლის ლიტერატურაში, ისე როგორც კანონმდებლობაში მიღებული იყო, რომ საკანონმდებლო წესით განსაზღვრულიყო ის გარემოებები, რომელთა და-

---

მითუმეტეს როცა საქმე გვაქვს ამა თუ იმ ქმედების დანაშაულად გამოცხადებასთან და მის გამოძიებას და საერთოდ მართლმსაჯულების განხორციელების პროცედურებთან. აღარაფერს ვამბობთ საკუთრივ ქართული ენის ინტერესებზე საერთოდ და სხვა.

მტკიცებაც სავალდებულო იყო ყველა სისხლი სამართლის საქმის გარემოებებისა თუ სასამართლო განხილვის დროს. მაგალითად, ადრე მოქმედ სსსკ–ს 112 მუხლში ისინი ჩამოთვლილი იყო, ანუ ზოგადად განსაზღვრული იყო მტკიცების ფარგლების ის სავალდებულო მინიმუმი, რომელშიც მტკიცების საგანიც შედიოდა და რის საფუძველზეც უნდა ყოფილიყო აგებული პირის მიმართ წარდგენილი ბრალდება თუ გამოტანილი განაჩენი. ზემოხსენებული ნორმის თანახმად საქმეზე უნდა დამტკიცებულიყო: ა) ბრალდებულის ან სხვა პირის მოქმედება (უმოქმედობა); ბ) მისი მართლსაწინააღმდეგო ხასიათი; გ) ბრალი; დ) გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენდნენ ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებდნენ მის პიროვნებას; ე) დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ხასიათი და ოდენობა.

სისხლის სამართლის ახალმა საპროცესო კანონმდებლობამ შესაბამის ნორმაზე უარი თქვა და იგი აღარ გაითვალისწინა რაც, ვფიქრობთ, მართებულად არ უნდა ჩაითვალოს. ჩვენ გვინდა თუ არა ამ თემას გვერდს ვერ ავუვლით, რადგან ჯერ ერთი ობიექტურად ამას მოითხოვს სისხლის სამართლის კანონმდებლობა და მეორეც თვით მტკიცების პროცესი. მაგალითად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53–ე მუხლი (სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები) სასამართლოს ავალდებულებს სასჯელის დანიშვნის დროს გაითვალისწინოს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ დანაშაულის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავის წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური

პირობები, ყოფაქცევა ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მისი მისწრაფება აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. ანუ ის გარემოებები, რომელთა გარეშეც პრაქტიკულად შეუძლებელია სასჯელის ინდივიდუალიზაცია სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ.[5]

ყოველივე ზემოაღნიშნულს სასამართლო ვერ გაითვალისწინებს თუ მას ხელთ არ ექნება შესაბამისი მტკიცებულებები. გამოდის, რომ გამოძიება ვალდებულია გამოძიების პროცესშივე იფიქროს და უზრუნველყოს მათი მტკიცებულებითი ბაზით უზრუნველყოფა და ამის შემდეგ იმსჯელოს პროკურორმა საქმის სასამართლოში არსებითად განსახილველად წარმართვის თაობაზე. რაც სავსებით ეტევა სსსკ–ს 37–ე მუხლის (გამომძიებელი) მოთხოვნებში რომლის თანახმადაც გამომძიებელი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ სრულად და ობიექტურად. [6]

---

[5] ჩვენთვის გაუგებარია აღნიშნულმა ნორმამ რატომ ვერ ჰპოვა შესაბამისი პროცესუალური უზურნველყოფა ახალ საპროცესო კანონმდებლობაში.

[6] ეს ვალდებულება ვრცელდება თუ არა პროცესის სხვა მონაწილეებზე, ვთქვათ პროკურორსა და მოსამართლეზე. ამაზე სპეციალურად არაფერია ნათქვამი. არადა ადრე მოქმედ კანონმდებლობაში ეს მოთხოვნა ზოგადი პრინციპის სახით იყო ჩამოყალიბებული, რაც ასეთ კითხვებს აღარ ბადებდა.

ჩვენი აზრით, სსსკ–ს 37–ე მუხლის მითითება პროკურორსაც უნდა ეხებოდეს, როგორც სისხლის სამართლებრივი დევნის დისკრეციული უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს. უფრო მეტიც, ეს მოთხოვნა მის ინტერესებში შედის, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საქმეზე სწორი, კანონიერი გადაწყვეტილების მიღება და განხორციელდეს შესაბამისი პრევენციები.

რაც შეეხება სასამართლოს აქ ცოტა რთული მდგომარეობაა, რადგან მოქმედი კანონმდებლობით მოსამართლე, როგორც საერთო სამართლის სუბიექტი, (ჩვენი საპროცესო კანონმდებლობა კი, როგორც ვიცით საერთო სამართლის პრინციპზეა აგებული) აქტი-

გარდა ამისა, საგულისხმოა ისიც, რომ თვით საპროცესო კანონმდებლობა (260-ე მუხლი) სასამართლო ავალდებულებს განაჩენის დანიშვნისას გადაწყვიტოს ის საკითხებიც, რომლებიც მტკიცების სგანთან არის დაკავშირებული. კერძოდ, ჩადენილი აქვს თუ არა ბრალდებულს ინკრიმინირებული ქმედება, არის თუ არა იგი მართლსაწინააღმდეგო და მიუძღვის თუ არა მასში ბრალი.

სამწუხაროდ, აქ არაფერია ნათქვამი იმ გარემოებებზე, რომელთა შესახებ სსკ–ს 53–ე მუხლი მიუთითებს და რომლთა შესახებაც ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა. არადა 53–ე მუხლის მე–3 ნაწილის ადრესატი სწორედ სასამართლოა და სწორედ მას ევალება ამ კითხვებზე განაჩენით პასუხის გაცემა.

და ბოლოს, საგულისხმოა, რომ მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე–10 თავში (მტკიცებულება, მტკიცების საგანი და პროცესი) მტკიცების საგანი კი არის მითითებული, მაგრამ შემდგომში იგი აღარ არის დაკონკრეტებული, თუ რას წარმოადგენს ეს უკანასკნელი, ანუ რომელია ის გარემოებები რომლებიც უნდა დამტკიცდეს

---

ურ მონაწილეობას აღარ იღებს მტკიცებულებათა გამოკვლევაში და იგი არბიტრის როლს იკავებს მოდავე მხარეთა შეჯიბრში. მას კანონით დამოუკიდებლად შეკითხვის დასმის უფლებაც კი არ აქვს, ვთქვათ მოწმისათვის, თუ ამაზე წინასწარ მხარის ნებართვას არ მიიღებს და სხვა, რასაც თავისი ახსნა აქვს საერთო სამართლიდან გამომდინარე.

მაგალითად, ინგლისურ სამართალში გაბატონებული მოსაზრების თანახმად „მოსამართლე, რომელიც თავად დაკითხავს მოწმეებს თავისი კვარცხლებეკიდან ჩამოქვეითდება, მის მზერას დაბინდავს კონფლიქტის მტვერი. შეუგნებლად იგი თავის თავს აკლებს დამშვიდების და ობიექტური განხილვის უპირატესობას.“ (იხ. ჟან პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, თბ. 1999 წ. გვ 293).

ყოველ სისხლის სამართლის საქმეზე; არადა ამის დაზუსტება, ვფიქრობთ, აუცილებელია რადგან მის გარეშე წარმოუდგენელია ყოველ კონკრეტულ საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მიღება და იმ ამოცანების რეალიზაცია, რომელსაც სისხლის სამართალწარმოება ისახავს მიზნად.

სისხლის სამართლის პროცესის თეორია მტკიცების საგნის მნიშვნელობას ორიგინალურად აკავშირებს მტკიცების ფარგლებთან, როგორც მტკიცებითი პროცესის აუცილებელ კომპონენტთან. თუ მტკიცების საგანი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომლებიც უნდა დამტკიცდეს ყოველ სისხლის სამართლის საქმეზე, მტკიცების ფარგლები განსაზღვრავენ აუცილებელ და საკმარის საჭიროებას თუ რა მოცულობით უნდა იქნეს გამოკვლეული ის გარემოებები, რომლებიც მტკიცების საგანს წარმოადგენენ. მოქმედი კანონმდებლობით მტკიცების ფარგლები სხვადასხვა ნორმებით არის ფორმირებული. მაგალითად, როგორც ადრე უკვე ითქვა, საქართველოს სსსკ–ის 37–ე მუხლი გამოძიებას ავალდებულებს გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად. ნაწილობრივ ამავე თემას ეხმაურება მტკიცებულებათა შეფასების კონტექსტში, სსსკ–ს 82–ე მუხლი, სადაც აქცენტი კეთდება სისხლის სამართლის საქმესთან მტკიცებულების რელევანტურობაზე და სხვა.

ყოველი ახალი მტკიცებულებითი სტანდარტის, იქნება ეს: „დასაბუთებული ვარაუდი“, „ალბათობის მაღალი ხარისხი“ თუ „გონივრულ ეჭვს მიღმა“ დადგენილი სასამართლოს განაჩენი, საერთო და დამახასიათებელია ნორმის გამომყენებელი პირის დამოკიდებულება, განსახილველი მტკიცებულებებისადმი. კანონმდებელი არაფერს ამბობს მოსამართლის, გამომძიებლისა და პროკურორის შინაგან რწმენაზე, როგორც მტკიცებულებათა შეფასების ერთ–ერთ მნიშვნელოვან კომპონენტზე. რით უნდა აიხსნას საკი-

თხისადმი ასეთი მიდგომა? გამორჩათ, იგულისხმება, თუ მოიხსნა ამის აუცილებლობა და მისი გათვალისწინება საჭირო აღარ არის ?

ვფიქრობ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ აქაც იგივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როგორც სისხლის სამართლის მოქმედ კოდექსში საიდანაც „გაქრა“ საზოგადოებრივი საშიშროება, როგორც დანაშაულებრივი ქმედების ერთ–ერთი ობიექტური ნიშანი, და მიუხედავად ამისა იგი მაინც იგულისხმება და გამოიყენება, როგორც ცალკეული ნორმების კონსტრუირების, ისე დანაშაულთა სიმძიმის მიხედვით კლასიფიკაციის დროს და სხვა. როგორ შეიძლება მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილება წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე თუ არ გჯერა და დარწმუნებული არა ხარ მათ უტყუარობაში. ეს რწმენა ამ შემთხვევაში არ განიხილება, როგორც რაღაც განყენებული სუბიექტური მოვლენა, იგი ემყარება და იქმნება მტკიცებულებათა იმ ობიექტური მასშტაბების საფუძველზე, რომელზედაც სსსკ–ს 82–ე მუხლშია მითითებული.

ასე რომ მტკიცებულების შეფასების დროს ვინმეს უნდა თუ არა შინაგანი რწმენა მაინც მონაწილეობს და მას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტის განმარტებაში, სადაც საუბარია გამოტანილი განაჩენის საფუძვლად აღებულ მტკიცებულებათა ერთობლიობაზე, რომლებმაც ობიექტური პირი უნდა დ ა ა რ წ მ უ ნ ო ნ (ხაზგასმა ჩვენია ჯ.ბ.) პირის ბრალეულობაში.

იგივე შეიძლება ითქვას სსსკ–ს 234–ე მუხლზე სადაც ღია ტექსტით არის მინიშნებული ნაფიც მსაჯულთა ვალდებულებაზე გაითვლისწინონ ყველა კანონიერი მტკიცებულება და გადაწყვეტილება მიიღონ „შინაგანი რწმენის საფუძველზე“. მაშინ, როდესაც ფორმალურად ასეთ სტანდარტს მოქმედი კანონმდებლობა, როგორც ითქვა, აღარ ითვალისწინებს.

საქართველოს სსსკ–ში გათვალისწინებული მტკიცებიულების სტანდარტები ახალი ჩვენთვისაა, თორემ საერთო სამართლისთვის ისინი უკვე დიდი ხნის წინათ აპრობირებული ინსტიტუტებია. მაგალითად, აშშ–ს ერთ–ერთი შტატის სადამსჯელო კოდექსის 1916 პარაგრაფში განმარტებულია „გონივრული ეჭვის“ მნიშვნელობა ბრალის დადასტურებაში და იქვე მოცემულია თუ რა უნდა იგულისხმებოდეს მასში. [7]

„აშშ–ში მართლმსაჯულება მიმართავს პრინციპს – „due process clause“, რაც იცავს ბრალდებულს მსჯავრისაგან გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი ბრალეულობა სამართლიანი ეჭვისთვის ადგილს არ ტოვებს.

აქედან გამომდინარეობს, რომ „სამართლიანი ეჭვის კონცეფცია“ შეესაბამება „შინაგანი რწმენის კონცეფციას“. მიიჩნევენ, რომ იგი უფრო ზუსტია ვიდრე ფრანგული კონცეფცია, მაგრამ ეს აბსოლუტურ სიცრუედ მიგვაჩნია, რადგან ორივე ცნება იდენტურია“– წერს ცნობილი კომპარატივისტი ჟან პრადელი. [8]

აქ შეიძლებოდა წერტილი დაგვესვა და ამით დაგვემთავრებინა ეს წერილი, მაგრამ ერთ მნიშვნელოვან საკითხს მაინც გვინდა შევეხოთ, რამაც მეტი ნათელი უნდა მოჰფინოს ყველა საკითხს რომლებსაც ზემოთ შევეხეთ. არ ვიცი, იქნებ საერთოდაც სჯობდა თავიდანვე ამით დაგვეწყო მტკიცებულების ახალ სტანდარტზე მსჯელობა.

საქმე ეხება საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ვექტორის შეცვლას, რომლის თანახმადაც იგი სამართლის ერთი ოჯა-

---

[7] კ. კუცენკო და სხვები, დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ, 2007 წ. გვ 267.

[8] ჟან პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი; თბ; 1999 წ; გვ 350.

ხიდან მეორეში გადავიდა. თუ ადრე მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობა აგებული იყო რომანულ–გერმანული კანონ-მდებლობის მიხედვით ახალმა კოდექსმა უარი თქვა მასზე და საერთო სამართლის სისტემის პრინციპებზე გადავიდა, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა სისხლის სამართლის პროცესის ცალკეულ ინსტიტუტებსა და ურთიერთობებზე.[9]

ეს გასაგებიც უნდა იყოს, რამდენადაც სამართლის ეს სისტემები პრინციპულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რითაც უნდა აიხსნას ის თავისებურება რითაც საქართველოს დღევანდელი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსხვავდება მისი წინამორბედისაგან. ტრადიციულად ჩვე-ნი იურისტები აღზრდილნი არიან რომანულ–გერმანული სამართლის პრინციპებზე, რომლებისთვისაც მთლად ადვი-ლი არ იქნება ასეთი მკვეთრი შემობრუნება საპროცესო სია-ხლეებისადმი, თუმცა ყველაფერი დაკავშირებულია დროის ფაქტორთან და პრაქტიკულ გამოცდილებასთან.

ერთ–ერთ მტკივნეულ საკითხად რჩება ახალ კანონ-მდებლობაში ძველის მემკვიდრეობა, რაც ერთგვარი ეკლექ-ტიკის საშიშროებას წარმოადგენს და დიდ დაფიქრებას მოითხოვს, რადგან საქმე ეხება დამნაშავეობასთან ბრძოლის ინტერესებს.

მიუღებელი და შეუთავსებელი ეკლექტიკის გარდა

---

[9] ჩვენი აზრით, ამის ასე ერთი ხელის მოსმით გაკეთება არ უნდა მომხდარიყო. რადგან საქმე ეხება ისეთ სათუთ და საზოგადოე-ბისათვის მგრძნობიარე ფენომენს, როგორიც დამნაშავეობასთან ბრძოლაა. ურიგო არ იქნებოდა კანონის მიღებამდე გამართულიყო საჯარო დისკუსია სამართლის თეორეტიკოსებისა და გამოცდილი პრაქტიკოსი იურისტების მონაწილეობით, რათა საზოგადოები-სათვის დაგვენახებინა და დაგვემტკიცებინა ახალ სისტემაზე გადასვლის უპირატესობა და ეფექტურობა სისხლის სამართლის საქმეთა „ძველ“ სამართალწარმოებასთან შედარებით. ამას რაც მოჰყვა შედეგად ქვევით დავინახავთ.

სხვა რა უნდა ეწოდოს იმას რაც დღეს სისხლის სამართლის მოქმედ საპროცესო კანონმდებლობაში ხდება, როდესაც დღემდე ძალაშია და შენარჩუნებულია გამოძიებისას დაკითხვის ძველი წესი.

ახალი სსსკ ჯერ კიდევ არ იყო ძალაში შესული როდესაც მასში შეტანილი იქნა ცვლილება და დაემატა 332–ე მუხლი, რომლის თანახმადაც გარდამავალ დებულებებში მითიეთებული იქნა, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრამდე გამოძიებისას დაკითხვა იწარმოებდა საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (მათ შორის 305–ე მუხლის მე–5 ნაწილით) დადგენილი წესით. ახალი კოდექსი ამოქმედდა და ძალაში შევიდა 2010 წლის 1 ოქტომბერს. გარკვეული ხნის შემდეგ, ანუ დათქმული „დროებითი“ ვადის გასვლისთანავე კომპეტენტური ორგანოების მოთხოვნით დღის წესრიგში დადგა დაკითხვის განსახილველი წესის ვადის შემდგომი გაგრძელების საკითხი, რაც პარლამენტის მიერ დაკმაყოფილდა. გავიდა დრო და ვადა დაკითხვის ძველი წესის შენარჩუნების შესახებ რამდენჯერმე ისევ გაგრძელდა და ასე მოვედით დღემდე. მომავლის პერსპექტივა ბურუსითაა მოცული. დასკვნა ერთია: შექმნილი მდგომარეობის ანალიზი ცხადყოფს, რომ გამოძიებაში მტკიცებულებათა მოპოვება და მათი დამაგრება გარკვეულ სიძნელეებს აწყდება, რაც დამნაშავეობასთან ბრძოლის ინტერესებიდან გამომდინარე კანონმდებელს იძულებულს ხდის შეინარჩუნოს დაკითხვის ძველი წესი, რაც თავის მხრივ აბრკოლებს ახალი კოდექსით გათვალისწინებული „გამოკითხვის წესის“ შესახებ კანონის ამოქმედებას. როგორც ჩანს ამ კანონის შემოტანა (მუხ. 113) ნაადრევი აღმოჩნდა, რადგან იგი ვერ პასუხობს ქვეყნის საგამოძიებო და საპროკურორო პრაქტიკის დღვანდელ გამოწვევებს. არადა ეს რომ ასე მოხდებოდა, თავიდანვე

ჩანდა. მხედველობაში გვაქვს ის, რომ საქართველოს პარლამენტმა ახალ სსსკ–ზე პრეზიდენტის ხელმოწერიდან (09.10.09) ორი კვირის შემდეგ (ისე, რომ კოდექსი ჯერ კიდევ არ იყო ამოქმედებული) შეიცვალა პოზიცია და, როგორც ზევით უკვე ითქვა, აღადგინა და სამოქმედოთ დააბრუნა დაკითხვის ძველი წესი.

საქმეში ჩაუხედავმა მკითხველმა შეიძლება თქვას: დატოვა და დიდი ამბავი, რა მოხდა მერეო? მაგრამ სამწუხაროდ სინამდვილეში ასე მარტივად არაა საქმე, რამდენადაც დაკითხვის ძველი წესის (ანუ როგორც კანონი მიუთითებს „დაკითხვის დროებითი წესის“) შენარჩუნება ფაქტიურად ნიშნავს სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებაში წინასწარი გამოძიების დროებით შენარჩუნებას, რაც პრინციპულად ეწინააღმდეგება საერთო სამართლის ძირითად დებულებებს, რომელთა შემოღებითაც პარლამენტმა მოახდინა ადრე მოქმედი სამართალწარმოების რეფორმირება და სხვებთან ერთად გააუქმა წინასწარი გამოძიების ინსტიტუტი როგორც ასეთი. საქმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მტკიცებულებათა შეკრებისა და დამაგრების ის პრინციპი, რაც დამახასიათებელია წინასწარ გამოძიებისათის მიუღებელი და გამოუსადეგარია საერთო სამართლის პოზიციებზე მყოფი სასამართლოსათვის, რადგანაც იგი გამოძიების მიერ შეკრებილი მტკიცებულებების შემოწმებას კი არ ახდენს (როგორც ეს ძველი სსსკ–თი იყო გათვალისწინებული) არამედ მტკიცებულებად იღებს მხოლოდ იმ სამხილს, რომელიც სასამართლო განხილვის დროს მხარეთა შეჯიბრის შედეგადაა სარწმუნოდ მიღებული.[10]

---

[10] აღნიშნული სამართლის მიხედვით ხომ მოწმის სტატუსს პირი მხოლოდ საქმის სასამართლო განხილვის დროს იძენს, შესაბამისი ფიცის დადებისა და თავის ჩვენებაზე ხელწერილის ქვეშ პასუხისმგებლობის აღების შემდეგ, რაც გამოძიებაში კანონით დაუშვე-

რა სურათი გვაქვს დღეს სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებაში: იმის გამო, რომ მოწმის და მასთან გათანაბრებული პირების (მუხ. 47) დაკითხვის უფლება დელეგირებული აქვს სახელმწიფო გამოძიებას (ანუ ფაქტიურად წინასწარ გამოძიებას) სასამრთლო იძულებულია მოითხოვოს და გაეცნოს შესაბამისი დაკითხვის ოქმებს. უფრო ზუსტად, დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, პროკურატურა დაკითხვის ოქმის ასლებს შესაბამის მტკიცებულებათა ჩამონათვალთან ერთად უგზავნის საქმის განმხილველ სასამართლოს.

მოსამართლე წინასწარ ხომ უნდა გაეცნოს აღნიშნულ მასალებს (მათ შორის დაკითხვის ოქმებს) რაც არ ესადაგება საერთო სამართლის პრინციპებს და უარყოფითად აისახება საქმის არსებითად განხილვის დროს პროცესზე მხარეთა დავისადმი ნეიტრალურ დამოკიდებულებაზე. მოსამართლე საქმის განხილვის დროს კი არ იგებს ჩადენილი დანაშაულის პერიპეტიებზე არამედ მან უკვე იცის რასთანაც აქვს საქმე და შესაბამისად გარკვეული აზრიც აქვს შექმნილი. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ეს ჩვენებები ხელახლა უნდა გადამოწმდეს საჯარო სხდომაზე და შემდეგ მოხდეს მათი შეფასება. ეს კი როგორც ითქვა წინააღმდეგობაში მოდის საერთო სამართლით გათვალისწინებულ სამართალწარმოებასთან.

ზემო აღნიშნული მდგომარეობის კიდევ დიდხანს გაგრძელება შეუძლებელია. კანონმდებელი უნდა ჩამოყალიბდეს და მკაფიოდ დააფისქსიროს თავისი არჩევანი იმის შესახებ თუ რომელი გზით უნდა წავიდეს ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა – საერთო სამართ-

---

ბელია. იგივე რეგულაციაა გათვალისწინებული ჩვენი მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობითაც, რომელიც დაკითხვის ძველი წესის „წყალობით“ დღემდე ძალაში არ არის შესული.

ლის პრინციპების მიხედვით ოღონდ არა იმ სახით როგორც ეს დღეს გვაქვს (განსაკუთრებით მოსამართლის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით ნორმის განმარტებისა და სამოსამართლეო სამართლის განხორციელების ნაწილში) თუ[11] დავბრუნდეთ ისევ გერმანულ–რომანული სამართლის ოჯახში და მართლმსაჯულება განვახორციელოთ ისე, როგორც ეს კონტინენტალური ევროპის მოწინავე სახელმწიფოებშია.[12]

## ლიტერატურა:


6. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კანონპროექტის განმარტებითი ბარათი, საქართველოს სსსკ-ს კანონპროექტი, თბ; 2008;
7. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ; 2013;
8. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ; 2013;
9. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, თბ; 2013;
10. თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასლის“ სამეცნიერო შრომების კრებული ტ. IV, თბ; 2012;
11. ო. გამყრელიძე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ; 2013.
12. ჟან პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, თბ; 1999;
13. რენე დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები; თბ; 2010;
14. ბ. ფილიმონოვი და სხვები, დასავლეთის სახელმწიფოთა


[11] რადგან წინასწარ გამოძიებას ვერ ველევით.

[12] აღნიშნულზე ჩვენს მოსაზრებას ცალკე წერილი გვინდა დავუთმოთ. მკითხველს ბოდიშს ვუხდით თემიდან ამ იძულებითი გადახვევისათის.

სისხლის სამართლის პროცესი, თბ; 2007;
15. თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „გორგასლის“ სამეცნიერო შრომების კრებული ტ. I; თბ; 2013 წ.
16. ბ. ხარაზიშვილი, „მტკიცებითი სამართალი“; თბ. 1982 წ.
17. И.Д. Козочкин, Уголовное право США, С. Петербург; 2007;
18. Уголовно-процесуальное право Российской Федераций авторский колектив, М; 2007 г;
19. Уголовный кодекс штата Техас, С. Петербург; 2006 г.
20. Internet explorer.
21. теория доказательств, м; 1966 г;
22. ქენეთ ჯანდა და სხვები, „ამერიკული დემოკრატია“; თბ; 1995 წ.

## NEW STANDARDS OF EVIDENCE IN GEORGIAN LEGISLATION OF CRIMINAL PROCEDURE

***J. Babilashvili***

### SUMMARY

New Georgian code of criminal procedure introduced new standards of proof between other novelties. These standards are: ‘reasonable suspicion’, ‘high degree of probability’ and ‘beyond reasonable doubt’. Application of these standards is the result of the recognition of principles of the common law by the new code of criminal procedure.

But the sad reality is that in our current legislation temporary stays the old order of the interrogation during the investigation. This is in contrary with the common law requirements and practically means the preservation of the preliminary investigation.

In my opinion, time has come for Georgian parliament to end this misunderstanding and finally decide the problem of Georgian criminal legislation, do we need to switch to the common law system or stay faithful to the civil law traditions.

# სასამართლოთა უწყებრივი ქვემდებარეობის საზღვრების შეზღუდვა

**ირმა მერებაშვილი**
*სამართლის დოქტორი,*
*პროფესორი*

ქონებრივი, საოჯახო, პირადი არაქონებრივი უფლებების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანი გარანტია უნდა იყოს სამოქალაქო სამართალწარმოება. განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობები ხაზს უსვამს უფლებების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილი უთითებს, რომ ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. (იხ)[13]

სასამართლოს უფლება აქვს, წარმოებაში მიიღოს და განიხილოს ის სამოქალაქო საქმეები, რომლებიც უწყებრივად ექვემდებარება სასამართლოს განხილვას, ანუ კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ერთობლიობის ფარგლებში, სასამართლოს აქვს მხოლოდ გარკვეული კატეგორიის საქმეების განხილვის კომპეტენცია.

უწყებრივი ქვემდებარეობის კრიტერიუმების სამართლებრივი რეგულირების არასრულყოფილება, კერძო სამართლებრივი ურთიერთობების განვითარების დინამიზმი, თანამედროვე იურისდიქციული სისტემების სირთულე, განსაზღვრავს უწყებრივი ქვემდებარეობის შესახებ დავებს, სხვადასხვა ორგანოს კომპეტენციების გადაკვეთის შემთხვევებს; სიტუციებს, როცა განსახილველი საქმე არ ექვემ-

[13] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბ., 1997, მუხლი 2.

დებარება უწყებრივად არცერთ სახელმწიფო ორგანოს, იმის გამო, რომ მათ უარი თქვეს ამ საქმის განხილვაზე. ამასთან დაკავშირებით, თანამედროვე პროცესუალური კანონმდებლობების თანმდევი ატრიბუტი გახდა მათში ნორმატიული წანამძღვრების არსებობა, რომლებიც უზრუნველყოფს უწყებრივ ქვემდებარეობასთან დაკავშირებული კონფლიქტური სიტუაციების გადაწყვეტას.

ასეთ საშუალებებად, შეიძლება, მივიჩნიოთ მუდმივმოქმედი ორგანოების შექმნა, რომლებიც გადაწყვეტენ უწყებრივ ქვემდებარეობასთან დაკავშირებულ დავებს. ასე მაგალითად, საფრანგეთში, ბელგიაში, თურქეთში, ასეთი კონფლიქტების დასარეგულირებლად მოქმედებს სპეციალური სასამართლოები; ავსტრიაში ეს ფუნქციები დელეგირებული აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს; ლუქსემბურგში, ჩეხეთში, ირანში კი – საერთო სასამართლოების სისტემაში მოქმედ უმაღლეს სასამართლო ინსტანციას. (იხ)[14]

უწყებრივი ქვემდებარეობის შესახებ საკითხის გარკვევა შესაძლებელია, ასევე, განხორციელდეს დაინტერესებული პირებისათვის უფლებამოსილების გადაცემით, – გაასაჩივრონ უწყებრივი ქვემდებარეობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება ზემდგომ ორგანოში. შესაძლოა, ეს საკითხი დარეგულირდეს საქმეთა განმხილველი ორგანოების ფაკულტატური კომპეტენციების დადგენით, იმ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც მათ განსაკუთრებულ უწყებრიობას უკავშირდება. მაგალითად, გერმანიაში შრომითი დავების განმხილველი სასამართლოები უფლებამოსილნი არიან, განიხილონ სხვა სასამართლოებისადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმეები, თუ მათ უშუალო სამართლებრივი კავშირი აქვთ შრომით სამართალურთიერთობებთან. ასევე,

---

[14] О. Н. Здрок, Гражданский процесс зарубежных стран. М. 2005. стр. 67.

შესაძლოა, განცხადების მიღებაზე ფორმალური უარის თქმის დამკვიდრება, რომლის შედეგადაც ხდება ერთი სისტემიდან საქმის განსახილველად მეორე სისტემაში გადაცემა. ასე მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 281-ე პარაგრაფის შესაბამისად, უწყებრივი ქვემდებარეობის წესების დარღვევის შემთხვევაში, სასამართლოს გამოაქვს განჩინება, საქმის კომპეტენტურ სასამართლოში გადაცემის თაობაზე. (იხ)[15]

რუსი მეცნიერის ო. ნ. ზდროკის მოსაზრებით, სასამართლო უწყებრიობისადმი დამოკიდებულება თანამედროვე პერიოდში უფრო გართულდა და განიცადა ორი ურთიერთსაპირისპირო ტენდენციის გავლენა. მათგან პირველად შეიძლება, დავასახელოთ სასამართლოთა კომპეტენციის გაფართოება იმის ხარჯზე, რომ დაწესდეს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შტოებზე სასამართლო კონტროლი. კერძოდ, აშშ-ს კონსტიტუციის მე-3 მუხლი ითვალისწინებს, რომ სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილება ვრცელდება იმ დავებზე, რომლებშიც მხარედ გამოდის აშშ; გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-19 მუხლი აცხადებს, რომ თუ პირის უფლებები დარღვეულია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ, ამ პირს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს. შედეგად, სასამართლო კომპეტენციის სფეროში ხვდება ურთიერთობები, რომელთაც პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. სასამართლოები იხილავს საქმეებს, რომლებიც უკავშირდება გამოსვლებსა და დემონსტრაციებს, გარემოს დაცვას, პოლიტიკური თავშესაფრის მიცემას და სხვა. სასამართლოთა უწყებრივი ქვემდებარეობის გაფართოებაში შესაძლოა, გამოიყოს ორი ასპექტი: ერთი, – სასამართლოს კომპეტენციისადმი

[15] Гражданское процессуальное уложение Германии, М. 2006. §281.

ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხის მიკუთვნება. სასამართლოს მიერ კანონთა კონსტიტუციურობის შემოწმების დოქტრინა ფორმულირებულია აშშ-ს უზენაესი სასამართლოს 1803 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ თუ საქმის განხილვისას, სასამართლო აღმოაჩენს გამოსაყენებელ კანონსა და კონსტიტუციას შორის წინააღმდეგობას, სასამართლო განსაზღვრავს, საქმის გადაწყვეტისათვის რომელი ნორმა უნდა გამოიყენოს. ეს წესი, დროთა განმავლობაში მიღებულ იქნა ქვეყნების გარკვეული რაოდენობის მიერ, საფრანგეთის, ნიდერლანდების, ფინეთის და რიგი სხვა ქვეყნების გამოკლებით; თუმცა, ფინეთში სასამართლო უფლებამოსილია, შეამოწმოს კანონქვემდებარე აქტების კონსტიტუციურობის საკითხი. (იხ)[16]

კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებში, როგორც წესი, სახეზეა მეორე ასპექტი, რამდენადაც არსებობს კონსტიტუციური კონტროლის სპეციალური ორგანოები, როგორიცაა – საკონსტიტუციო სასამართლო. სწორედ ამის გამო, ჩნდება პრობლემა, განისაზღვროს უწყებრივი ქვემდებარეობა საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებს შორის. კონსტიტუციური კონტროლის სასამართლო კომპეტენცია ზოგადად ისე განისაზღვრება, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს კონტროლს საკანონმდებლო ხელისუფლების ნორმატიული ხასიათის აქტებზე, ხოლო საერთო იურისდიქციის სასამართლოები კი, აღმასრულებელი ორგანოების გადაწყვეტილებებზე. რიგ შემთხვევებში, დამატებით კრიტერიუმად შესაძლოა, მოგვევლინოს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის დონე, რის გამოც, უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგა-

[16] О. Н. Здрок, დასახ. ნაშრ., გვ. 62-63.

ნოების აქტების შემოწმება შეიძლება, მიეკუთვნოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას.

თანამედროვე ეპოქაში, სასამართლოში საქმეთა განხილვისას გამოსაყენებელი კანონის კონსტიტუციურობის შემოწმების ორი მოდელი მოქმედებს. ესაა პრინციპი, როდესაც სასამართლო შემადგენლობა არ იყენებს კონსტიტუციური თვალთახედვით დაუზუსტებელ ნორმას და საქმეს გადაწყვეტს კონსტიტუციისა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტების საფუძველზე, ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე დააყენებს საკითხს, რომ გააუქმოს სამართლის მითითებული ნორმა. (იხ.)[17] მეორე სახის პრინციპული დამოკიდებულება გამოიხატება იმაში, რომ თუ სასამართლო საქმის განხილვის პროცესში ეჭვს შეიტანს ამ დავის მარეგულირებელი ნორმის კონსტიტუციურობაში, ის შეაჩერებს საქმისწარმოებას და საკითხის გადასაწყვეტად მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. გადასასინჯად გაგზავნილ ნორმას სასამართლო საქმის დასარეგულირებლად გამოიყენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო დაადასტურებს მის კონსტიტუციურობას. ასეთი პრინციპი გამოიყენება გერმანიის, მოლდოვეთის, ჩეხეთის, ლიტვის, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობებში.

საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის უწყებრივი ქვემდებარეობის გამიჯვნა გართულებულია, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეები. ასე მაგალითად, ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს ყველა ქონებრივ სამართლებრივ დავას, რომელიც მიმართულია ფედერაციისა და მიწების მიმართ; გერმანიაში

[17] შენიშვნა: მსგავსი წესი მოქმედებს, მაგალითად, საბერძნეთში, იხ. О.Н. Здрок, დასახ. ნაშრ., გვ. 63

– უმაღლესი ფედერალური ორგანოების უფლებებისა და მოვალეობების შესახებ დავებს, კონსტიტუციით აღიარებული მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შესახებ საჩივრებს, პოლიტიკური პარტიების არაკონსტიტუციურად ცნობის საკითხს. ანგლო-ამერიკული სისტემისა და რიგ სკანდინავიურ ქვეყნებში, რომელთათვისაც დამახასიათებელია სასამართლო ხელისუფლების დაუყოფლობა, ასეთი პრობლემა არ ჩნდება. ამ ქვეყნებში კანონთა კონსტიტუციურობის შემოწმების უფლებით აღჭურვილნი არიან უმაღლესი სასამართლო ინსტანციის რგოლები ან როგორც აშშ-ში, იაპონიაში, ისლანდიაში, ნორვეგიაში, შვეიცარია, – ყველა სასამართლო. (იხ)[18]

საყურადღებოა უწყებრივი ქვემდებარეობის ფარგლების შემჭიდროვების ტენდენციაც, რომელიც შესაძლოა, მიზნად ისახავდეს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ სასამართლოებზე არსებული დატვირთვის შემსუბუქებას. ასე მაგალითად, ადმინისტრაციული ორგანოებისათვის რიგი კატეგორიების სამოქალაქო ხასიათის საქმეების განსახილველად გადაცემა, როგორც ეს ქართულ საპროცესო კანონმდებლობაშია სახეზე, უდავო წარმოების გარკვეული საქმეების სასამართლო უწყებრიობიდან ადმინისტრაციული ორგანოების უწყებრიობაში გადაცემის შედეგად; ასევე, არასახელმწიფო სამოქალაქო იურისდიქციაში, როგორიცაა სამედიატორო სასამართლო, არბიტრაჟი, – მხარეთა შეთანხმებით ან ალტერნატიული უწყებრიობის წესების დამკვიდრებით,

---

[18] კერძოდ, ფართოდაა ცნობილი, ამერიკული პროცესები, რომლებიც გაიმართა მოქალაქეთა სარჩელებზე, ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენების, (1950-1965), აბორტის (1973), ადვოკატების მიერ თავიანთი საქმიანობის რეკლამირების (1977) და სხვა აკრძალვების კონსტიტუციურობის შესახებ, О.Н. Здрок, დასახ. ნაშრ., გვ. 64

საქმეთა განსახილველად გადაცემა. (იხ.)[19] საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა, მართალია, შეზღუდული ფორმით, მაგრამ მაინც შეიცავს მსგავს ალტერნატივას – კერძო არბიტრაჟის არსებობით.

რიგ ქვეყნებში არსებობს პრაქტიკა, როდესაც სასამართლოში მიმართვამდე აუცილებელია, უფლების დაცვის ალტერნატიული საშუალების გამოყენება, ანუ სასამართლოსადმი ამა თუ იმ კატეგორიის საქმის უწყებრივად დაქვემდებარებამდე ეს საქმე სხვა უწყების ქვემდებარეობაშია. მაგალითად, აშშ-ში პენსილვანიის შტატში, შედარებით დაბალი ღირებულების დავების განხილვის უფლებამოსილება გადაცემული აქვთ წინასწარ არბიტრაჟებს, ხოლო რიგ შტატებში მოქმედებს შერიგების სტადია საოჯახო საქმეებზე. დსთ-ს ქვეყნებში, ესპანეთში გამოიყენება შერიგებით-სამედიატორო პროცედურა შრომით დავებზე, – შრომითი დავის კომისიებში და ადგილობრივ ორგანოებში. ნორვეგიაში არცერთი სასამართლო არ არის უფლებამოსილი, მიიღოს საქმე განსახილველად, ვიდრე არ იქნება გავლილი წინა პროცედურა – დავის გადაწყვეტის მცდელობა სპეციალურ სახელმწიფო ორგანოში. (იხ)[20] გარკვეული კატეგორიის საქმეების გადა-

---

[19] ჩინეთში გათვალისწინებულია სახალხო შეთანხმებითი პროცედურა – სპეციალური სისტემა, რომელიც მოქმედებს სასამართლოს გარეთ და დავების რეგულირების პროცესი ხორციელდება ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელობით. სასამართლო წყობილების 1999 წ. ინგლისური რეფორმის ერთ-ერთ მიმართულებად იქცა დავათა გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების აქტივიზაცია, რომელთაც განეკუთვნება მორიგება, შუამავლობა, შუამავლის აღჭურვა ფაკულტატიური უფლებამოსილებით, ამ საქმეში შეასრულოს არბიტრის როლი, ექსპერტისათვის ან გადამდგარი მოსამართლეებისა თუ ადვოკატებისათვის საქმის მასალების გადაცემა, მისი შესწავლის მიზნით, სამედიატორო განხილვა.

[20] О. Н. Здрок, დასახ. ნაშრ., გვ. 66.

ცემა ხდება ადმინისტრაციული ორგანოების განსახილველად, მაგრამ მიღებულ გადაწყვეტილებებზე შენარჩუნებულია სასამართლო კონტროლი, ე. წ. იმპერატიული უწყებრიობის სახით. ასე მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლს თუ მივმართავთ, ვნახავთ, რომ უდაო წარმოების სახით საქმისწარმოება სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება მხოლოდ მას შემდეგ, თუ ეს საკითხი ვერ მოგვარდა ადმინისტრაციულ თუ სხვა ორგანოებში მიმართვის გზით. იგივე კოდექსის 315-ე მუხლის მიხედვით, განმცხადებელმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ამისი დამადასტურებელი მტკიცებულებები. (იხ)[21]

სამოქალაქო ხასიათის საქმეთა განმხილველი საერთო სასამართლოების უწყებრივი ქვემდებარეობის შემჭიდროვების, შეზღუდვის მაგალითად შეიძლება, მოვიტანოთ ასევე, სპეციალიზებული სასამართლოების მოქნილი სისტემის შექმნა, სადაც საქმეებს იხილავენ სპეციალური, გამარტივებული პროცედურებით, რომლებიც ახლოსაა საქმის საარბიტრაჟო განხილვის წესებთან.

## ლიტერატურა:


1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბ. 1997, (ცვლილებებითა და დამატებებით) წწწ. მატსნე. გოვ.გე მუხლი

2. О. Н. Здрок Гражданский процесс зарубежных стран. М. 2005. Издательство деловой и учебной литературы; стр. 67

3. Гражданское процессуальное уложение Германии, перевод с немецкого. М. 2006, Волтерс Клувер, §281.


[21] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბ. 1997, მუხლები 313, 315.

## SUMMARY

The court has the right to receive (approve for hearing) and consider those civil cases which are narrowly subordinated to the court hearing. Separation of jurisdiction between the Common and Constitutional Courts is complicated, when the Constitutional Court is authorized to consider certain categories of civil cases.

Tendency of diminishing the scope of jurisdiction is notable, which may be aimed at easing the existed work load in Courts considering the civil cases.

As an example of limitation, restriction of jurisdiction of Common Courts considering the civil cases can also be presented the creation of the flexible system of specialized courts where the cases will be considered through simplified procedures which are closer to the rules of arbitration proceedings.

# პოლიტიკის მოკლე განსაზღვრება

**ედუარდ ფეიქრიშვილი**
*სოციალურ და ფილოსოფიურ*
*მეცნიერებათა დოქტორანტი*

ყველაზე ზოგადი სახით პოლიტიკა არის პროცესი, რომლის ფარგლებშიც ადამიანები ქმნიან, ინარჩუნებენ და სრულყოფენ ერთად ცხოვრების ნორმებს. არისტოტელე პოლიტიკას „სამეფო მეცნიერებას“ უწოდებდა, რომლის დახმარებითაც შეიძლება ცხოვრების გაუმჯობესება და ღირსეული საზოგადოების შექმნა.

პოლიტიკა განუყოფლადაა დაკავშირებული ისეთ მოვლენებთან როგორიცაა კომფლიქტი და კონსენსუსი. ერთი მხრივ საზოგადოებაში არსებული აზრთა სხვადასხვაობა ,განზხვავებული მოთხოვნილებები და ინტერესები გარდუვალად წარმოშობს უთანხმოებას საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმების თაობაზე, მაორე მხრივ ყველას ესმის, რომ ამ წესების შესაცვლელად ან შესანარჩუნებლად აუცილებელია თანხმობა. ამიტომაც ზოგჯერ პოლიტიკის არსად მიიჩნევენ კომფლიქტების გადაწყვეტად. ამ მიდგომის თანახმად, პოლიტიკა ესაა პროცესი, რომლის დროსაც ხდება აზრთა და ინტერესთა სხვადასხვაობის შეჯერება თუმცა ჯობია პოლიტიკა გავიაზროთ არა როგორც კომფლიქტების გადაწყვეტა, არამედ როგორც მათი გადაწყვეტის მგზების ძიება, რადგანაც საზოგადოებაში ყველა კომფლიქტის გადაწყვეტა როდია შესაძლებელი.

თუმცა რაც არ უნდა ცუდი წარმოდგენა უნდა გქონდეთ პოლიტიკასა და პოლიტიკოსებზე, ყველა მაინც ეთანხმება იმ აზრს, რომ მათ გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოების არსებობა. რესურსებისა და კეთილდღეობის განაწილების

მექანიზმის არქონის შემთხვევაში იწყება „ სამოქალაქო ომი - ყველასი ყველას წინააღმდეგ“ ამიტომ პოლიტიკის გაუქმების მცდელობა კი არაა გამოსავალი, არამედ მისი საზოგადოების კონტროლქვეშ მოქცევა, რათა ვერავინ გამოიყენოს ბოროტად ხელისუფლება, როგორც მოხდა ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში.

ამ მიდგომის განსხვავება „პოლიტიკურსა“ და „არა-პოლიტიკურს“ შორის ემთხვევა განსხვავებას ცხოვრების საჯარო (საზოგადოებრივ) და კერძო სფეროებს შორის. ასეთი მიდგომა სათავეს იღებს არისტოტელეს შრომებიდან - „ადამიანი თავისი არსით პოლიტიკური არსებაა“, „ ადამიანის ღირსეული ცხობრება“. ადამიანს ღირსეული ცხობრება შეუძლია იმ საზოგადოებაში სადაც სწორი პოლიტიკაა. იქ პოლიტიკა უწინარესად წარმოდგება ეთიკური ასპექტით, პოლიტიკა ისაა, რაც უკავშირდება „სამართლიან საზოგადოებას“. პოლიტიკა არის ყველაფერი, რაც ასევე უკავშირდება რესურსების წარმოებას, განაწილებას და გამოყენებას საზოგადოების ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. აქ საქმე ეხება ხელისუფლებას - უნარს მიიღოს „მიიღოს ყველაფერი“ ნებისმიერი საშუალებით. ეს ნდეა კარგად ჩანს ლასუელის წიგნის სათაურში „პოლიტიკა: ვინ ღებულობს რას, როდის და როგორ?“ (1936წ.). საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეს ტრადიცია ხედავს ინტერესთა მუდმივ კომფლიქტს და რაც მთავარია რესურსების დეფიციტს. ამიტომაც საზოგადოებას პოლიტიკა ესმის, როგორც მეტოქეობა შეზღუდული რესურსებისათვის, ხოლო ხელისუფლება როგორც მთავარი ინსტრუმენტი ამ მეტოქეობაში.

თანამედროვე ფორმალური პოლიტიკური თეორია იძლევა სასარგებლო ანალიტიკურ ინსტრუმენტს, რომლის დახმარებითაც შეიძლება შევისწავლოთ ამომრჩეველთა ლობისტების, მოხელეების და პოლიტიკოსების, ასევე

სახელმწიფოთა ქცევა საერთაშორისო სისტემის ფარგლებში. ამ მიდგომის ცნობილი წარმომადგენლები არიან ენტონი დაუნზი, მანკერ ოლსენი და ვილიამ ნისკანენი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მოდელები და მიკრო თეორიები იქმნება უფრო ფართო თეორიების - მაკრო თეორიების ბაზაზე. ესაა პოლიტიკური ანალიზის ყველაზე მნიშვნელოვანი თეორიული ინცტრუ-მენტები, რომელთა ცენტრშიც მოქცეულია ხელისუფლების და სახელმწიფოს პრობლემატიკა პლურალიზმი, კლასობ-რივი ანალიზი და ა.შ.

პოლიტიკის შესწავლა და მისი წარმართვა მეცნიერულ ხასიათს ატარებს იმიტომ, რომ შესაძლებელია მივიღოთ ობიექტური ცოდნა  პოლიტიკის სამყაროს შესახებ, გამო-ვაცალკევოთ ფაქტები ფასეულობებისაგან. ამის მაკეტების აგება ყოველთვის ადვილი როდია, რამდენიმე მიზეზების გამო: იმფორმაციის დეფიციტი;  ფასეულობების გავლენა, რომლებიც ყოველთვის არსებობენ პოლიტიკურ მოდელებსა და თეორიებში და ბოლოს ის ტენდენციები და სიმპტომები, რომელთა დახმარებით ჩვენ ვღებულობთ ცოდნის ელემენ-ტებს უსასრულო და რთული რეალობიდან. საზოგადოებისა და პოლიტიკის ესა თუ  ის გეგმა საბოლოო ჯამში ხორ-ციელდება უფრო ფართო ინტელექტუალური კონსტრუქ-ციის - იდეოლოგიური პარადიგმის ფარგლებში.

უდაბურ სამყაროში, როცა არ იყო არაფერი ღმერთმა თავისი შემოქმედებით შექმნა სამყარო და ყოველივე რაც კი არის მასში. მოდით დავფიქრდეთ, რომ არ ყოფილიყო სამყაროს შექმნის აუცილებლობა, გაჩნდებოდა მისი შექმნის შესაძლებლობა? რა საკვირველია არა.

დედამიწაზე, რომ არ ყოფილიყო რწმენის, ისტორიის და პოლიტიკის გააზრების აუცილებლობა, ძალზედ ბუნდოვანი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება. ყველა ეპოქას ასევე

როგორც ყველაფერს სჭირდება სიახლე და განვითარება ეს კი თავისთავად ითხოვს ახალ რეფორმაბს, რეფორმები კი განვითარებას.

დღევანდელმა დღემ, არსებულმა პოლიტიკურმა ვითარებამ ნათლად გვიჩვენა ახალი მეთოდის და ახალი ხედვის დანერგვის აუცილებლობა, სადაც საჭიროა სუფთა პოლიტიკის წარმართვა რაც მოითხოვს აზროვნების შეცვლას. დღევანდელმა დღემ, ასევე მოიტანა ახალი განვითარებული ქვეყნის შექმნის აუცილებლობა, რომლის არც სურვილი და არც გამოცდილება დღეს ჩვენ არ გაგვაჩნია, მაგრამ გვეძლევა დიდი შესაძლებლობა ჩავებად ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში.

ამრიგად, თუ ჩვენ არ შევიცვალეთ უკეთესობისაკენ, ვერ გავითავისეთ ოჯახის სიყვარული სამშობლოს სიყვარულთან თავისთავად არაფერი არ შეიცვლება იმ მარტივი მიზეზით, რომ სიკეთის გაცემა სიკეთის ფლობას მოითხოვს.

როცა ჩვენ მთავარ სიმდიდრედ დავსახავთ პატიოსნებას, ინტელექტს, სამშობლოს სიყვარულს და ბედნიერი მომავლის რწმენას, ამგვარი პოლიტიკის წარმართვის შემთხვევაში ქვეყანა გაბრწყინდება და ცხოვრება უკეთესი იქნება.

## Краткое разъяснение политики

*Эдуард Пейкришвили*

Политика зто процес в пределах которой люди создают, сохраняют и усавершенствовают нормы вместе проживания. Какоебо впечатление у нас не сложилосъ о политике и политиках всеравно все приходят к одной мысли, что без них не возможно существование государств.

Политика зто все что связано с справедливым обществом где человек может достойно житъ. В том обществе где правилъная политика естъ все что также связано с производством ресурсов их разделением и исполъзованием для функционирования овщества. концепции, модели и теории инструмент для политического анализа, с помощью которого мы получаем елементы знания безконечной и сложной реальности. В конечном итоге, тот или иной план общественной жижзни и политики более широкой интеллектуальной концепции осуществляется в пределах идеологической парадигмы. В конечном итоге, если люди не изменятся в лучшую сторону и не смогут объеденить любовь к семье с любовью страны, то само по себе ничего не изменится по простой причине – где тот, кто делает добро в первую очередь сам должен обладать им. Главное богатство честность, интеллект, любовь к Родине, вера в счастливое будущее, где проводя правильную политику любое государство будет процветать и жизнь людей значительно улучшится.

# მედიცინა

## კალციუმის ჰიდროქსიაპატიტი, მის ფუძეზე დამზადებული ბიოლოგიურად აქტიური რეგენერატები და მათი როლი თერაპიულ სტომატოლოგიაში

**ხათუნა ტვილდიანი**
*მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,*
*ექიმი-სტომატოლოგი*

თანამედროვე თერაპიულ სტომატოლოგიაში დღემდე ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება ძვლოვან ქსოვილში რეზორბციით მიმდინარე დაავადებები, როგორიცაა ქრონიკული პერიოდონტიტის ფორმები, საშუალო და მძიმე ფორმის პაროდონტიტები. მოსახლეობაში ამ დაავადებათა ფართო გავრცელება განსაზღვრავს სამეცნიერო კვლევათა აუცილებლობას. მათ შედეგებზე დაყრდნობით სტომატოლოგიურ პრაქტიკაში ფართოდ ხდება იმუახლესი მეთოდების დანერგვა, რომლებიც გვაძლევენ ძვლოვანი ქსოვილის რეზორბირებულ უბანში ოსტეოგენეზის სტიმულაციას დროის უმოკლეს ვადებში.

პერიოდონტიტისა და პაროდონტიტის სხვადასხვა ფორმების კონსერვატიული მკურნალობის ერთ-ერთ ადექვატურ და ეფექტურ მეთოდს წარმოადგენს მკურნალობის კომპლექსში ბიოაქტიური რეგენერატების გამოყენება. ბიოლოგიურად აქტიური რეგენერატი არის ხელოვნურად მიღებული კომპოზიტი, რომლის ფუძეს წარმოადგენს სინთეტური კალციუმის ჰიდროქსიაპატიტი.

კალციუმის ჰიდროქსიაპატიტი და მის ფუძეზე დამზადებული მასალები ფართოდ გამოიყენება მედიცინის

დარგებში, როგორიცაა ტრავმატოლოგია, ორთოპედია, ყბასახის ქირურგია, ქირურგიული სტომატოლოგია, დენტალური იმპლანტატოლოგია, თერაპიული სტომატოლოგია. თუმცა კალციუმის ჰიდროქსიაპატიტის შემცველი ახალი ბიოპოლიმერების ძიება, სინთეზი, შესწავლა და შემდგომ პრაქტიკაში დანერგვა დღესაც აქტუალურ პრობლემად და კვევისა და მსჯელობის საგნად რჩება.

კალციუმის ჰიდროქსიაპატიტი წარმოადგენს ძვლოვანი ქსოვილის მინერალური კომპონენეტების სტრუქტურულ ანალოგს, გააჩნია მსგავსი ქიმიური შემადგენლობა, ფიზიკური და ქიმიური თვისებები, ფლობს უნიკალურ ბიოშეთავსებადობის უნარს. კალციუმის ჰიდროქსიაპატიტი აქტიურად ასტიმულირებს შემაერთებელქსოვილოვანი უჯრედების გამრავლებას და ამასთან ძვლოვანი ქსოვილის ახლადწარმოქმნას.

ჰიდროქსიაპატიტი მიეკუთვნება აპატიტების ჯგუფს, რომლის სტრუქტურული ფორმულა არასტექიომეტრულია და ამით ერთი ელემენტის მეორე ელემენტით ჩანაცვლების საშუალებას იძლევა.

კალციუმის ჰიდროქსიაპატიტის ფუძეზე დამზადებული და კლინიკაში აპრობირებული ყველა ოსტეოპლასტიური მასალა მეტნაკლებად პასუხობს ისეთ თვისებებს, როგორიცაა არატოქსიურობა და დიდი ბიოშეთავსებადობის უნარი, ბიოლოგიური აქტივობა და რეპარაციული რეგენერაციის სტიმულაცია, არაკანცეროგენულობა, ანთებისსაწინააღმდეგო და ანტიმიკრობული მოქმედება, მაღალი ტექნოლოგიური ხარისხი და სხვადასხვა მანიპულაციების ჩატარების გაადვილებული ტექნოლოგია.

ოსტეოპლასტიური მასალებიდან მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება ისეთ ბიორეგენერატებზე, როგორიცაა გაპკოლი, კოლაპოლი, ჰიდროქსიაპოლი, ჰიდროქსიაპატიტური

კერამიკა, ბიოსიტალი, მინაკერამიკული მასალები და ა.შ.

პრაქტიკულ სტომატოლოგიურ კლინიკაში ჰიდროქსიაპატიტის ფუძეზე დამზადებული ოსტეოპლასტიური მასალები შეიძლება გამოყენებული იქნეს გრანულების, ფხვნილის, სუსპენზიის, ფირფიტების, ფოროვანი ბლოკების ან იმპლანტების სახით. თითოეული მათგანის გამოყენებისას ოსტეოგენეზის დინამიკა ვითარდება შემდეგი საერთო სქემის მიხედვით: დეფექტის პერიფერიაზე რბილქსოვილოვანი რეგენერატი სქელდება, ჰიდროქსიაპატიტის ნაწილები ძვლოვანი კიდისაგან გამოყოფილია ფიბროზული შემაერთებელქსოვილოვანი ფენით, რომელიც შეიცავს კოლაგენურ ბოჭკოებს, რომელიც თავის მხრივ ძვლოვანი კედლის გასწვრივ ლაგდება. დეფექტის ლატერალურ ნაწილში შეინიშნება ფიბრობლასტების ელემენტები და ჰიდროქსიაპატიტის დეპოზიტები, რომლებიც ზოგან აჟურულ ბადეს ქმნიან. გრანულებთან ლაგდება ერთეული გიგანტური მრავალბირთვიანი უჯრედები. ოსტეოპლასტიური მასალის კედელთან იქმნება მჭიდრო ფიბროზული კაფსულა, შემდეგ ლაგდება შემაერთებელქსოვილოვანი ფენა უჯრედოვანი ელემენტებითა და უწესრიგოდ განლაგებული კოლაგენური ბოჭკოებით. დინამიკაში იკვეთება ოსტეოპლასტიური მასალის რეზორბირება და ძვლოვანი დეფექტის გამოთავისუფლებული უბნის ახლადწარმოქმნილი ძვლოვანი ქსოვილით ჩანაცვლება, რომელიც ეკუთვნის კომპაქტური ძვლის ტიპს. თვალშისაცემია ახლადწარმოქმნილი ძვლოვანი ქსოვილის უჯრედების მომწიფების მაღალი ხარისხი. შორეული შედეგების შეფასებისას ძვლოვანი დედობრივი ქსოვილისაგან ახლადწარმოქმნილი ძვლოვანი ქსოვილი განსხვავდება მხოლოდ ამ უკანასკნელში ჰიდროქსიაპატიტის კრისტალების არსებობით.

ექსპერიმენტულმა და კლინიკურმა კვლევებმა, ასევე,

შორეული შედეგების ანალიზმა ცხადყო კალციუმის ჰიდროქსიაპატიტისა და მის ფუძეზე დამზადებული ოსტეოპლასტიური მასალების გამოყენების უპირატესობა თერაპიულ სტომატოლოგიაში, კერძოდ, ძვლოვანი ქსოვილის რეზორბციით მიმდინარეისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა ქრონიკული პერიოდონტიტის სხვადასხვა ფორმები და სხვადასხვა სიმძიმის პაროდონტიტები.

პერიოდონტიტის სხვადასხვა ფორმების დროს არხების დაბჟენა ოსტეოპლასტიური მასალის შემცველი პასტებით იძლევა უკეთეს შედეგებს როგორც მკურნალობის პროცესში, ასევე, შორეულ შედეგებში. კერძოდ, არხის საბჟენი პასტა, რომელიც შეიცავს ჰიდროქსიაპატიტს, პერიაპიკალურ ქსოვილებში გადატანისას ავლენს დიდ ბიოლოგიურ შეთავსებადობას, ანტიბაქტერიულ და ანთებისსაწინააღმდეგო მოქმედებას და ასტიმულირებს ძვლოვანი ქსოვილის რეგენერაციას, რითიც ხელს უწყობს ძვლოვანი დეფექტის ჩანაცვლებას ახლადწარმოქმნილი ძვლოვანი ქსოვილით დროის უმოკლეს ვადებში. ამასთან, ჰიდროქსიაპატიტის შემცველი არხის საბჟენი მასალების გამოყენებისას მნიშვნელოვნად იკლებს ისეთი გართულებების რიცხვი, რომელიც დაკავშირებულია საბჟენი მასალის პერიაპიკალურ ქსოვილებში გადატანასთან. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არხის საბჟენი მასალა უნდა შეიცავდეს, ასევე, თუთიას რენტგენოკონტრასტულობისთვის და რომელიმე ზეთოვან გამხსნელს (ევგენოლი, მიხაკის ზეთი, ვიტამინ A-ს ზეთოვანი ხსნარი) პასტის კონსისტენციის მისაღებად.

პაროდონტოლოგიაში დღემდე აქტუალურ პრობლემად რჩება პაროდონტიტების მკურნალობისას ეფექტური შედეგების მიღწევა. ბოლო წლებში დიდი წარმატებით გამოიყენება კალციუმის ჰიდროქსიაპატიტის ფუძეზე დამზადებული ოსტეოპლასტიური მასალები პაროდონტული და

ძვლოვანი ჯიბეების აღდგენის მიზნით.

ოპერაციული ჩარევა გულისხმობს ადგილობრივი ანესთეზიის ქვეშ ღრძილოვანი და ძვლოვანი ჯიბეების ღრმა კიურეტაჟს: კბილის ღრძილზედა და ღრძილქვეშა ნადებისა და ქვების, გრანულაციური ქსოვილისა და დეკალცინირებული უბნების მოცილებას, რის შემდეგაც საოპერაციო ველი მუშავდება ანტისეპტიკებით, ანტიბიოტიკებისა და ფერმენტების ნარევით. ამის შემდეგ ხდება პათოლოგიურ ჯიბეებში ოსტეოპლასტიური მასალის სასურველი ფორმის შეტანა და ნაკერის დადებით მათი ფიქსაცია. სასურველია, პარალელურად დაინიშნოს ანთებისსაწინააგმდეგო მკურნალობის ზოგადი კურსი და დამზოგველი დიეტა, აუცილებელია პირის ღრუს ყოველდღიური დამუშავება ანტისეპტიკებით, პროტეოლიზური ხსნარებითა და ფერმენტებით. ნაკერები იხსნება საშუალოდ 5-7 დღეში. პაციენტი აგვყავს დისპანსერულ აღრიცხვაზე და რენტგენოლოგიური კვლევით მე-3, მე-6 და მე-18 თვეს ვახდენთ ძვლოვანი ქსოვილის რეგენერაციის კონტროლს დინამიკაში. აშკარად იკვეთება, რომ პაროდონტული და ძვლოვანი ჯიბეების აღდგენა ოსტეოპლასტიური მასალების გამოყენებისას ხდება დროის უმოკლეს ვადებში ტრადიციული მეთოდებით მკურნალობასთან შედარებით.

კბილის პრეპარირება, რომელიც ტარდება კბილის კარიესის ან მისი პროთეზირებისათვის მზადებისას, იწვევს კბილის მაგარ ქსოვილებში მორფოფუნქციურ ცვლილებებს, რასაც საბოლოო ჯამში მივყავართ პულპასა და პერიოდონტში პათოლოგიური პროცსების განვითარება-ჩამოყალიბებამდე და ჰიპერესთეზიამდე. ამ გართულებათა განვითარებაში ძირითად როლს თამაშობს დენტინის მილაკების დაზიანება და მათში ჰიდროდინამიკური პროცესების მოშლა.

დღეისათვის სტომატოლოგიურ პრაქტიკაშიუკვე დანე-

რგილია ულტრამიკროსკოპული ჰიდროქსიაპატიტის გამოყენება პრეპარირებულ კბილებში დენტინის მილაკების ობტურაციის მიზნით.

სკანირებული ელექტრონული მიკროსკოპით კვლევამ აჩვენა, რომ კბილის ზედაპირზე მისი პრეპარირების შემდეგ რჩება ამორფული ფენა, რომელსაც წარმოქმნიან პრეპარირების შედეგად დიქოტომიურად დატოტიანებული და ერთმანეთთან ანასტომოზებით დაკავშირებული დენტინის მილაკები. ტრადიციული მეთოდებით (პრაიმერით დამუშავება) ამ ამორფული ფენის სრული მოცილება და შემდგომ დენტინის მილაკების საიმედო ობტურაცია სრულყოფილად ვერ ხერხდება.

მეცნიერთა დიდი ჯგუფი ექსპერიმენტულ და კლინიკურ კვლევებზე დაყრდნობით გვთავაზობს პრეპარირებული კბილის მაგარი ქსოვილების დამუშავებას ისეთი ხსნარებით, როგორიცაა 10% ლიმონმჟავა, 3% რკინის ქლორიდი, 10% ЭDTA 1 წთ-ის განმავლობაში. ისინი ახდენენ ამორფული ფენის სრლ მოცილებას და უზრუნველყოფენ დენტინის მილაკების სრულ გამავლობას. შემდგომ ეტაპზე ხდება კბილის მაგარი ქსოვილების დამუშავება ულტრამიკროსკოპული ჰიდროქსიაპატიტით, რომელიც ახდენს დენტინის მილაკების საიმედო ობტურაციას და ამით იცავს პულპას, პერიოდონტსა და პაროდონტის ქსოვილებს არასასურველი გართულებებისაგან. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ულტრამიკროსკოპული ჰიდროქსიაპატიტის შეღწევადობა დენტინის მილაკებში და შემდგომი ობტურაცია გაცილებით ეფექტურია ვიტალურ კბილებში, ვიდრე დეპულპირებულ კბილებში.

## ლიტერატურა:


1) Орловский В.П., Кудрюмов С.Г., Сливка О.И. "Синтез, свойства и применение гидроксиапатита кальция." Стоматология, 1996.05. стр. 68-73.

2) Трофимов В.В., Клименов В.А., Казимировская В.Б., Мансурова Л.А. "Исследование биологической совместимости гидроксиапатита" Стоматология, 1996.05. стр. 20-22.
3) Барер Г.М., Воложина С.А., "Применение гидроксиаполсодержащей цинк-эвгеноловой пасты для пломбирования каналов зубов при лечении периодонтита." Стоматология, 1996.05. стр. 26-27.
4) Гаража С.Н., Воложин А.И., Докторов А.А. "Экспериментальное обоснование возможности использования гидроксиапатитсодержащих препаратов для обтурации дентинных трубочек препарированных зубов." Стоматология, 1996.05. стр. 17-19.

RESUME

## CALCIUM HYDROXYAPATITE, ALSO THE BIOLOGICAL ACTIVE REGENERATION, MADE OVER THE BASIS OF IT AND THE ROLE OF THEM IN THERAPEUTIC DENTISTRY

**Khatuna Tvildiani**

Nowadays it remains still an actual problem and the subject of discussion in therapeutic dentistry resorption of pathological areas in bone tissue and stimulation of the osteogenesis of these areas within a short period of time, as a result of periodontitis and parodontitis.

During the clinic search and experiments, as well as analysis of long-term results it became clear, that the use of calcium hydroxyapatite and osteoplastic stuff, made from its basis, have a major advatage over the mathods of the traditional medicine. As studies have shown, its much more useful to use the bioregeneration for teeth preparation and working on them

# სტომატოლოგიური მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის პერსპექტივები საქართველოში

**მარინე აბულაძე**
*სტომატოლოგიური სამკურნალო და სარეზიდენტო პროგრამების ცენტრის ხელმძღვანელი, ექიმი-სტომატოლოგი*

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოში დაიწყო ძველი ეკონომიკური ფორმაციის ახლით ჩანაცვლების რთული და ხანგრძლივი პროცესი, რამაც ჯანდაცვის სისტემის რეფორმირება და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე ორიენტირებული ახალი სამედიცინო ბაზრის ფორმირება განაპირობა.

სტომატოლოგიის, როგორც მეცნიერების სწრაფმა განვითარებამ, მკურნალობის თანამედროვე მეთოდებისა და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვამ სერვისების ღირებულების მკვეთრი ზრდა გამოიწვია, მაგრამ მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება და სერვისების მაღალი ფასი არ იძლევა სტომატოლოგიური მომსახურების ხარისხის გარანტიას. ამაზე მეტყველებს პაციენტის სტომატოლოგიური მკურნალობის ხარისხით უკმაყოფილების არაერთი შემთხვევა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოში დღემდე არ არის ჩამოყალიბებული სისტემური მიდგომა სტომატოლოგიურ დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფიასადმი. ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული სტომატოლოგიური დაწესებულებების საქმიანობის შეფასების ხარიხობრივი ინდიკატორები, სტომატოლოგიური დაავადებების მკურნალობის ნაციონალური გაიდლაინები და სხვ.

მიუხედავად ყოველივე ამისა, საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის პროცესში გაჩნდა სტომატოლოგიური მომსახურების დაფინანსების ახალი წყაროები, რამაც განაპირობა სტომატოლოგიური სამკურნალო დაწესებულებების ძირითადი საწარმოო ფონდების სრულყოფა, დანადგარების განახლების, მენეჯმენტის ეფექტიანობის ამაღლების ტენდენცია. განვითარდა დარგის ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა თერაპია, ქირურგია, ორთოპედია, ორთოდონტია. დაინერგა ახალი ტექნოლოგიები. ამაღლდა ექიმთა კვალიფიკაცია, გაუმჯობესდა სტომატოლოგიური დაავადებების მკურნალობის ხარისხი, პაციენტების ინდივიდუალური პროფილაქტიკური მკურნალობის დონე. გაიზარდა ექიმ-სტომატოლოგთა და სტომატოლოგიური დაწესებულებების პერსონალის მატერიალური უზრუნველყოფის, პროფესიული პასუხისმგებლობისა და პაციენტების სამართლებრივი ცოდნის დონე.

უკანასკნელ წლებში მსოფლიოში დიდი მნიშვნელობა ენიჭება Total Quality Managment-ის იდეოლოგიას (ხარისხის საყოველთაო მართვა). აღნიშნული იდეოლოგიის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფა უნდა ვიგულისხმოთ არა მხოლოდ როგორც მკურნალობის ტექოლოგია, კრიტერიუმები და პარამეტრები, არამედ მკურნალობის პროცესისა და მისი შედეგების შესაბამისობა მომხმარებლის მოლოდინთან.

ამჟამად აქტიურად მუშაობენ სამედიცინო მომსახურების სტანდარტების შექმნაზე აშშ და ევროპის მაღალგანვითარებული ქვეყნები. აზიაში ტექნიკური სტანდარტიზაციის საკითხებში ლიდერობს იაპონია. ნაციონალური სტანდარტების საფუძველზე იქმნება საერთაშორისო სტანდარტების მექანიზმები.

განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა კი საფუძვლად იყენებს საერთაშორისო სტანდარტებს, მაგრამ მათ

შეაქვთ კორექტივები, რომლებიც შეესაბამება ნაციონალურ თავისებურებებს.

ეკონომიკაში, სხვადასხვა დროს, თანმიმდევრობით იცვლებოდა ხარისხის შეფასების პრინციპები. პირველად ხარისხი განიხილებოდა, როგორც ერთი მთავარი, დომინანტი ნიშან-თვისების მახასიათებელი, რომელიც მკაფიოდ ახასიათებდა საქონელს ან მომსახურებას და განსაზღვრავდა მათ საჭიროებას. შემდეგ იგი განისაზღვრა, როგორც მრავალი ნიშან-თვისებისა და მახასიათებლის ერთობლიობა, რაც დაფიქსირებული იყო სხვადასხვა დოკუმენტის სახით (სტანდარტები, ბრძანებები, რეკომენდაციები). შემდგომ ეტაპზე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ხარისხის კავშირის დადგენა ეკონომიკურ მაჩვენებლებთან, კერძოდ რესურსების ხარჯვასთან.

ამჟამად, სტომატოლოგიური დაწესებულებების საქმიანობის ობიექტური შეფასების, არსებული პრობლემების გამოვლენის, მათი საქმიანობის ხარისხის კონტროლისა და ეფექტიანი დაგეგმვისათვის საჭიროა პაციენტებისა და პერსონალის რეგულარული გამოკითხვების ჩატარება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ხშირ შემთხვევაში პაციენტები აფასებენ არა მკურნალობის ხარისხს, არამედ სხვადასხვა ფაქტორების კომპლექსს, რომელიც თან სდევს გაწეულ სამედიცინო მომსახურებას (მაგალითად, პერსონალის მიერ გამოჩენილი ყურადღება).

პაციენტების უკმაყოფილობის მიზეზი სტომატოლოგიური მკურნალობით, უფრო ხშირად ორთოპედიულ მკურნალობასთანაა დაკავშირებული, რაც შემთხვევითი არ არის. ჩვეულებრივ, ორთოპედიული მკურნალობა სტომატოლოგიური მომსახურების კომპლექსური ტექნოლოგიის საბოლოო რგოლოა და ექიმი-ორთოპედები ხშირად უნებლიედ აგებენ პასუხს არა მხოლოდ საკუთარ, არამედ მათი კოლე-

გების – თერაპევტებისა და ქირურგების შეცდომებზე. ამასთან, დღემდე არ არის შემუშავებული მაგალითად, კბილის პროთეზების დამზადების ხარისხის კრიტერიუმები და შეფასების მექანიზმი.

ზოგადად, ძირითად ნაკლოვანებებსა და შეცდომებს ექიმ-სტომატოლოგთა საქმიანობაში, რომლებიც განაპირობებენ გართულებებსა და ამის შედეგად კონფლიქტურ სიტუაციებს მიეკუთვნება:

1. სტომატოლოგიური მომსახურების, ხშირად მკურნალობის დაწყებამდე ჩატარებული გამოკვლევებისა და დიაგნოსტიკის დაბალი ხარისხი, არასათანადო კონტროლი მკურნალობის სხვადასხვა ეტაპებზე, საექიმო მანიპულაციების წესიების დარღვევა;
2. დეონტოლოგიის პრინციპების უგულებელყოფა, პაციენტის ინფორმირების, მასთან ურთიერთობის პრინციპების დარღვევა;
3. საექიმო დოკუმენტაციის შედგენის ნაკლოვანებები, რაც არ იძლევა ჩატარებული დიაგნოსტიკური, სამკურნალო, საკონტროლო და სარეაბილიტაციო ღონისძიებების სისრულესა და სტრუქტურაზე მსჯელობის საშუალებას.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ზოგჯერ პაციენტების პრეტენზიები, საჩივრები სხვადასხვა ინსტანციებსა და სასამართლო ორგანოებში სავსებით უსაფუძვლოა. ამგვარ გაუმართლებელ პრეტენზიებს სტომატოლოგიური მომსახურებისა და ექიმების მიმართ, როგორც წესი, გამოთქვამენ პაციენტები ნერვიული და ემოციური მოშლილობით.

სტომატოლოგიური მომსახურების ხარისხის ამაღლების სამუშაოთა ორგანიზაცია სისტემური მიდგომის პრინციპებზე მოითხოვს მკაფიო წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რა საშუალებებით განხორციელდება ხარისხზე მმართველობითი ზეგავლენა. ეს შესაძლებელია განისაზღვროს რო-

გორც მომსახურების ხარისხის ამაღლების *ფაქტორები და პირობები.*

სტომატოლოგიური მომსახურების ხარისხის ამაღლების *ფაქტორებში* იგულისხმება შენობა, დანადგარები, მოწყობილობა, ინვენტარი, მომსახურების ტექნოლოგია, პერსონალის კვალიფიკაცია, რასაც ძალუძს მომსახურების თვისებების შეცვლა (გაუმჯობესება).

მომსახურების ხარისხის ამაღლების *პირობებში* კი იგულისხმება ის კონკრეტული გარემო და ვითარება, რომელშიც მოქმედებენ ხარისხის ამაღლების ფაქტორები - მომსახურების წარმოებისა და პერსონალის შრომის ორგანიზაციის, შრომის ანაზღაურების, მატერიალური და მორალური წახალისების ფორმები, სამკურნალო დაწესებულების ზნეობრივ-ფსიქოლოგიური კლიმატი.

სტომატოლოგიური მომსახურების ხარისხის მართვის ერთ-ერთი ურთულესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ზემოაღნიშნული ფაქტორებისა და პირობების ჰარმონიული შერწყმის უზრუნველყოფა სამართი ზეგავლენის შემუშავებისას. ამისათვის კი საჭიროა კონკრეტული სამკურნალო დაწესებულების პირობების გათვალისწინება, ვინაიდან სხვადასხვა ფაქტორები ახდენენ ხარისხზე არაერთგვაროვან ზემოქმედებას.

სტომატოლოგიური მომსახურების ხარისხის ამაღლება ხელსაყრელი უნდა იყოს არა მხოლოდ სამკურნალო დაწესებულებისთვის, არამედ პაციენტისთვისაც. მომსახურების თვითღირებულების შემცირება მისი თვისებების გაუარესების შედეგად, ისევე როგორც თვითღირებულების ზრდა, არ შეესაბამება პაციენტების ინტერესს. ამიტომ ხარჯებისა და მკურნალობის შედეგის, სტომატოლოგიური მომსახურების ღირებულებისა და სამომხმარებლო ღირებულების ოპტიმალური შეფარდება ხარისხის ამაღლების ერთ-ერთი

მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია რეალური, თუ სტომატოლოგიური სამკურნალო დაწესებულებები შეძლებენ პაციენტების დარწმუნებას იმაში, რომ სთავაზობენ მათ მაღალი ხარისხის მომსახურებას უფრო დაბალ ფასად, ვიდრე გულისხმობენ პაციენტები.

სტომატოლოგიურ დაწესებულებათა ხელმძღვანელები განიხილავენ ფასწარმოქმნას, როგორც ძირეულ პრობლემას და გამოყოფენ სამ ძირითად საკითხს:

1. როგორია სტომატოლოგიურ მომსახურების საბაზრო ფასი;
2. როგორია კონკრეტული დაავადების მკურნალობის ფაქტობრივი დანახარჯები;
3. როგორ შევცვალოთ ფასი კონკურენციისა და ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებით.

ფასწარმოქმნის მექანიზმის ოპტიმიზაციის მიზნით, ზემოაღნიშნულის გარდა, მიზანშეწონილია ისეთი ეკონომიკური ფაქტორებისა და მოვლენების გათვალისწინება, როგორებიცაა უდანაკარგობის (უზარალობის) წერტილი და მომსახურების წარმოების მასშტაბის ეფექტი.

ბოლო წლებში პაციენტების საგრძნობლად გაზარდილმა მოთხოვნამ სტომატოლოგიური მომსახურების დონის, შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და ფასის მიმართ აუცილებელი გახდა სტომატოლოგიური მკურნალობის ხარისხის შეფასების კონცეფციის შემუშავება, რომელიც დაეფუძნება ერთიან პრინციპებს, კრიტერიუმებსა და ფაქტორებს, რაც უთუოდ ეფექტიან გავლენას მოახდენეს სტომატოლოგიური მკურნალობის ხარისხზე.

საქართველოს ყველა სტომატოლოგიურმა დაწესებულებამ, მიუხედავად საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისა, უნდა შეიმუშაოს სტომატოლოგიური მომსახურების უნიფიცირებული ნორმატიულ-

სამართლებრივი შიდა დოკუმენტების პაკეტი, სტომატოლოგიური მომსახურების სტანდარტები (პაციენტების მკურნალობის პროტოკოლები), დებულება სტომატოლოგიური მომსახურების შედეგების გარანტიებისა და ვადების შესახებ.

მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია არა მხოლოდ სტომატოლოგიური მომსახურების ეროვნული სტანდარტის, არამედ ყველა სტომატოლოგიური დაავადების მკურნალობის შესაბამისი გაიდლაინების შემუშავება. ამისათვის კი აუცილებელია სტომატოლოგიური მომსახურების ხარისხის მინიმალური (სავალდებულო და საკმარისი) დონის დადგენა, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ექიმის ქმედების განსაზღვრულ ალგორითმს, არამედ მისი შეფასების კრიტერიუმებსაც.

ხარისხის მართვის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, სტომატოლოგიურ დაწესებულებებში მომსახურების სტანდარტების დამუშავებისას, როგორც მთლიანად დარგის დონეზე, ასევე სტომატოლოგიურ დაწესებულებებში, უნდა გამოვიყენოთ სტანდარტების ისეთი სქემა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ეტაპობრიობა, კონტროლირებადობა, დიაგნოსტიკური მონაცემების ერთიანი ინტერპრეტაცია და შემოთავაზებული კრიტერიუმების გამოყენება მკურნალობის ყველა ეტაპზე.

საჭიროა აგრეთვე საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება და სპეციალური პროგრამის შექმნა ექსპერტ-სტომატოლოგთა მომზადებისათვის, ექიმ-სტომატოლოგთა კვალიფიკაციის ამაღლების საფუძველზე.

არასაუწყებო კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით უნდა შეიქმნას ავტონომიური, არაკომერციული ორგანიზაციები, რომელსაც ექნება სტომატოლოგიური მომსახურების ხარისხის დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარების უფლება და შესაძლებლობა.

## ლიტერატურა:


1. ვერულავა თ. ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა. თბილისი, გამომცემლობა "საქართველოს უნივერსიტეტი", 2009.
2. ურუშაძე რ. სახელმწიფო პასუხისმგებლობა და ჯანდაცვის სისტემები. თბილისი, გამომცემლობა "ლეგა", 2010.
3. ხომერიკი თ., მენჯმენტის საფუძვლები. თბილისი, უნივრსიტეტის გამომცემლობა, 2008.
4. Bjorndal, D.L., Dental service patterns among private and public adult. patients in australia health serviceces. BMC Health Serviceces,2008.
5. Donabedian A., An introduction to quality assurance in health care. Oxford University Press, 2003.
6. Khatib L.A., Dentists' perceptions of occupational hazards and preventive measures in east jerusalem. Jerusalem: East Mediterr Health Journal, 2006
7. Mindak M.T., Service quality in dentistry: the role of the dental nurse. Dent. Assoc. S. Afr., 2006.
8. Puriene A., General health of dentists. Literature review. Puriene A. Stomatologija. Vol. 9, №1, 2007.
9. Боровский Е. В., Терапевтическая стоматология, Москва, издательство “Медицина” № 4, 2010


## RESUME

## PERSPECTIVES OF THE PROVISION OF THE DENTAL SERVICES QUALITY IN GEORGIA


**Marina Abuladze**



In the article, the formation of the quality management system and in some cases, the restructuring proposals of the spontaneously

formed model on the system bases have been designed in the dental therapy institutions of Georgia. The mentioned system functioning is considered in the terms of economic methods of management.

Enhancement of economical affectivity method of dental service is not practical to my mind. From this methodological point of view perhaps it is significant to consider the complex dental service as a single cycle, the organizational, technical, economic, legal and other preterm of which subordinates to the one main task of quality-economical appropriateness.

# ცხოველთა ქცევის ადრეული ნეიროქიმიური პრედიქტორების შეფასების ახალი მეთოდი

**ლედი გაჩეჩილაძე[a], ნოდარ ჭიჭინაძე[a, b], კონსტანტინე ჭიჭინაძე[c, d, *]**

*[a] Tbilisis damoukidebeli universiteti "gorgasali"*

*[b] ა. ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი*

*[c] ი. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი*

*[d] ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

მოცემული სტატია ერთგვარი განზოგადოებაა ახლახან გამოქვეყნებული სტატიებისა, რომლებშიც წარმოდგენილია ახალი მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ დომინანტური ქცევის ნეიროქიმიური პრედიქტორები (გაჩეჩილაძე და თ.ა. 2012; Chichinadze et al., 2013, 2014). თუმცა, ჩვენი აზრით, მოცემული მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია შეფასდეს არა მარტო აღნიშნული, არამედ ორგანიზმის ყველა ის ქცევა (პირობითად ვუწოდოთ – S ქცევა), რომლებიც ერთდროულად აკმაყოფილებენ შემდეგ ორ პირობას:

(i) ორგანიზმისთვის დამახასიათებელი მთელი რიგი პარამეტრის განსაზღვრა მხოლოდ ერთხელ – პოსტმორტალურად არის შესაძლებელი და ამიტომ, დეკაპიტაციას მოითხოვს (მსგავსად, ზოგიერთი ნეიროქიმიური პარამეტრისა);

(ii) როდესაც გაუგებარია, ეს ატრიბუტები მხოლოდ – S ქცევვის პრედიქტორებს წარმოადგენენ, თუ ყალიბდებიან მოცემული ქცევის ზემოქმედების წყალობით (მაგ. იმ პრეფერენციების გამო, რომელსაც ინდივიდი იღებს დომინანტური სტატუსის მიღების შედეგად). ნათელია, რომ მრავალი ფაქტორი, დაწყებული stressful event-დან – დამთავრებული

დომინირებით, სერიოზულად ცვლის როგორც ტვინის ბიო-ქიმიურ პროფილს (Kudryavtseva et al., 2004), ისე ორგანიზმში ზოგადად რნმ-ის მდგომარეობასაც კი (Gapp et al., 2014). ცნობილია, რომ ფსიქოგენური სტრესი ცვლის დაახლოებით 2000 გენის ეპიგენეტიკურ პატერნს (epigenetic patterns) (Wilkinson, 2009), ხოლო ტრანსკრიპტომური (transcriptomic) პასუხი დამოკიდებულია სტრესის მახასიათებლებზე (Reyes et al., 2003). ანალოგიურ ცვლილებებს ადგილი აქვს ეპიგენეტიკური პასუხისას (Stankiewicz et al., 2013). მართა-ლია, ამ უკანასკნელ ცვლილებებს ადგილი აქვს შედარებით მცირე დროის განმავლობაში (Stankiewicz et al., 2013), მაგრამ სხვა ცვლილებები უფრო ხანგრძლივია და გადაეცემა თაობიდან თაობას.

რასაკვირველია, მკვლევარების მიერ დეტალურად არ-ის შესწავლილი მრავალი სხვადასხვა ქცევის ნეიროქიმიური თუ სხვა ატრიბუტები და დეტერმინანტები, განსხვავებით ამ ქცევის ნეიროქიმიური პრედიქტორებისგან, რომელიც თით-ქმის არ არის შესწავლილი ტექნიკური სირთულეების გამო (დომინანტურ ქცევასთან მიმართებაში ჩვენ ეს საკითხი დეტალურად განვიხილეთ ზემოთმოყვანილ სტატიებში). გამომდინარე აქედან, გაუგებარი რჩება რამდენად მართე-ბულია ამა თუ იმ ნეიროქიმიური ფაქტორების განხილვა, როგორც აღნიშნული S ქცევის პრედიქტორების? ხომ არ აჯობდა სხვა ფაქტორებისთვის დაგვეთმო მეტი ყურადღება? მოცემული საკითხი მოითხოვს სპეციალურ ანალიზს. მის გადასაჭრელად შემდეგი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტი გამოვიყენეთ. მოცემული პრობლემის გადაწყვეტაში ჩვენ და-გვეხმარა ერთი ძველი და საყოველთაოდ ცნობილი ამოცანა, რომელიც დაკარგული გასაღების ძებნას უკავშირდება. მის მიხედვით, ბარიდან გამოსული ადამიანი, რომელმაც ქუჩაში დაკარგა გასაღები, ეძებს მას ქუჩის განათებულ და არა ბნელ

ნაწილში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუკი ამოცანა-შივე ჩადებულია ის პირობა, რომ ძებნის სხვა ინსტრუ-მენტარი გარდა ვიზუალურისა, მისთვის მიუწვდომელია (Kaplan, 1964; Маковецкий, 1979). მოცემული მიდგომა “The Streetlight Effect”-ის სახელწოდებით არის ცნობილი. სხვაგვარად მას უწოდებენ "The principle of the drunkard's search" (Rosnow & Rosenthal, 2002), რადგანაც გულისხმობს ძიების სიმარტივეს, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია მოცემული გასაღები სულაც არ არის ჯიბიდან ამოვარდნი-ლი ქუჩის განათებულ ნაწილში (Demirdjian et al., 2005). აღნიშნული ამოცანა მოიცავს, როგორც მაძებარის სურვილს რაც შეიძლება მარტივად მოძებნოს გასაღები, ისე *გარკვეულ-წილად* ოპტიმალურ სტრატეგიას მისი ძიებისათვის. მოცემული მიდგომა გამოიყენება, როგორც ქცევითი, ისე სხვა ტიპის სამეცნიერო პრობლემების გადასაწყვეტად (Cohen, 2010). ჩვენც ამ გზით წავედით და S ქცევის ნეი-როქიმიური პრედიქტორების შესასწავლად ძირითადად იმ ფაქტორებს ვიყენებთ, რომელიც კარგად არის შესწავლილი როგორც მოცემული კონკრეტული ქცევის ატრიბუტები და დეტერმინანტები. რასაკვირველია, მათი რელევანტურობა შესასწავლ ქცევასთან მიმართებაში მოითხოვს უფრო სოლი-დურ დადასტურებას, მაგრამ ობიექტური ინფორმაციის დე-ფიციტის პირობებში სხვა მიდგომა – ძნელად რეალიზე-ბადია. მიუხედავად, იმ კრიტიკისა, რომელსაც მოცემული მიდგომა განიცდის სამეცნიერო ლიტერატურაში, მაინც ყვე-ლაზე სარწმუნოდ იგი გვესახება. მართლაც, შეუძლებელია პოსტმორტალური კვლევის შემდეგ იმის დადგენა ესა თუ ის პარამეტრი S ქცევის შედეგი იყო თუ მისი განვითარების წინაპირობა. ასევე შეუძლებელია იმის თქმა რა საწყისი (“ბაზისური”) ნეიროქიმიური მახასიათებლებით ხასიათდე-ბოდნენ ის ინდივიდები, რომლებიც S ქცევითი აქტივობის

ჩვენთვის საინტერესო დონე ჰქონდათ, რადგანაც ამისთვის ისევ პოსტმორტალური კვლევა არის შესასრულებელი და მაშასადამე, ჩვენ აღარ გვექნება მათზე შემდგომი დაკვირვების (ანუ ქცევითი აქტივობის მიხედვით ცხოველთა რანჟირების) საშუალება. გამოდის, რომ ამ "მანიპულაციების" შედეგად, ჩვენ ვიღებთ ინფორმაციას ორგანიზმის მხოლოდ ერთ მდგომარეობაზე, მაშინ როდესაც მეორე მდგომარეობა შეუქცევადად იცვლება. მაშასადამე, ნეიროქიმიური პრედიქტორების შესახებ ინფორმაცია, შეუთავსებამია ამავე ორგანიზმთა რანჟირებასთან (S ქცევითი აქტივობის მიხედვით). ჩვენი აზრით, მოცემული სიტუაცია ფორმით (მაგრამ, რასაკვირველია, არა შინაარსით) ძალიან ჰგავს მდგომარეობას, რომელსაც ქვანტურ მექანიკაში ჰაიზენბერგის განუსაზვრელობის პრინციპი (Heisenberg uncertainty principle) აღწერს (Folland & Sitaram, 1997; Rozema et al., 2012): როდესაც ერთი პარამეტრის მაღალი სიზუსტით ცოდნა (მაგ. მიკროობიექტის იმპულსის) შეუქცევადად ცვლის მეორეს მონაცემთა (შესაბამისად, მიკროობიექტის ლოკალიზაციის) სიზუსტეს (რასაკვირველია, მოცემულ სტატიაში, აღნიშნული პრინციპი გამარტივებული სახით ჩამოვაყალიბეთ).

ყოველივე ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე იძულებული ვართ დავეყრდნოთ ამა თუ იმ ქცევის უკვე კარგად შესწავლილ ატრიბუტებსა და დეტერმინანტებს (მათ შორის – ნეიროქიმიურს), მიუხედავად იმისა წარმოადგენენ ისინი თუ არა მოცემული ქცევის *რეალურ* პრედიქტორებს. აღნიშვნის ღირსია, რომ ასეთი მიდგომა – დავეყრდნოთ ყველაზე უფრო ადვილად "შესამჩნევ" ნიშნებს, გამოიყენება ზოგჯერ პარადოქსული ამოცანების ამოხსნისთვისაც კი. სწორედ მისი წყალობით, დიდი ხნის წინ ამერიკელმა მკვლევარებმა F. Morrison-მა და G. Cocconi-მ ავტორიტეტულ ჟურნალში – *Nature* შეაფასეს (ოღონდ, თავიანთ სტატიაში

მათ არ დაუსახელებიათ მოცემული მეთოდი) რადიოტალღების თუ რა სიხშირეზეა უფრო ალბათური უცხოპლანეტელებთან კონტაქტი (Morrison & Cocconi, 1959). კერძოდ, მათ ივარაუდეს, რომ ასეთი კონტაქტი (რასაკვირველია, თუკი დედამიწის გარდა სადმე კიდევ არსებობს სიცოცხლის განვითარებული ფორმა) სამყაროში ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული ნეიტრალური წყალბადის (Greenwoodhttp://www.amazon.com/Chemistry-Elements-Second-Edition-Greenwood/dp/0750633654 & Earnshaw, 1997) სიხშირეზეა შესაძლებელი ($f_H$=1 420 405 751,7864... ჰც).

თუმცა, ნეიროქიმიური ფაქტორების შერჩევა მხოლოდ ნაწილია სარწმუნო პრედიქტორების დადგენის პროცესისა. საჭიროა იმ ქცევითი ან ნებისმიერი სხვა ბუნების ტესტების დადგენაც, რომლებიც გამოსადეგია მოცემული პრედიქტორების იდენტიფიკაციის საქმეში. ამ მხრივ კვლევის ჩატარება შედარებით ადვილია, რადგანაც ქცევითი აქტივობა, ისევე როგორც ცხოველის ბევრი სხვა პარამეტრის სიდიდე, ცხოველის სიცოცხლეშივე ბევრად უფრო ადვილი შესასწავლია, ვიდრე ზოგიერთი ნეიროქიმიური აგენტის კონცენტრაციისა. ჩვენი აზრით ამ პროცესში, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს არა- და ნაკლებ-ინვაზიურ ტესტებს, რომლებიც მინიმალურად ზემოქმედებენ ცხოველის შემდგომ ქცევაზე (მათ შორის ე.წ. S ქცევაზე) და არ ცვლიან მისი ტვინის ბიოქიმიურ პროფილს. ცხოველთა საწყისი ("ბაზისური") მონაცემების მისაღებად უმჯობესია, რომ მოცემული მეთოდები გამოყენებულ იქნას ადრეულ ეტაპზე (თუ რამდენად ადრე – ეს კონკრეტული კვლევის მიზნებიდან უნდა გამომდინარეობდეს), ე.ი. მანამ, სანამ მოხდება ცხოველთა რანჟირება S ქცევის მიხედვით და გამოიყოფა ის ინდივიდები, რომლებიც ხასიათდებიან S ქცევითი ტიპის ჩვენთვის საინტერესო დონით (იხ. სურათი A). ნეიროქიმიური ანალიზის ჩასატარებლად ქცევი-

თი თუ სხვა სახის პრედიქტორების გამოყენების საჭიროება შემდეგმა არგუმენტმა მოიტანეს. როგორც მრავალი წლის წინ ორგანოთა ასაკობრივ დინამიკაზე გამოქვეყნებულ სტატიაში Е.М. Марголин აღნიშნავდა “в идеале для определения возрастных различий надо было бы изучать один и тот же орган в его индивидуальном развитии, т.е. у одного и того же индивида... Но из-за технических и этических ограничений – это невозможно. Поэтому к решению вопроса приходится подходить косвенным путем, сравнивая один и тот же орган в разные возрастные периоды у разных лиц” (Марголин, 1960). იგივე არგუმენტებიდან გამომდინარე, ჩვენ იძულებული ვიყავით კვლევის თავდაპირველ ეტაპზე (სერია I, იხ. სურათი) შეგვესწავლა S ქცევის არანეიროქიმიური პრედიქტორები (საუბარია $T_1$, $T_2$...$T_n$ ტესტების განსაზღვრაზე) – უფრო ზუსტად, ის არანეიროქიმიური პრედიქტორები რომლებითაც ხასიათდებოდნენ ინდივიდები სანამ ჩვენ მოვახდენდით მათ რანჟირებას S ქცევის მიხედვით. შემდეგ უნდა მოვახდინოთ ცხოველთა რანჟირება S ქცევითი აქტივობის მიხედვით. მხოლოდ მას შემდეგ რაც სტატისტიკურად სარწმუნოდ დადგინდება, რომ S ქცევის სხვადასხვა დონეს შესწავლილი $T_1$, $T_2$,...$T_n$ ტესტებიდან რომელიმე ამ ტესტის(-ების) აქტივობა შეესაბამება, გვექნება საშუალება გადავიდეთ ექპერიმენტთა II სერიაზე (S ქცევის ნეიროქიმიურ დეტერმინანტთა განსაზღვრა ფაკულტატურია და შეიძლება შესწავლილ იქნას/არ იქნას კონკრეტული კვლევის მიზნებიდან გამომდინარე).

რაში გვჭირდება ქცევითი და სხვა ბუნების პრედიქტორების დადგენა ნეიროქიმიური პრედიქტორების დასადგენად? თუ სტატისტიკურად სარწმუნოდ დადგინდა კავშირი $T_1$, $T_2$...$T_n$ ტესტებიდან რომელიმესა და რანჟირების შემდეგ S ქცევითი აქტივობის ამა თუ იმ დონეს შორის, მაშინ შეგვიძლია გადავიდეთ ექსპერიმენტული კვლევის მეორე

სერიაზე (სერია II, იხ. სურათი). კერძოდ, დავადგინოთ თუ რამდენად შეესაბამება მოცემული ტესტები ახალი ნაïვე ცხოველების S ქცევითი აქტივობის დონეს (მოცემულ პროცედურას გაივლის ჩვენთვის საინტერესო შესაბამისი შ ქცევითი აქტივობის მქონეთა 50%. ამ პროცედურას ვატარებთ ჩვენი მეთოდის სისწორეში "ურწმუნო თომათა" დასარწმუნებლად). ხოლო დარჩენილ 50%-s, შესაბამისი $T_1$, $T_2$...$T_n$ მქონე მახასიათებლების ცხოველთა დეკაპიტირების შემდეგ დადგინდება ის *ჭეშმარიტი* ნეიროქიმიური პრედიქტორები, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო შ ქცევით აქტივობის დონეს შეესაბამება. სწორედ ასეთი არაპირდაპირი გზით შესაძლებელია გამოვაცალკევოთ ამა თუ იმ ქცევის პრედიქტორები ამავე ქცევის დეტერმინანტებისაგან.

ჩვენს მიერ აღწერილი მეთოდი, თავისი მეთოდოლოგიური პოტენციალით განსხვავდება ნეირომეცნიერებებში ბოლო წლებში აღმოჩენილი ისეთი მეთოდებისაგან, როგორიცაა "Optogenetics" (Boyden et al., 2005), "Brainblow" (Livet et al., 2007), "Spectrum of Fates" (Almeida et al., 2014) და სხვა. უფრო მეტიც, ჩვენს მიერ შემუშავებულ მეთოდს სხვა ფუნქცია გააჩნია. მაგრამ, მაინც ვთვლით, რომ მისი გამოყენება შეიძლება ზემოთმოყვანილი მეთოდების პარალელურად (სხვადასხვა მიდგომების გამოყენების პარალელიზმზე საუბრობენ ერთ-ერთი აღნიშნული მეთოდის ავტორები – იხ. Lichtman et al., 2008). მათი ასეთი პარალელური გამოყენება გაამდიდრებდა სამყაროზე ჩვენს ობიექტურ წარმოდგენებს.

## ლიტერატურა:


1. გაჩეჩილაძე ლ., ჭიჭინაძე ნ., ჭიჭინაძე კ. ცხოველთა სოციალური რანგის პრედიქტორების განსაზღვრის მეთოდი (საზეპურის მეთოდი). *თბილისის დამოუკიდებელი*

*უნივერსიტეტი "გორგასალი". სამეცნიერო შრომების კრებული*. 2012. ტ. IV. გვ. 261-280.
2. Almeida A.D., Boije H., Chow R.W., He J., Tham J., Suzuki S.C. & Harris W.A. Spectrum of Fates: a new approach to the study of the developing zebrafish retina. *Development*. 2014. 141(9): 1971-1980. http://en.wikipedia.org/wiki/Digital–object–identifier
3. Boyden E.S., Zhang F., Bamberg E., Nagel G., Deisseroth K. Millisecond-timescale, genetically targeted optical control of neural activity. *Nat. Neurosci*. 2005. 8 (9): 1263-1268.
4. Chichinadze K., Chichinadze N., Gachechiladze L. and Lazarashvili A. New Method for Predicting Dominant Individuals in Mammalian Social Structure (Sazepuri Method). In: *Aggressive Behavior: New Research*. Edited by Renaud Bodine and Danielle R. Bucher. 2013. NY: Nova Publishers. pp. 93-118.
5. Chichinadze K., Chichinadze N., Gachechiladze L., Lazarashvili A. and Nikolaishvili M. Physical Predictors, Behavioral/Emotional Attributes and Neurochemical Determinants of Dominant Behavior. *Biological Reviews*. 2014. Doi: 10.1111/brv.12091 (In Press).
6. Cohen D. Methods in cultural psychology. *Handbook of Cultural Psychology*. Shinobu Kitayama & Dov Cohen (Eds). 2010. NY: The Guilford Press. pp. 196-236.
7. Demirdjian D., Taycher L., Shakhnarovich G., Grauman K. and Darrell T. Avoiding the streetlight effect: Tracking by exploring likelihood modes. In: Proceedings of the International Conference on Computer Vision, Beijing, PRC, 17-21 October 2005. *Computer Vision*. 2005. ICCV 2005. 10th IEEE International Conference on. Vol. 1. pp. 357-364; Doi: 10.1109/ICCV.2005.41.
8. Folland G. Sitaram A. The Uncertainty Principle: A Mathematical Survey. *Journal of Fourier Analysis and Applications*. 1997. pp. 207-238.
9. Gapp K., Jawaid A., Sarkies P., Bohacek J., Pelczar P., Prados J., Farinelli L., Miska E. & Mansuy I.M. Implication of sperm

RNAs in transgenerational inheritance of the effects of early trauma in mice. *Nature Neuroscience*. 2014. doi:10.1038/nn.3695 (In press).
10. Greenwood N.N.http://www.amazon.com/Chemistry-Elements-Second-Edition-Greenwood/dp/0750633654 & Earnshaw A. Chemistry of the Elements. 2nd Edition. Amserdam, Boston, Heidelberg: Elsevier Butterworth Heinemann. 1997. 1600 p.
11. Kaplan A. *The conduct of inquiry: Methodology for behavioral science*. 1964. San Francisco, CA: Chandler.
12. Kudryavtseva N.N., Filipenko M.L., Bakshtanovskaya I.V., Avgustinovich D.F., Alekseenko O.V. & Beilina A.G. Changes in the Expression of Monoaminergic Genes under the Influence of Repeated Experience of Agonistic Interactions: From Behavior to Gene. *Russian Journal of Genetics*. 2004. 40(6): 590-604.
13. Lichtman J.W., Livet J., Sanes J.R. A technicolour approach to the connectome. *Nature Reviews Neuroscience*. 2008. 9: 417-422.
14. Livet J., Weissman T.A., Kang H., Draft R.W., Lu J., Bennis R.A., Sanes J.R. & Lichtman J.W. Transgenic strategies for combinatorial expression of fluorescent proteins in the nervous system. *Nature*. 2007. 450 (7166): 56-62.
15. Reyes T.M., Walker J.R., DeCino C., Hogenesch J.B. & Sawchenko P.E. Categorically distinct acute stressors elicit dissimilar transcriptional profiles in the paraventricular nucleus of the hypothalamus. *J Neurosci*. 2003. 23: 5607-5656.
16. Rozema L.A., Darabi A., Mahler D.H., Hayat A., Soudagar Y., Steinberg A.M. Violation of Heisenberg's Measurement-Disturbance Relationship by Weak Measurements. *Physical Review Letters*. 2012. 109(10): e100404.
17. Rosnow R. & Rosenthal R. *Beginning behavioral research*. 2002. Upper Saddle River. NJ: Prentice Hall.
18. Morrison F. & Cocconi G. Searching for interstellar communication. *Nature*. 1959. 184(4690): 844-846.
19. Stankiewicz A.M., Swiergiel A.H. & Lisowski P. Epigenetics of stress adaptations in the brain. *Brain Res Bull*. 2013. 98: 76-92.

20. Wilkinson M.B., Xiao G., Kumar A., LaPlant Q., Renthal W., Sikder D., Kodadek T.J. & Nestler E.J. 2009. Imipramine treatment resiliency exhibit similar chromatin regulation in the mouse nucleus accumbens in depression models. *J Neurosci*. 29: 7820-7832.
21. Маковецкий П.В. *Смотри в корень! Сборник любопытных задач и вопросов*. 4 изд. М.: Наука. 1979.
22. Марголин Е.М. Изучение возрастных анатомических различий в свете индивидуальной изменчивости. *Архив анатомии, гистологии и эмбриологии*. 1960. 39(10): 108-112.

(A) სერია I




(A) ექსპერიმენტთა I სერიის ზოგადი სქემა

$T_1$, $T_2$, ... $T_n$ ტესტები – სხვადასხვა ტიპის და ბუნების n რაოდენობის ტესტების ჩამონათვალი, რომელთა საშუალებით შესაძლებელია ინდივიდთა სხვადასხვა ქცევითი, ემოციური და ა.შ. მახასიათებლების განსაზღვრა;

(B) სერია II




სურათი.

(B) ექსპერიმენტთა II სერიის ზოგადი სქემა
აღნიშვნები-იგივეა

## SUMMARY

# A New Method for Assessing Early Neurochemical Predictors of Animal Behavior

**L. Gachechiladze [a], N. Chichinadze [a, b], K. Chichinadze [c, d]**
[a] *Independent University "*Gorgasali"
[b] *A. Natishvili Institute of Morphology*
[c] *I. Beritashvili Center of Experimental Biomedicine*
[d] *I. Javakhishvili Tbilisi State University*

This article is a definite generalization of recently published articles presenting a new method, which makes it possible to assess neurochemical predictors of dominant behavior. However, in our opinion, the use of this method enables assessing not only the mentioned behavior, but also all the behaviors of the organism (let us call it conventionally S behavior), which meet concurrently the following two conditions:

(i) Determination of a whole number of parameters characteristic of the organism (certainly during the S behavior) is possible only once – postmortem, and requires decapitation (similar of some neurochemical parameters);

(ii) When it is unclear whether these attributes represent only predictors of the S behavior or are formed under the impact of the given behavior (e.g., because of the preferences the individual gets as a result of winning the dominant status). It is clear that many factors, beginning with a stressful event and ending with domination, seriously change the biochemical profile of the brain.

# 5α-ანდროსტ-2-ენ-17-ონის წარმოებულების სინთეზი და ბიოლოგიური კვლევა

**ნ. ნადარაია, მ. კახაბრიშვილი,**
**ნ. ბარბაქაძე, ე. ონაშვილი**
*თსსუ იოველ ქუთათელაძის*
*ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი*

მცენარეული წარმოშობის ნივთიერებების ქიმიური მოდიფიკაცია ფარმაკოფორული ჯგუფების შეყვანით, ახალი ორიგინალური პრეპარატების მიღების მიზნით, დღემდე აქტუალურია. ამ გზით შესაძლებელია დადგინდეს ურთიერთკავშირი სინთეზირებული ნაერთის სტრუქტურასა და გამომჟღავნებულ ბიოლოგიურად აქტიურობას შორის, რაც ახალი სამკურნალო პრეპარატების შექმნის ერთ-ერთი პირობაა.

ლიტერატურაში აღწერილია სტეროიდული ნაერთების სხვადსხვა სინთეზური ანალოგი, რომელიც მიიღება მცენარეული ნედლეულიდან გამოყოფილი ნივთიერებების ქიმიური მოდიფიცირებით. ისინი მოკლებულნი არიან ჰორმონალურ აქტიურობას და ამავდროულად ამჟღავნებენ მაღალ ანთებისა და სიმსივნის საწინააღმდეგო, ანტიტუბერკულოზურ, ანტივირუსულ, ანტიარითმიულ, ანტიმალარიულ, ფუნგიციდურ, ჰერბიციდულ და ა.შ. აქტიურობას [1-5].

საქართველოში ინტროდუცირებული მცენარე „იუკა დიდებულისგან“ გამოყოფილი სტეროიდული ნედლეულის - ტიგოგენინის გარდაქმნის პროდუქტების ქიმიური მოდიფიცირებით, ჩვენ მიერ ადრე მიღებულია 5α-ანდროსტანისა და 5α-პრეგნენის რიგის არაერთი სტეროიდული ამინის, ჰიდროქსიმინის, ჰიდრაზონისა და პირაზოლინის ახალი ანალოგი, რომელთაგან ზოგიერთს აღმოაჩნდა მაღალი

ანტიარითმიული, საერთო ნარკოტიკული, ანტივირუსული და ანტიტუბერკულოზური აქტიურობა [6-9].

ვაგრძელებთ რა სამუშაოებს პოტენციური ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების სინთეზის მიმართულებით, შევისწავლეთ ტიგოგენინიდან სინთეზირებული 5α-ანდროსტ-2-ენ-17-ონის (1) გარდაქმნის შესასძლებლობა სხვადასხვა წარმოებულად (2-8).

საწყისი კეტონი (1) მივიღეთ ეპიანდროსტერონის A-ბირთვის დეფუნქციონალიზაციით [10] ნაშრომში აღწერილი მეთოდით. თვითონ ეპიანდროსტერონი სინთეზირებულია ტიგოგენინიდან [11,12].




უჯერი კეტონის (1) გარდაქმნა 17β-ამინო-5α-ანდროსტ-2-ენად (2) განვახორციელეთ ჩვენ მიერ შემუშავებული მეთოდით [10], რომელიც მოიცავს ლოიკარტ-ვალახის აღდგენითი ამინირებისა და მიღებული 17β-ფორმამიდო-5α-ანდროსტ-2-ენის ჰიდროლიზის რეაქციას მარილმჟავიანი მეთანოლის არეში.

ამინის (2) აცილირებით, ქლორაცეტილქლორიდითა და ნატრიუმის ბიკარბონატით დმფა-ს არეში, სინთეზირებულია 17β-ქლორაცეტილამინო-5α-ანდროსტ-2-ენი (3). ეს უკანასკნელი ადვილად შედის დიეთილამინო-, მორფოლინო-, პიპერაზინოჯგუფებით ქლორის ატომის ნუკლეოფილური ჩანაცვლების რეაქციაში. რეაქცია ჩავატარეთ იზოპროპანოლის არეში, სტეროიდისა (3) და მეორეული ამინების ურთიერთქმედებით მივიღეთ შესაბამისი ამიდოწარმოებულები (4-6).

5α-ანდროსტ-2-ენ-17-ონის 2,4-დინიტროფენილჰიდრაზონი (7) და სემიკარბაზონი (8) სინთეზირებულია კეტონის (1) კონდენსაციით 2,4-დინიტროფენილჰიდრაზინსა და სემიკარბაზიდთან ეთანოლის არეში, კატალიზური რაოდენობა ძმარმჟავის თანაობისას.

მიღებულ ნაერთთა სტრუქტურები დადგენილია კვლევის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით.

სტეროიდების (2-8) ანტივირუსული აქტიურობა შესწავლილია აშშ-ს იუტას სახელმწიფო უნივერსიტეტის ალერგიისა და ინფექციურ დაავადებათა ინსტიტუტში. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ აღნიშნული ნაერთებიდან ზოგიერთს აღმოაჩნდა დაბალი ანტივირუსული აქტიურობა.

## ლიტერატურა:


1. Taylor S. D., Harris J. Steroids, 76 (2011), 1098.
2. Richter N., Simon C., Kroutil W., Ward J. M., Hailes H. C. ChemCommun., 50 (2014), 6098.
3. Sharma U., Singh Ch. Medicinal Chemistry research, 17 (2008), 326.
4. Kamernitski A. V., Chernoburova E. I., Chertkova V. V., Zavarzin I. V., Iarovenko B. N., Kraushkin M. M. Bioorgan. Chem. 33 (2007), 337.

5. Campbell T. J., Williams E. M. V. Brit. J. Pharmacol, 76 (1982), 337.
6. Надараиа Н.Ш., Сладков В.И., Дородникова Е.В., Машковский М.Д., Кемертелидзе Э.П., Суворов Н.Н.. Хим.-фарм.ж., 22 (1988), 288.
7. Надараиа Н.Ш., Сладков В.И., Паршин В.А., Дородникова Е.В., Машковский М.Д., Кемертелидзе Э.П., Суворов Н.Н. Авт. свидет. СССР, №1519190, 1989.
8. Сихарулидзе М.И., Надараиа Н. Ш., Кахабришвили М. Л. ХПС, 3 (2012), 382.
9. სიხარულიძე მ., ნადარაია ნ., კახაბრიშვილი მ., ბარბაქაძე ნ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შრომათა კრებული, XLVI (2012), 148.
10. Merlani M.I., Davitishvili M.G., Nadaraia N.Sh., Sikharulidze M.I., Papadopulos K. Chemistry of Natural Compounds, 40 (2004), 144.
11. Кемертелидзе Э. П., Кавтарадзе Л. К., Кинцурашвили Л.А., Дабрундашвили Р.И., А.С. СССР №1266166 (1985).
12. Меньшова Н.И., Корзинкина Н.А., Кемертелидзе Э.П., Надараиа Н.Ш., Давитишвили М.Г. Лищета Л.И., Грошева В.С. Сб. науч.труд. ВНИФХИ, 10 (1982), 83.

## SYNTHESIS OF DERIVATIVES OF 5α-ANDROST-2-EN-17-ONE AND BIOLOGICAL RESEARCH

**N. Nadaraia, M. Kakhabrishvili,**
**N. Barbakadze, E. Onashvili**

### SUMMARY

17β-Amino-5α-androst-2-en, its some acetamidoderivatives, 2,4-dinitrophenylhydrazone and semicarbazone of 5α-androst-2-en-17-one have been synthesized and their antiviral activities have been studied. Starting material, 5α-androst-2-en-17-one, has been obtained by transformation of tigogenine.

# გენმოდიფიცირებული პროდუქტები საქართველოში

**მარინა შაქარაშვილი**
**ლელა დოლიშვილი**
*მედიცინის მეცნიერებათა*
*დოქტორი, პროფესორი*

საკვები პროდუქტი და მისი ხარისხი ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. უხარისხო პროდუქტი, ადრე თუ გვიან, მაინც იჩენს თავს სხვადასხვა სახით. საკვები პროდუქციის ხარიხს და უვნებლობას არეგულირებს კანონი ,,სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ", თუმცა ამ კანონში არსად არის ნახსენები სიტყვა ,,გენმოდიფიცირებული".

გენმოდიფიცირება ახალი ეპოქის სრულიად ახალი საკითხია. ტექნოლოგიებმა არა მარტო სოციალურ-ეკონომიკურ, არამედ აგრონომიულ ინდუსტრიაშიც შეაღწია, ეს ჯერ კიდევ 1940–იან წლებში დაიწყო და 1970–იან წლებამდე გრძელდებოდა. თვითონ მოვლენა კი `მწვანე რევოლუციის" სახელითაა ცნობილი. ახალი წამოწყება შიმშილის პრობლემის წინააღმდეგ იყო მიმართული და იგი სამეცნიერო ტექნოლოგიური პროცესის აგრონომიულ პრაქტიკაში დანერგვას გულისხმობს. ეჭვგარეშეა ის ფაქტი, რომ რევოლუციის იდეა თავის თავში კეთილ განზრახვას ატარებდა, მაგრამ ჩანაფიქრი, ყოველთვის იმ გზით არ მიდის, რომლითაც ჩვენ გვინდა. მაშინდელმა გადაწყვეტილებამ ერთი-ორად გაზარდა პროდუქტიულობა. იმის გამო, რომ მსოფლიოში მასშტაბური შიმშილობა მიმდინარეობდა, დემოგრაფიული ზრდა არ იყო საკვების მოყვანის პროპორციული. ამიტომაც შიმშილობის პრობლემა მწვავედ იდგა.

ცნობილია, რომ გონიერი და საპასუხისმგებლო მი-

დგომით გმ-ტექნოლოგიებს დიდი სარგებლობა შეუძლიათ მოუტანონ მედიცინას, ტრანსპლანტოლოგიას და შეიქმნას ახალი მაღალტექნოლოგიური მასალები. რაც შეეხება საკვებს, მსოფლიოში წარმოებული პროდუქციის დაახლოებით 2/3 გენმოდიფიცირებულია. ამიტომ გენმოდიფიცირებული პროდუქტის და ემულგატორების გამოყენება საზოგადოების განსჯის საგნად რჩება. არის თუ არა გენმოდიფიცირებული პროდუქტები ჯანმრთელობისთვის მავნებელი? შეიძლება თუ არა ზიანი მოიტანოს სხვადასხვა სახის საკვებდანამატმა? ეს კითხვა დღესაც მსოფლიოსთვის კვლავ ერთმნიშვნელოვანი პასუხის გარეშე რჩება. გენმოდიფიცირებული პროდუქციის საკვებად გამოყენებას აქვს როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები გმო-ს მომხრეების მთავარი არგუმენტი ისაა, რომ ამ პროდუქციის გამოჩენამ მსოფლიოში ბევრად უფრო გააიოლა სასოფლო სამეურნეო წარმოება. ასევე ბიოინჟინერიის გამოყენებამ ბევრი სასარგებლო თვისება შესძინა პროდუქტებს. მაგ: ისინი უფრო მდგრადები გახდნენ დაავადებებისა და მავნე მწერების მიმართ. გენმოდიფიცირებული კულტურიდან მიღებული მოსავალი მიმზიდველია გარეგნულად და უფრო გამძლეა გარემო პირობების მიმართ, ასევე დიდხანს ინარჩუნებს საკვებ ღირებულებას.

ამბობენ, რომ ეს არის მსოფლიოს მოსახლეობის შიმშილისგან დაცვის ერთადერთი გამოსავალი .

მთელ რიგ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა კვებაში ფართოდ მოიხმარს გენმოფიცირებულ პროდუქტებს.

ინჟინერიის ტექნოლოგიით დღეისათვის 4 ძირითადი კულტურა მიიღება: სოიო, სიმინდი,ბამბა და კანოლა (თალგამის ნაირსახეობა)

ინტერნეტში გამოქვეყნებული სია, რომელიც შეიცავს

გმო-ს კომპონენტებს, ესენი არის: მარსი, ემ -ემდემსი, სნიკერსი, ტვიქსი, კოკა-კოლა, სპრაიტი, კომპანია ნესტლეს პროდუქცია ჩაი ლიფტონი და საღეჭი რეზინი.

გენმოდიფიცირებული კარტოფილისა და სიმინდისგან მზადდება ჩიფსების 89%.

ჩვენს ბაზარზე საქონლის უმრავლესობა, ხორციდან დაწყებული, ჩაით დამთავრებული, გენმოდიფიცირებულია, თუმცა საკვებ პროდუქციაზე უფრო თვალშისაცემი ცოცხალი ორგანიზმების იმპორტია – თესლები, ქვირითი, საინკუბაციო კვერცხი, "ჩიპსები", ხორბალი, დაკონსერვებული თუ ახალი ბოსტნეული.

2002–2005 წლებში საქართველოს „მწვანეთა მოძრაობის" მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ქართული საწარმოების უმეტესობა ფართოდ იყენებს დამატკბობელ ასპარტამს (მას 21-ე საუკუნის შავ ჭირს უწოდებენ) საქართველოში ბევრი ადამიანი იღებს ასპარტამს საღეჭი რეზინების, დიეტური სასმელების და უშაქრო ტკბილეულის სახით რაც იწვევს მხედველობის სმენის, მეხსიერების, მეტყველების დაქვეითებას, მოუსვენრობას, გულისრევის შეგრძნებას, დიარეას, ალერგიულ რეაქციებს, ენდოკრინოპათიებს.

**საკვები დანამატები**. საკვები დანამატები არის ნივთიერებები, რომლებიც პროდუქტს მისი თვისებების შესაცვლელად, ფერის, გემოს, სუნის, შენახვის ვადის გასაუმჯობესებლად ემატება. ეს შეიძლება იყოს როგორც ბუნებრივად დამუშავებული, ასევე ქიმიური, ხელოვნურად მიღებული ნივთიერებები. მათ მიეკუთვნება: სტაბილიზატორები, დამატკბობლები, საღებავები, ემულგატორები, მჟავიანობის მარეგულირებელი და ა.შ. ემულგატორები და კონსერვანტები მითითებულია პაკეტის იმ ნაწილზე, სადაც შემადგენლობა წერია. ზოგიერთი ძალიან მავნეა და დაავადებებს იწვევს.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის "კოდექს ალიმენტარიუსის" მონაცემებით, არსებობს კანის ,კუჭის დაავადებების ,სიმსივნეების გამომწვევი დანამატები და ა.შ.

ემულგატორი ადამიანის გენურ სტრუქტურას ანადგურებს და ნაყოფში მუტაციებს იწვევს. საღეჭი რეზინი, ტკბილეული, გაზიანი გამაგრილებელი სასმელები, სოუსები, საწებლები, ჩაი, შოკოლადის ნაწარმი, იოგურტები, ორცხობილები - ეს იმ პროდუქტთა არასრული ჩამონათვალია, რომელშიც საშიშ საკვებ დანამატებს.

გენმოდიფიცირებული პროდუქტები, გარეგნულად არაფრით განსხვავდება ჯანსაღი, ბუნებრივი პროდუქტისაგან. ხშირ შემთხვევაში, გენმოდიფიცირებული პროდუქტი, ვიზულაურად უკეთესად გამოიყურება, ვიდრე მისი ბუნებრივი ანალოგი. ამიტომ გენმოდიფიცირებული საკვების ბუნებრივისგან განსხვავება შეუძლებელია იმ არსებულ ვითარებაში, როცა ქვეყანაში არ არსებობს გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და პროდუქტების მიმოქცევის მარეგულირებელი კანონი, განსაკუთრებული საფრთხე ექმნება, როგორც ქვეყნის უნიკალური ბიომრავალფეროვნებას, ასევე მოსახლეობის ჯანმრთელობას როდესაც ადამიანის ორგანიზმში გენმოდიფიცირებულ საკვები ხვდება, და ამას სისტემატური ხასიათი აქვს, იგი იწვევს მთელ რიგ ცვლილებებს. გენმოდიფიცირებული პროდუქტები, შეუქცევად მოდიფიცირებას იწვევს გენეტიკურ დონეზე, რომლის შედეგიცაა ალერგიული რეაქციები, მუტაციები, ონკოლოგიური დაავადებები, უშვილობა, კუჭ-ნაწლავის ლორწოვანი სტრუქტურული ცვლილებები, რეზისტენტობა ანტიბიოტიკების მიმართ. აგრეთვე ორგანიზმის იმუნიტეტის დაქვეითებას და ნივთიერებათა ცვლის დარღვევას. ორგანიზაცია გრინფისმა, გენმოდიფიცირებული პროდუქციის შემდეგი არაკეთილსინდისიერი მწარმოებლები შეიყვანა შავ სიაში. მათ შორის

ბევრია საბავშვო კვების პროდუქტები, რომლებიც საქართველოს თავისუფლად იყიდება და არანაირი მინიშნება არ აქვს, რომ მათ შემადგენლობაში გენმოდიფიცირებული ინგრედიენტებია. სტატისტიკურ მონაცემთა მიხედვით შვედეთში, სადაც ტრანსგენები აკრძალულია, ალერგიული დაავადებები მოსახლეობის 7%-ში გვხვდება, ხოლო აშშ-ში, სადაც გმო მარკირების გარეშეც კი იყიდება, მოსახლეობის 70,5% აქვს ალერგიული დაავადებები. გარდა ამისა, დამოუკიდებელ ექსპერტთა უმეტესობა ამტკიცებს, რომ გენმოდიფიცირებული მცენარეები 1000-ჯერ მეტ ტოქსინებს გამოყოფენ.

საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სურსათის უვნებლობის სამსახურის ფუნქციები შეზღუდულია, რის გამოც როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტული პროდუქცია ხშირად ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშიც ხდება. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში მოსახლეობის ძირითადი ნაწილი იძულებულია, რაც შეიძლება იაფი პროდუქტი შეიძინოს, ხოლო იაფი პროდუქტების შემენის გარდაუვალობა ქმნის ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქტების იმპორტირების წინაპირობას, რასაც ჩვენს სასურსათო ბაზარზე დაფიქსირებული ფაქტებიც ადასტურებს.

რამდენიმე წლის წინ საქართველოს პარლამენტს უნდა განეხილა კანონპროექტი ‘’საქართველოს გენმოდიფიცირებული პროდუქციისგან თავისუფალ ზონად გამოცხადების შესახებ”. იგი საქართველოში გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების შემოტანის აკრძალვასა და მზა პროდუქტის, მინიმუმ, მარკირებას ითვალისწინებდა. ამ კანონპროექტმა ფიასკო განიცადა და სავარაუდოდ ამის მიზეზი ქართული ეკონომიკის მდგომარეობა. 2000 წელს შემუშავდა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი – ბიოუსაფრთხოების კარტახენას ოქმი, რომელიც ძალაში 2003 წელს

შევიდა. ამ ოქმის ძირითადი მიზანი უსაფრთხოებისსათანადო დაცვაა თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მეთოდებით მიღებული ისეთი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენებისას, რომელთაც შეუძლია უარყოფითი ზეგავლენა იქონიონ ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე.

პრობლემურ საკითხად რჩება კვლევის ჩატარება და იმის დადგენა რამდენად შეიცავს პროდუქტი გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებს. აქედან გამომდინარე, კონტროლის სისტემა უნდა იყოს კარგად აწყობილი.

საქართველოში არ არსებობს ლაბორატორიები, რომელთაც შეეძლებათ ანალიზის გაკეთება, ,,ექსპერტიზა+"–მა მრავალი სახის ლაბორატორიულ ანალიზს აკეთებეს, მაგრამ არა გენმოდიფიცირებაზე, რადგან სპეციალური აპარატურა, რომელიც საჭიროა მსგავსი ანალიზებისთვის, საკმაოდ ძვირია და მსგავსი სახის ანალიზებზე მოთხოვნა არ არსებობს. სამწუხაროდ, დღესდღეისობით არ არსებობს საქართველოში გენმოდიფიცირებულ საკვებზე ეტიკეტირება. ვფიქრობ, რომ სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს გმო-ს უარყოფითი გავლენა და მსოფლიოს სავალალო სტატისტიკაჩვენს მოსახლეობას, უნდა მიეცეს,სულ მცირე, არჩევანის საშუალება: სავაჭრო ობიექტებში მინიშნებული უნდა იყოს, ესა თუ ის პროდუქტი გენური ინჟინერიით არის მიღებული თუ არა. მომხმარებელმა თავისი კომპეტენციისა და სურვილის, ან ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით, აირჩეს პროდუქტი.

ასევე, საჭიროა მოსახლეობის მეტი ინფორმატიულობა და მათი დაინტერესებულობა,რათა უფრო აქტიურად ჩაერთონ ამ პროცესებში,რითაც შესაძლებელი გახდება სახელმწიფო კანონმდებლობის შემუშავება და კონტროლის დაწესება-გამკაცრება გმო ორგანიზმებისა და საკვები პროდუქტების შემოტანასა და წარმოებაზე.

## ლიტერატურა


1. მ. ქურხული, ნ. შავდია, დ. გაგუა, ჯ. ახვლედიანი, პ. იმნაძე, თ. კობიძე – “მოსახლეობის ჯანმრთელობაზე საკვები პროდუქტებით გამოწვეული რისკის მოგვარებისა და შემცირების აქტუალური პრობლემები საქართველოში” – საქართველოს გარემოს ჰიგიენის ეროვნული პროგრამა; I ეროვნული კონფერენციის შრომათა კრებული, თბილისი, 2001 წ. გვ. 63-77;
2. Методические указания МУК 2.3.2.970-00 “Медико-биологическая оценка пищевой продукции, полученной из генетически модифицированных источников”, Москва, 2000.

   3. Г.Г.Онищенко О гигиенических и нормативных аспектах регистрации пищевых продуктов, полученных из генетически модифицированных источников”, Вопросы питания, 2, 2001. genengin.blogspot.com/p t/blog t-page–p16.: h/ tmI
4. http://genengin. blogspot.com/ p/blog-page–1
5. htmI4. Biotechnology and food safety. Report of a joint FAO/WHO consultation # 61 – Rome, 1996, 27 p.
6. http://www.ambebi.ge/sazogadoeba/32652-genmodificirebuli-sakvebi-da-sashishi-danamatebi.html#ixzz34muqZbTN


**საკვები**

## Gene modified products in Georgia

*Marina Sakarashvili Lela Dolishvili*

**SUMMARY**

Health takes the first place in the human's hierarchical value. Health is not only a person's but also public and state problem. On the public level to support person's health is fulfilled with the help of state and private medical organizations. Taking responsibility for health is based on each citizen's individual mentality and correct attitude towards their health. Correct rational feeding is the normal functioning of each living being. Food ingredient, its nutritional properties and number determines physical development, work ability, number of the diseases, psychic statement and the length of the life. Quality and safety of the food product is regulated by the law „Food quality and safety." But in this law isn't mentioned such actual and important issue as gene modified gmo products, Most of the Georgian population widely uses gmo products and other food conservants. Gmo supporters consider that these products have simplified agricultural production and added many useful feature to the products. At the same time many authors notify that gmo products increase many diseases such as allergy, oncology diseases, pathology of inner organs, decrease immune system and many others. Unfortunately in Georgia it is not taken into account the negative influence of this product and the protection of the population. There is not any law regulation of gmo products, there are no laboratories to solve the problem and as well as no attiquets for these products. According this it's important to give the relevant information to the population and involve them in the working process of accepting the law to control the import and production of gmo products.

# ალერგიული რეაქციები თავის თმიანი არის მიკოზების დროს

**ხათუნა კუდავა**
*მედიცინის დოქტორი, კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრის დერმატო–ვენეროლოგი,*
**თინა ქიტუაშვილი**
*კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრის დირექტორი სამეცნიერო–სასწავლო დარგში, ასოცირებული პროფესორი.*

***პრობლემის აქტუალობა:*** თავის თმიანი არის მიკოზების დროს განვითარებული ალერგიული რეაქციები მისი კლინიკური გამოვლინების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. იგი ხშირად ხდება დიაგნოსტიკური შეცდომებისა და არასწორად შერჩეული მკურნალობის მიზეზი, ამიტომაც მისი შესწავლა დღემდე აქტუალურია. ალერგიული დერმატოფიტიდული რეაქციების სიხშირისა და მრავალფეროვანი კლინიკური მანიფესტაციის მიუხედავად მის შესახებ არსებული მეცნიერული შრომები არც თუ ისე ბევრია. მეცნიერები თვლიან, რომ თავის თმიანი მიკოზების დროს მეორადად განვითარებული ალერგიული დერმატოფიტიდული რეაქციები გაცილებით ხშირია, ვიდრე ამას არსებული ინფორმაცია ასახავს. ამერიკელი მეცნიერების აზრით მისი სწორი შეფასება მეტად მნიშვნელოვანია არასწორი დიაგნოსტიკისა და მასთან დაკავშირებული შედეგების თავიდან ასაცილებლად (1). თავის თმიანი არის მიკოზების დროს განვითარებულ დერმატოფიტიდულ რეაქციებს მშობლები და კლინიცისტები ხშირად პრეპარატზე განვითა-

რებულ ალერგიულ რეაქციად მიიჩნევენ, თუმცა ეგზემატოზური ფორმით გამოვლენილი მიკიდები არ არის კავშირში სისტემურ თერაპიასთან. დერმატოფიტიდული რეაქცია შეიძლება განვითარდეს როგორც ანტიმიკოზური სისტემური თერაპიის დაწყებამდე, ისე თერაპიით ინიცირების შემდეგაც და ის არ უნდა წარმოადგენდეს მკურნალობის შეწყვეტის მიზეზს (2). ზოგიერთი მეცნიერი დერმატოფიტულ გამომწვევზე ჰიპერსენსიბილიზაციას მიიჩნევს ღრმა ანთებითი ფორმების საფუძვლად. Kerion celsi-ის გამოყოფენ დაავადების ანთებითი დაზიანებების სიმპტომატიკის ტიპიური და იშვიათი ფორმების განხილვის დროსაც, როგორც დაყოვნებულ ჰიპერმგრძნობელობით რეაქციას დერმატოფიტულ გამომწვევზე (3).

თავის თმიანი არის მიკოზების დროს განვითარებული ალერგიული რეაქციების დასადგენად საჭიროა მისი ლაბორატორიული შესწავლა. თავდაპირველად აუცილებელია თავის თმიანი არის მიკოზების კლინიკურად საეჭვო ყველა შემთხვევის დადასტურება მიკროსკოპულად და კულტურალურად (4). ინფექციის დადასტურების შემთხვევაში კი სადა კანზე არსებული გამონაყარის დიაგნოსტირება.

**კვლევის მიზანი** იყო თავის თმიანი არის მიკოზების დროს განვითარებული ალერგიული რეაქციების შესწავლა, მათთან ასოცირებული კლინიკური ფორმების გამოვლენა და დერმატოფიტიდების მანიფესტაციის შეფასება.

**მასალა და მეთოდები:** გამოვლენილი იყო თავის თმიანი არის მიკოზების 36 შემთხვევა, რომელსაც თან ახლდა გამონაყარი სახეზე, ტანსა და კიდურებზეც. თავის თმიანი არის მიკოზის ყველა შემთხვევის სადიაგნოსტიკოდ გამოყენებული იყო მიკროსკოპული და კულტურალური გამოკვლევა, ასევე ლუმინესცენტური ნათების შეფასება ვუდის ნათურის ქვეშ. სახეზე, ტანსა და კიდურების სადა კანზე

არსებული გამონაყარის შესაფასებლად, ამ არეებში სოკოვანი ინფექციების გამოსარიცხად და დერმატოფიტიდული რეაქციების გამოსავლენად, ჩატარდა ყველა აღნიშნული კერიდან აღებული მასალის მიკროსკოპული გამოკვლევა. მიკროსკოპული გამოკვლევისთვის აღებული მასალა (სადა კანის შემთხვევაში ქერცლი) მუშავდებოდა 20%-იანი KOH- ის ხსნარით, რომლის შედეგადაც ხდებოდა სოკოს სპორებისა და მიცელიუმების გამოვლენა.

**კვლევის შედეგები:** აღწერილი თავის თმიანი არის მიკოზების 36 შემთხვევიდან, რომელსაც თან ახლდა გამონაყარი სადა კანზე (სახე, ტანი და კიდურები), 16 (9,1%) გამოვლინდა დისემინირებული გამონაყარის, ხოლო 20 (11,4%)-დაზიანების ერთეული კერების სახით. სადა კანზე გამოვლენილი დისემინირებული გამონაყარის ყველა შემთხვევა აღინიშნა თავის თმიანი არის მიკოზების ანთებითი ფორმების დროს, მათგან 14 (87,5%) თან ახლდა ქერიონს და ორი (12,5%) დაჯგუფებულ ფოლიკულიტებს. სახეზე, ტანსა და კიდურებზე არსებული დისემინირებული გამონაყარიდან აღებული არცერთი მასალის მიკროსკოპული გამოკვლევით სოკო არ აღმოჩნდა. ამავე მიდამოების სადა კანზე არსებული დაზიანების ერთეული კერებიდან აღებული მასალის მიკროსკოპული გამოკვლევის შედეგი 7 (35%) შემთხვევაში იყო უარყოფითი და 13 (65%)-ში დადებითი (4 (30,8%) გამოვლინდა ქერიონის და 9 (69,2%) ნაცრისფერი ლაქები დაზიანების ერთეული კერების შემთხვევაში).

დერმატოფიტიდული რეაქცია გამოვლინდა 16 (9,1%) შემთხვევაში. ყველა მათგანში იგი ატარებდა დისემინირებული ფოლიკულური პაპულების სახეს და ასოცირდებოდა თავის თმიანი არის მიკოზების ანთებით ფორმებთან. მათგან ორი (12,5%) გამოვლინდა დაჯგუფებული ფოლიკულიტების შემთხვევაში, 14 (87,5%) კი - ქერიონის. ქერიონის ყველა

ფორმა, რომელსაც თან ახლდა დერმატოფიტიდული რეაქ-ცია, წარმოდგენილი იყო დაზიანების მრავლობითი კერით.

გამოვლენილი იდ-რეაქციების 16 შემთხვევიდან ძირი-თადი დაავადების, თავის თმიანი არის მიკოზის, გამომწვევი დადგენილი იყო 12 (75%) შემთხვევაში, მათგან 11 (68,7%)-ში ინფექციის გამომწვევი იყო Trychophyton mentagrophytes, ერთ (6,3%) შემთხვევაში დაავადების ეტიოლოგიური აგენტი იყო Trichophyton verrucosum, ოთხ (25%) შემთხვევაში კი გამომწვევი არ იყო დადგენილი.

**დასკვნა:** თავის თმიანი არის მიკოზების დროს გან-ვითარებული ალერგიული რეაქციები ასოცირდება დაავა-დების ანთებით ფორმებთან, ქერიონთან და შეჯგუფებულ ფოლიკულიტებთან, რომელთა გამომწვევებიც ზოოფილური ეტიოლოგიური აგენტებია (Trychophyton mentagrophytes და Trichophyton verrucosum), დერმატოფიტიდული რეაქციების კლინიკური მანიფესტაციის ფორმა კი არის დისემინირე-ბული ფოლიკულური პაპულები.

**საკვანძო სიტყვები:** თავის თმიანი არის მიკოზი, ალერგიული რეაქცია, მიკიდები.

## ლიტერატურა:


1. Payne LK. An 8-year-old with tinea capitis and secondary rash. Adv Emerg Nurs J. 2012; 34(1):24-31.
2. Cheng N, Rucker Wright D, Cohen BA. Dermatophytid in tinea capitis: rarely reported common phenomenon with clinical implications. Pediatrics. 2011; 128(2): 453-7.
3. Proudfoot LE, Higgins EM, Morris-Jones R. A retrospective study of the management of pediatric kerion in Trichophyton tonsurans infection. Pediatr Dermatol. 2011; 28(6):655-7.
4. Möhrenschlager M, Seidl HP, Ring J, Abeck D. Pediatric tinea capitis: recognition and management. Am J Clin Dermatol. 2005; 6(4):203-13.

**SUMMARY**

Correct evaluation of the clinical picture of Tinea capitis is sometimes complicated also due to presence of dermatophytid (ID) reaction - demonstration of the body immune system response to the primarily existent fungal infection. Dermatophytid response was manifested in 16 (9,1%) cases. It had the form of disseminated follicular papullae in all cases. Out of them 2 (12,5%) were detected in the agminate folliculitis cases and 14 (87,5%) were detected in the kerion cases. From the 16 cases of ID reaction causatives of the scalp mycosis were determined in 12 (75%) cases out of which etiological agent of the infection in 1 (6, 3%) case was Trichophyton verrucosum, in 11 (68,7%) cases etiological agent was Trychophyton mentagrophytes.

# „ჰომოფობია“ - პირველი ნაბიჯი ოთხსაფეხურიანი უფსკრულისაკენ

**ზურაბ ქუთათელაძე**
*დოქტორი, პროფესორი*

ჯერ კიდევ IV საუკუნეში წინასწარმეტყველებდა ღირსი მამა ანტონი დიდი: „დადგება დრო, როდესაც ადამიანები ვეღარ გაარჩევენ სიკეთესა და ბოროტებას. თქვენ გეტყვიან: შეშლილები ხართო, რადგან არ გსურთ, მონაწილეობის მიღება საყოველთაო შეშლილობაში; მაგრამ ჩვენ გაიძულებთ გახდეთ ისეთივენი, როგორიც ყველაა“. ამ წინასწარმეტყველებამ განსხეულება ჰპოვა თანამედროვე ფილოსოფოსის, 60-იანი წლების დამლევის ახალგაზრდული ბუნტის ერთი მთავარი იდეოლოგის - ჰერბერტ მარკუზეს დოქტრინაში: „პათოლოგია უნდა დავადგინოთ ნორმად, ხოლო ნორმა - პათოლოგიად.მხოლოდ ასეთ შემთხვევაში დავანგრევთ ჩვენ საბოლოოდ ბურჟუაზიულ საზოგადოებას“!

ცნებათა აღრევის შედეგები სულ მალე მოიმკო კაცობრიობამ: უკვე 1972 წელს, თავის რევოლუციურ ნაშრომში, ფსიქოთერაპევტმა ჯორჯ ვაინბერგმა, კოლუმბიის უნივერსიტეტის კლინიკური ფსიქოლოგიის კათედრის თანამშრომელმა, ახლებურად განსაზღვრა ტერმინი „ჰომოფობია“ და მისით დასნებოვნებულად გამოაცხადა ის ხალხი, ვინც ვერ ეგუება ჰომოსექსუალიზმს და თავად ჰომოსექსუალების ნაცვლად, სწორედ ისინი შერაცხა ფსიქიკური დაავადებით - სულის ირაციონალური მდგომარეობით შეპყრობილებად. ერთი წლის შემდეგ, 1973 წელს, ამერიკის ფსიქიატრიულმა ასოციაციამ - APA-მ ამოიღო „ჰომოსექსუალიზმი“ საკუთარი „დიაგნოსტიკისა და სტატისტიკის ცნობარიდან“ (DSM), ანუ ფსიქიკური დარღვევების სიიდან. 1992 წლიდან „ჰომოსე-

ქსუალიზმი“ აღარ ფიგურირებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის - WHO-ს„დაავადებათა ჩამონათვალში“. ევროპარლამენტის 2006 წლის 18 იანვრის რეზოლუციით „ჰომოფობია“ განმარტებულია, როგორც „ჰომოსექსუალების, ლესბოსელების, ბისექსიულთა დატრანსგენდერთა მიმართ ირაციონალური შიში და სიძულვილი, რომელიც დამყარებულია რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და სექსიზმის მსგავს მიუღებლობის თვალსაზრისზე“.

ასე და ამრიგად იცვალა სახე ჩვეულებრივმა ფსიქიატრიულმა ტერმინმა, რომელიც ჯერ კიდევ ოთხიოდე ათეული წლის წინ გამოცემულ ინგლისური ენის ოქსფორდის ლექსიკონში განიმარტებოდა, როგორც „მამაკაცებისადმი შიში ან სიძულვილი“. ხოლო ტერმინის ახლებურად გააზრებამ გამოიწვია შესაბამისი პერმანენტულად ცვალებადი ახლებური დამოკიდებულება სექსუალური უმცირესობის მიმართ.

ცხადია, ვაინბერგის მოდიფიცირებული განმარტება ცარიელ ადგილზე არ წარმოშობილა - მას წინაპირობად ჰქონდა 1970 წელს ნიუ-იორკის კრისტოფერ-სტრიტზე რამდენიმე ათასი დემონსტრანტის მანიფესტაციის შემდეგ განვითარებული მოვლენები, რომლებიც 70-იან წლებში ამერიკის, ევროპისა და აზიის ქვეყნებში საყოველთაო გეიაღლუმებით გამოიხატა. ლგბტ-ის ყველაზე ხალხმრავალი მარში შედგა 1993 წლის 15 აპრილს ვაშინგტონში, რომელმაც მილიონამდე ადამიანს მოუყარა თავი. ასე რომ, 1972 წელს პათოლოგიის ნორმად დადგინებას მოჰყვა ოდითგან უკუღმართად სახელდებული ქმედების საჯარო დემონსტრირება.მთელ მსოფლიოში დაიწყეს „ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის“ აღნიშვნა (“International Day Against Homophobia and transphobia (IDAHO)”, რომელიც 17 მაისს - 1990 წელს ჰომოსექსუალიზმის დაავადებათა საერ-

თაშორისო კლასიფიკაციიდან მოხსნის ამ გაზაფხულის დღეს დაუკავშირეს.

როდესაც გასული, 2013 წლის შესაბამისი თარიღის აღნიშვნა გადაწყდა თბილისშიც, უნივერსიტეტ „გორგასლის“ სტუდენტთა სამეცნიერო ჯგუფმა, პოპულარულ საიტ „news.ge”-სთან ერთად შეიმუშავა სოციოლოგიური პროგრამა საზოგადოებრივი აზრის გამოსაკვლევად. სავარაუდო აღლუმის წინა დღეებში, პრევენციულ საინფორმაციო რეჟიმში საიტზე დაიდო ამერიკელ სოციოლოგ მარკ რეგნერუსისეული ჰომოსექსუალისტთა შვილების გამოკვლევის შედეგები, რომელთაც აღენიშნებოდათ მრავალრიცხოვანი ფსიქიკური დარღვევები. მას შემდეგ, რაც ინფორმაციამ საყოველთაო თანაგრძნობა მოიპოვა (მომხმარებელთა 7320 „შემოსვლა“ და 2600 „მოწონება“), ექსტრენულად ჩატარდა გამოკითხვა: „საჭირო არის თუ არა მომვალი აქციის აკრძალვა?“ მიღებული იყო შემდეგი შედეგები: „დიახ“ – 65,07%, „არა“ - 30,5%, „არ ვიცი“- 4,43% - 3564 მომხმარებლიდან (17.05.2013).

17 მაისის ცნობილი მანიფესტაციის შემდეგ კვლავ ჩატარდა კიდევ ერთი გამოკითხვა: „როგორ აფასებთ 17 მაისის მოვლენებს“? შედეგები შემდეგი გახლდათ: დადებითად - 44,17%, უარყოფითად- 46,31%, არ ჰქონდა პასუხი - 9,51% (6728 მომხმარებლიდან - 27.08 2013-სათვის). NDI-ის მონაცემები სრულად შეესატყვისებოდა საიტის გამოკითხვის შედეგებს. ისინი ცხადყოფდნენ, რომ თუკი საქართველოს მოსახლეობა დემოკრატიული განვითარებისთვის მნიშვნელოვნად თვლიდა უმცირესობათა (რელიგიურისა და ეთნიკურის) დაცვას, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი ამ ჯგუფში არ ათავსებდა სექსუალურ უმცირესობას, თუმცა მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი არც აქციას შეხვედრია მოწონებით. ამრიგად, შედეგებმა გვიჩვენა, რომთავის უმრავლესობაში მოსახლეობა წინააღმდეგია გეი-აღლუმების

გამართვის, მაგრამ ამავე დროს წინააღმდეგია საკითხის ძალისმიერი გზით გადაჭრისა.

საერთაშორისოგამოკითხვებთან შეჯერების შემდეგ საიტზე დაისვა მორიგი კითხვა: „თვლითთუ არა საჭიროდ საქართველოს კონსტიტუციაში ქორწინების მხოლოდ ტრადიციული ფორმის დაფიქსირებას“? შედეგები ასეთი გახლდათ: „დიახ“ – 77,32%, „არა“ - 17, 85%, „არ ვიცი“ – 4.83% (1552 მომხმარებელი - 27.08.2013-სთვის).

მიღებული შედეგებისშედარებისას სხვა ქვეყნების სტატისტიკურ მაჩვენებლებთან, ყველაზე უფრო მიახლოებულიმონაცემები დაფიქსირებული იყო უკრაინაში: 16 წელზე უფროსი ასაკის რესპონდენტების 79,4% პასუხობდა, რომ ეწინააღმდეგებიან ყოველგვარ სექსუალურ ურთიერთობებს ერთსქესიან ადამიანებს შორის. 16% არ უჭერდა მხარს მსგავს ქორწინებას, თუმცა მიიჩნევდა, რომ ისინი შეიძლება იყვნენ მმაჩის ბიუროში გაფორმებულ ქორწინებაშიდა მხოლოდ 4,6% უჭერდა მხარს ამგვარ ქორწინებას (2013 წლის 3-23 აპრილის Gfk Ukraine-ს გამოკვლევის მიხედვით). საგულისხმოა, რომ საერთაშორისო შეფასებაც ერთნაირი იყო: “World Values Survey”-ის გამოკითხვებით საქართველო აღმოჩნდა მესამე ადგილზე ჰომოფობიურ ქვეყნებს შორის - კითხვაზე, „გსურთ თუ არა მეზობლად ჰომოსექსუალისტის ყოლა“, გამოკითხულთა 92%-მა განაცხადა „არა“. უკრაინაში ჩატარებულ გამოკვლევებშიკი „Gfk Ukraine“-მ დაადგინა, რომ „უკრაინელთა 95% ერთსქესიანი ქორწინების წინააღმდეგია“. დასკვნის სახით, ამ ორი ქვეყნის შეფასებისას ნათქვამი იყო: „ათიდან რვა უკრაინელი ჰომოფობია“, ხოლო „ქართული საზოგადოების დიდი უმრავლესობა პატრიმონიალურ ურთიერთობათა ტყვეობაში იმყოფება და მისი მოდერნიზაციის მცდელობა და დასავლურ ფასეულობებთან მიახლოება კიდევ მრავალ წელს მოითხოვს“.

იმისათვის, რათა ზედმიწევნით გაირკვეს, თუ რა ფასეულობებზეა საუბარი და რა გამოცდის ჩაბარება მოუხდებათ საქართველოსა და უკრაინას დასავლური ცივილიზაციის წინაშე, წინდაწინ უნდა განვეწყოთ დგომისათვის სრულიად განსხვავებული მსოფლმხედველობრივი მენტალობის პირისპირ.

ოპონენტთა ერთი უმთავრესი არგუმენტი გახლავთ ის გარემოება, რომ „როგორც წესი, ჰომოსექსუალიზმი აკრძალულია და იდევნება იმ ღარიბულ ქვეყნებში, სადაცარ არის დემოკრატია და მოქმედებენ დიქტატორული რეჟიმები, აგრეთვე, სადაც რეჟიმი ორიენტირებულია რელიგიაზე; ხოლო დემოკრატიულქვეყნებში არ არის არავითარი დევნა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა“.

ამ განმარტებაშიუგულებელყოფილია, რომყოფით სფეროში სწორედ გადამეტებული ფუფუნება და არა სიღარიბე იწვევს სექსუალურ პერვერსიებს - უფლისგან განადგურებული სოდომი და გომორა აყვავებული ქალაქები გახლდათ, ხოლორომის იმპერია - უმდიდრესი ქვეყანა. მაგრამ განცხრომამ გამოუთხარა მათ ძირი, ისევე, როგორც დღეს უთხრის ძირს უმდიდრესი ევროპული ქვეყნების ზნეობრიობას.სწორედ მდიდრებსა და გაცხრომაში მყოფ ძლიერთა ამა ქვეყნისათა არ აკმაყოფილებს სექსუალური, ისევე, როგორც ყოფითი ცხოვრების ჩვეული ნორმებიდა სწორედ მათ წიაღში იქმნება პარაფილიების რაფინირებული ფორმები, ხოლო ჰომოსექსუალიზმი მათ შორის არათუ გამონაკლისად მიიჩნევა, არამედ ერთ რიგში დგას სადომაზოხიზმის, პრომისკუიტეტის, პედოფილიის, ჯგუფური სექსის, ნეკროფილიის და სხვ. გვერდით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ათასწლეულების მანძილზე განმტკიცდებოდნენ და აუთენტურობას ინარჩუნებდნენ ის ერები, რომლებიც არ ღალატობდნენ საკუთარ

ეროვნულ და სექსუალურ მონოკულტურას. გადაშენდნენ კი ერები, რომლებიც აღიარებდნენსექსუალურ „პლურალიზმს“, სისხლის აღრევას და სექსუალურ განურჩევლობას. ყველა აბრაამულ რელიგიაში (იუდაიზმი, ქრისტიანობა, მუსულმანობა) სოდომია აღიარებულია მძიმე ცოდვად. არც ძველსა და არც ახალ აღთქმაში გეი-ერთობა არ არის მისაღებ ფორმად წარმოდგენილი. ამის საპირისპიროდ - ერები, სადაც ჰომოსექსუალიზმის მიმართ დამთმობი იყო პოზიცია, აღიგავენ პირისაგან მიწისა.

ჰომოსექსუალიზმი პირდაპირ ეწინააღმდეგება ბიბლიურ 10 მცნებას, სადაც მითითებულია: „არა იმრუშო“; ხოლო პავლეს ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ (I კორ. VI, 9) გაცხადებულია: „ვერც მეძავნი, ვერც კერპთაყვანისმცემელნი, ვერც მრუშნი, ვერც ჩუკენნი, ვერც მამათმავალნი, ვერც მპარავნი, ვერც ხარბნი, ვერც ლოთები, ვერც მლანძღველნი, ვერც მტაცებელნი ვერ დაიმკვიდრებენ ღვთის სასუფეველს“.

ბიბლიურ მცნებათა უარყოფით, გაერთიანებული ერების ქაიროს საერთაშორისო კონფერენციამ 1994 წელს დაამტკიცა მსოფლიოს მოსახლეობის რეგულირების პროგრამა, სადაც დადგენილია სხვადასხვა სქესობრივ ურთიერთობათა და, მათ შორის - ერთსქესიანობის - თანაბარუფლებიანობა და თანაბარფასეულობა. ზნეობრივი აღვირახსნილობის გარდა, აქ ნათელია სხვა მიზანიც - პლანეტაზე ადამიანთა რიცხვის შემცირება და შობადობის კლება. როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ მოწოდებას ყველაზე აქტიურად გამოეხმაურნენ თეთრკანიანი ქრისტიანიზებული ევროპელიდები, რომელთა რიცხვიც 2050 წლისთვისმსოფლიოს მთელი მოსახლეობის სულ 15% იქნება. დღეისათვის იმ 15 ქვეყნიდან, რომლებმაც დაუშვეს ერთსქესიანი ქორწინება, ნახევარზე მეტი ევროპელებზე მოდის.

იმავე ევროპელების წილად მოდის აღვირახსნილობა,

რომელიც უკვე ცნობილი ხდება „ინცესტოფობიის“ სახელით. ეს იმგვარი გაცნობიერებული ფანტასმაგორიული რეალობაა კაცობრიობისათვის, რომლის მსგავსი თავის ცნობილ სიზმრებშიც არ მოლანდებია ფსიქოანალიზის მამამთავარ ფროიდსოიდიპოსისა და ელექტრას არაცნობიერ კომპლექსებში.

მას შემდეგ, რაც ჰომოსექსუალისტებს მიეცათ ქორწინებისა და შვილების აყვანის უფლება, სერიოზულად დადგა ინცესტის ლეგალიზაციის საკითხიც.მთელი რიგი ევროპელი პოლიტიკოსები და კულტურის მოღვაწეები პრესასა და ტელევიზიაშიერთხმად წარმოადგენენ ინცესტს, როგორც „გენდერულ ნორმას“. ამ ნორმაში იგულისხმება სქესობრივი კავშირი მშობლებსა და შვილებს, და-ძმებსა და ყველა სახის ნათესავს შორის. დღის წესრიგში დგას „ინცესტოფობიის“ დაკანონება„ჰომოფობიის“ მსგავსად.

ინცესტის იურიდიულ ნორმად დადგინება ადამიანის დეგრადირების უკანასკნელი ზღვარია - თუ 1972-73 წლებში ტერმინ „ჰომოფობიის“ დამკვიდრებას და დაავადებათა რიგიდან ჰომოსექსუალიზმის ამოღებას ჩავთვლით პირველ საფეხურად უფსკრულისაკენ მიმავალ გზაზე, გეი-აღლუმების საყოველთაო გავრცელებას 1970-იან 90-იან წლებში - მეორე საფეხურად, ერთსქესიანი ქორწინების ლეგალიზაციას 2001 წლიდან - მესამე საფეხურად, მეოთხე და უკანასკნელი საფეხური იქნებაინცესტის დაკანონება, რასაც უკავშირდება ინცესტოფობიის პირველი ჩანასახების გაჩენა.

თუ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ, რომ სადღეისო მოდიფიცირებით ტერმინი „ჰომოფობია“არის ჰომოსექსუალიზმის ნებისმიერი სახით მიუღებლობა, შიშისა და შფოთის კონოტაცია და ქსენოფოობიის ფორმა, მაშინ ეს იქნება მათიმიუღებლობაც, ვინცსაერთო მასიდან გამოირჩევა. საქართველოსა და უკრაინის მოსახლეობის 90% მიიჩნევს, რომ

ჰომოსექსუალები მართლაც გამოირჩევიან საერთო მასისა-გან. მაგრამ ამ გამორჩეულობას არ თვლიან ნორმის ვარიან-ტად, არამედ თვლიან ნორმიდან გადახრად. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქიილია მეორე აცხადებს, რომ ეკლესია „ჰომოსექსუალიზმს ანომალიად და დაავადებად მიიჩნევს“, ხოლო ასეთი მიდრეკილებების მქონე ადამიანებს „მეტად მძიმე ცოდვაში მყოფ პიროვნებებად“ განიხილავს, რო-მლებსაც „დახმარება და გამოსწორებისათვის სულიერი თანადგომა სჭირდებათ და არა წახალისება და, მითუმეტეს, მათი მდგომარეობის მოსახლეობისათვის თავსმოხვევა“.

მთელი ერი, საკუთარი პატრიარქის მეთაურობით, არ შეიძლება „ჰომოფობი“ იყოს, ამ ტერმინის ფართო ქსენო-ფობიური გაგებით. შესაბამისად, ხალხისათვის, რომლის მოსახლეობის 90% არ თვლის მსგავს ქმედებას ნორმად, უნდა არსებობდეს სხვა დეფინიცია. ტერმინი „ჰომოფობია“ დღევანდელი გაგებით სხვა არის იმ ქვეყნებისთვის, ვინც ცხოვრობს უფლის 10 მცნების მიხედვით და სხვა - იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ამ მცნების მიხედვით არ ცხოვრობენ.

საგულისხმოა, რომ იმ 15 ქვეყანას შორის, სადაც დაკანონდა ერთსქესიანი ქორწინება, არცერთი არ არის მართლმადიდებლური სახელმწიფო, რაც კიდევ ერთხელ ნათელჰყოფს, რომ უკრაინისა და საქართველოს მაგალითზე ეთნიკურ ჩამორჩენილობაზე, სიღარიბესა და განუვითარებ-ლობაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ იმ ზნეობრივ კრი-ტერიუმებზე, რომლებიც მართლმადიდებლობას განასხვა-ვებს ყველა სხვა კონფესიისაგან და საქართველოსა და უკრაინაში მიღებული გამოკვლევის პასუხები ეთნიკურ თა-ვისებურებათა მახასიათებლებს კი არა, ზოგადად რელი-გიურმსოფლმხედველობრივ დამოკიდებულებასასახავენ.

ცნობილია, რომ ამერიკელ ფსიქიატრთა ასოციაციამ,

რომელმაც 1973 წელს ამოიღო ჰომოსექსუალიზმითავისი „დიაგნოსტიკისა და სტატისტიკის ცნობარიდან“ (DSM), 5 წლის შემდეგ ჩაატარა გამოკითხვა 10 000 ამერიკელ ფსიქიატრს შორის და გამოკითხულთა 68% კვლავინდებურად თვლიდა ჰომოსექსუალიზმს ფსიქიკურ დარღვევად.

ამდენად, კაცობრიობის ჯანსაღი ნაწილის ზნეობრივი კრიტერიუმების ღირსეულად აღსადგენად, „ჰომოფობიას“ უნდა დაუბრუნდეს პირვანდელი მნიშვნელობა. 1982 წლის “სამედიცინო ტერმინთა ენციკლოპედიური ლექსიკონის“ მიხედვით: „ჰომოსექსუალიზმი - ეს არის სქესობრივი გადახრა, რომელიც ხასიათდება საკუთარი სქესის პირების მიმართ ლტოლვით“. ტერმინის პირვანდელი მნიშვნელობის დაბრუნების შემთხვევაში ბუნებრივად კანონმდებლობით აიკრძალება გეი-აღლუმი, როგორც ფისიქიკური დარღვევების მქონე პირთა ავადმყოფური საჯარო ღონისძიება. ასეთ შემთხვევაში ლგბტ-ბიცგაანცნობიერებენ, რომ გეი-აღლუმის ფსიქოლოგიური არსი გულისხმობს თავდაცვითი მექანიზმებითიმ ადამიანთა ჰიპერკომპენსაციას, რომლებსაც საკუთარი ცოდვიანი მანკიერება აჰყავთ კეთილსათნოების დონეზე ილუზიური კოლექტიური ბედნიერების მოსაპოვებლად, რაც მათგან მოითხოვს კოგნიტიურ გადაპროგრამირებას, ბლოკირებასა და ნეიტრალიზებას.ხოლო მსგავსი ღონისძიებები ლოგიკურად წინააღუდგებიანერთსქესიან ქორწინებას, როგორც ინცესტის წინაპირობას!

საქართველო და უკრაინა დღეს ევროპულ ცივილიზაციას ეზიარებიან - ეს კი იმას ნიშნავს, რომ, შესაძლოა, სხვადასხვა პოლიტიკურმა ან ეკონომიკურმა გაერთიანებებმა წამოაყენონ პირობები, რომლებიცამ ქვეყნებისგან მოითხოვენ ზნეობრივი პრინციპების დათმობას.ასეთ შემთხვევაში კი ორივე ქვეყნისთვის, თავიანთი სულიერების გადასარჩენად,

ემჯობინებადარჩენაყოველგვარითანამეგობრობის გარეშე, რადგან „ რას გამორჩება კაცი, თუ მოიგებს მთელს ქვეყანას და თავის თავს კი დაღუპავს ან წარწყმედს?“ (ლუკა, 9-25).

## *ლიტერატურა:*


1. Alain De Benoist – “Beyond human rights”, Arktos Media Ltd, 2011, p. 122
2. Mark Regnerus - „How different are the adult children of parents who have same-sex relationships? Findings from the New Family Structures Study” – “Social Science Research”, volume 41, issue 4, July 2012, p. 752-770
3. Homophobia - From Wikipedia, the free encyclopedia
4. Сергей Белозерский Не прогнулись http://www.pravoslavie.ru/smi/46579.htm
5. Георгий Вольховский СОДОМ И ГОМОРРА или духовная природа гомосексуализма http://vladimir.dp.ua/vzglyad_12.html
6. Восемь из десяти украинцев – гомофобы, – опрос - http://ru.tvi.ua/new/2013/05/17/vosem_iz_desyati_ukraincev__gomofoby__opros
7. Севастьянов Александр Никитич. Голубая чума http://www.sevastianov.ru/novosti/golubaya-chuma.html


## SUMMARY


Until the last quarter of the XX century, "homophobia" was considered a psychiatric term for a pathological condition.

Today the term encompasses a range of negative attitudes and feelings toward homosexuality.

In the above article proves the legitimacy of the former definition.

# ეკონომიკა

## პროდუქციის კონკურენტუნარიანობა

**ლერი ნოზაძე**
*ასოცირებული პროფესორი*

პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ფორმირება რამდენიმე ეტაპად ხორციელდება: ცალკეული კონკურენტული უპირატესობების მოდელირება, მათი ერთ კონკურენტუნარიანობის მოდელში გაერთიანება და ცალკეული საწარმოს კონკრეტული პროდუქციის გაყიდვების წილის განსაზღვრა. პრაქტიკულად, მწარმოებლები მოქმედებენ განუსაზღვრელობის გარემოცვაში. ამიტომ პროდუქციის წარმოება ხშირად სჭარბობს მასზე მოთხოვნილებას; ამ შემთხვევაში შესაძლებელია პროდუქციის ბაზარზე მომხმარებლის ყოფაქცევის სხვადასხვა მოდელის არსებობა. ქვემოთ სწორედ ეს საკითხებია განხილული.

პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მოდელირების მიზანია რიცხვითი მათემატიკური მოდელის შექმნა, რომელიც კვლევის წარმართვისათვის ენაცვლება რეალურ პროდუქციას. კონკურენტუნარიანობის მოდელირების ამოცანებს წარმოადგენს:

ა)ყველაზე არსებითი ფაქტორების გამოყოფა, რომლებიც პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე ახდენენ გავლენას; მათი ერთიან ციფრულ მოდელთან აგრეგირება.

ბ)ბაზარზე პროდუქციის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა და შეფასება.

გ)პროდუქციის კონკურენტუნარიანობისა და მისი ცალკეული პარამეტრების ცვლილებების კანონზომიერების დადგენა.

განსახილველი მეთოდის უპირატესობას შემდეგი გარემოება წარმოადგენს:

როგორც წესი, “ბაზარზე უნდა იყოს მაღალი, საშუალო და დაბალი ხარისხის საქონელი. მაღალი ხარისხის საქონელი სულაც არ არის მისი კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობის გარანტი. მომხმარებელთა შემოსავლები შეიძლება ისეთი დაბალი იყოს, რომ უპირატესობა მიენიჭოს ძალზე დაბალი სამომხმარებლო ღირებულების, Dდაბალი ხარისხის და დაბალი ფასის საქონელს.[1]

მეორე მხრივ, უნდა შევთანხმდეთ იმაზეც, ანუ ისიც დავაზუსტოთ, თუ რა ვიგულისხმოთ პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მოდელირების ქვეშ. – სასაქონლო მხარის (მიმართულების) მოდელირება, კონკრეტული სახის პროდუქციის იდეალურ საქონელთან სიახლოვე თუ სრულიად სხვა რამ? ჩვენის აზრით, ბუნებაში არაა პროდუქციის სახეობა, რომელიც შეიძლება აღიწეროს ტერმინით “იდეალური”. კონკურენციის პირობებში ამისათვის იყენებენ ტერმინს “საუკეთესო ნიმუში”. რომელიც აგრეთვე არ წარმოადგენს იდეალურს. მომხმარებლის თვალსაზრისით იდეალი – ესაა აბსოლუტური რაოდენობა (რომლის რაოდენობრივად გაზომვა შეუძლებელია) ნულოვან ფასად. მთავარი ისაა, რომ მოდელი არ იძლევა ინფორმაციას პროდუქციის(ობიექტური შეფასებით, რომელსაც ბაზარი იძლევა) კონკურენტუნარიანობასა, მის ხარისხსა და ფასს შორის ურთიერთკავშირების შესახებ.

პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მათემატიკური მოდელირების სხვადასხვა მიდგომები არსებობს. საწყის სტადიაზე ის შეიძლება შეფასდეს კომპლექსური კრიტერიუმით “წმინდა მიმდინარე ღირებულება“, რომელიც ჯამური დისკონტირებული ფულადი ნაკადებისა და მოცემულ პრო-

დუქციასთან დაკავშირებული ინვესტიციის სხვაობის ტოლია.

$$\text{TCV} = \sum_{i}^{Tv} DTCVP_i - \sum_{i}^{Ty} I_i$$

სადაც $T_v$ ობიექტის მუშაობის ვადაა, $T_y$ ინვესტირების პერიოდი, T მიმდინარე პერიოდი, $DTCVP_i$ არის წმინდა ფულადი შემოსავალი გადასახადების გადახდის შემდეგ სამეურნეო სუბიექტის ანგარიშზე, ინვესტიციის საწყის პერიოდზე დისკონტირების გადაანგარიშებით.

ეს მაჩვენებელი ინვესტირებული საქონლის ექსპლოატაციის შედეგებთან ერთად ითვალისწინებს მიმდინარე დანახარჯებსაც ობიექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში და გვიჩვენებს სამეურნეო სუბიექტის ნამატ კაპიტალს.

სამომხმარებლო საქონლის კონკურენტუნარიანობა, რომელთა ეკონომიკური სარგებლიანობის განსაზღვრა ძნელია, შეიძლება შეფასდეს დისკონტირებული წმინდა გასავლების კრიტერიუმითაც, რომელიც დისკონტირებული მიმდინარე პერიოდული გასავლებისა და ინვესტიციის ჯამის ტოლია. [2]

$$\text{DTE} = \sum_{t=0}^{Tv} DCE_t + \sum I_t$$

სადაც D $DCE_t$ არის T პერიოდის დისკონტირებული მიმდინარე დანახარჯი.

მიგვაჩნია, რომ კონკურენტუნარიანობის კრიტერტიუმის ძალზე ზუსტად შერჩევა შესაძლებელია პროდუქციისათვის, რომელიც წარმოების საშუალებებს შეიძლება მივაკუთვნოთ და რომელიც არსებითად ეკონომიკური ეფექტიანობის ფორმას წარმოადგენს. ჩვენი აზრით, აქ სრულიად არ გაითვალისწინება საქონლის ზღვრული ფასები და ხარისხი, რომელიც მოდელირების შედეგების არსებით კორექტირებას

მოახდენდა. ეს კრიტერიუმები სამომხმარებლო საქონელს შესაფასებლად სრულიად არ შეესაბამება. რადგან მიგვაჩნია, რომ წმინდა დისკონტირებული შემოსავალი და პროდუქციის ბაზრის წილი იგივურად ტოლნი არ არიან. ამიტომ სამომხმარებლო საქონლის კონკურენტუნარიანობის მათემატიკური მოდელირებისათვის სხვა მიდგომაა საჭირო, რომელიც მის არსს უფრო ზუსტად წარმოსახავს. კონკურენტუნარიანობის მოდელირების პრინციპულად სხვა კონცეპციად მივიჩნევთ მიდგომას, რომელსაც ქვემოთ წარმოვადგენთ. მას საფუძვლად უდევს აგების შემდეგი პრინციპები:

- შეფასების მხოლოდ რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება;
- საზოგადოდ ცნობილი მეცნიერული მეთოდებისა და გაზომვის მაჩვენებლების გამოყენება;
- სხვადასხვა პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შეფარდებითი ხასიათი.
- პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მოდელირების ამოცანა მიიყვანება კონკურენტ-დაწესებულებების პროდუქციებს შორის ბაზრის განაწილების საბაზრო მექანიზმის მოდელირებამდე, რომლის საფუძველს პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ფორმირების მექანიზმი წარმოადგენს:




ნახ.1 პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ფორმირების მექანიზმი

პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ფორმირების მთავარ პუნქტს მისი ხარისხი წარმოადგენს. - ესაა პროდუქციის თვისებებისა და ნიშნების ერთობლიობა, რომელიც განაპირობებს მის უნარს, დააკმაყოფილოს ადამიანთა მოთხოვნილებები, შეესაბამებოდეს მის დანიშნულებასა და წაყენებულ მახასიათებლებს. ხარისხი განისაზღვრება საქონლის, სამუშაოს, მომსახურების სტანდარტების, შეთანხმებების, ხელშეკრულებების, მომხმარებელთა განაცხადების პირობებისა და მოთხოვნილებებისადმი შესაბამისობის ზომით[3].

როგორც ცნობილია, პროდუქციის ხარისხი წარმოადგენს ფარდობით მახასიათებელს და შემდეგი ფორმულით განისაზღვრება:

$$Yq = Q/qb \text{ ანუ } Yq = qb/Q$$

სადაც Q არის ცალკეული(განზოგადებული ან მთავარი)

ხარისხის მაჩვენებლის მნიშვნელობა, რომელიც აფასებს ნაწარმს შესაბამის ზომის ერთეულებში; qb - არის ეტალონური(საბაზო) ნაწარმის ანალოგიური ხარისხის მაჩვენებლის მნიშვნელობა[3]

შეიძლება გამოვყოთ პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლების შემდეგი ჯგუფები:

- დანიშნულების მიხედვით;
- ტექნოლოგიური;
- ეკოლოგიური;
- ერგონომიკული;
- ესთეტიკური;
- სტანდარტიზაციისა და უნიფიცირების;
- საპატენტო-სამართლებრივი;
- სერთიფიცირებული და სხვა.

პროდუქციის ხარისხი უშუალო კავშირშია მის სამომ-ხმარებლო ღირებულებასთან და პირდაპირ განსაზღვრავს მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონესა და საზღვრებს, რომელთა რეალიზაცისთვისაც ხდება მისი შეძენა.

გასათვალისწინებელია აგრეთვე ისიც, პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე მარტო ხარისხი არ ახდენს გავლენას; მისი მოდელირების დროს აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, თუ რა ფაქტორს ანიჭებს მომხმარებელი უპირატესობას; მომხმარებელი მზადაა ის პროდუქცია იყი-დოს, რომელიც მას სასურველ დონეზე აკმაყოფილებს (ან ღრმადაა დარწმუნებული ამაში). მომხმარებლისეულ უპირატესობაზეა დამოკიდებული მოთხოვნილების დონე და აქედან გამომდინარე, დონე მისი შეფასებისაც.

მომხმარებლის მიერ პროდუქციის ხარისხის შეფასე-ბისას სამომხმარებლო უპირატესობასთან ერთად ჩნდება

საქონლის დამახასიათებელი ისეთი ეკონომიკური კატეგორია, როგორიცაა პროდუქციის სამომხმარებლო ღირებულება. ის ადგენს, რამდენად შეესაბამება პროდუქცია განსაზღვრულ ადამიანურ მოთხოვნებს. სამომხმარებლო ღირებულების შეფასების სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ, ჯერ ერთი, არ არსებობს შეფასების ერთეული და მეორეც, ყოველ ადამიანს თავისი სამომხმარებლო დონე და შესაბამისად თავისი სამომხმარებლო ღირებულების შეფასება გააჩნია. თუმცა სანიმუშოდ, თუნდაც პირობით, მისი შეფასება მაინც შეიძლება. ამრიგად, მომხმარებელთა სიმპათიებისა და პროდუქციის ხარისხის ურთიერთზემოქმედების შედეგად იქმნება (ყალიბდება) სამომხმარებლო ღირებულება.

მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც სამომხმარებლო ღირებულებასთან ერთად, პროდუქციის ისეთ მნიშვნელოვან მახასიათებელს განსაზღვრავს, როგორიც ფასია, - არის მოთხოვნილების გადახდისუნარიანობის დონე(ფართო გაგებით) და პროდუქციის საწარმოო დანახარჯები. გადახდისუნარიანობის დონეზე დამოკიდებულია, შეძლებენ თუ არა მომხმარებლები შეთავაზებული საქონლის შეძენას. ერთი მხრივ, ამ ფაქტორის გათვალისწინების გარეშე პროდუქციის რეალიზაცია შეიძლება ძლიერ გართულდეს, ანდა სრულიად შეუძლებელიც კი გახდეს. მეორე მხრივ, - ფასს განსაზღვრავს პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯები, რომლის გათვალისწინებითაც წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა დგინდება. თუ პროდუქციის წარმოება არამომგებიანი იქნება, მაშინ(ცხადია ჯანსაღი გაგებით), როგორც არ უნდა კონკურენტუნარიანი იყოს, მის წარმოებას არავინ ინებებს. ამრიგად, ისეთი ეკონომიკური ფაქტორების ურთიერთზემოქმედებით, როგორიცაა ნაწარმის სამომხმარებლო ღირებულება, გადახდისუნარიანი მოთხოვნილების დონე და წარმოებაზე დანახარჯები, - ჩნდება საქონლის ფასი, რო-

გორც მისი ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელთაგანი. ნაწარმის ფასი თავის თავში მოიცავს დანახარჯებს მის დამუშავებაზე, გამოშვებასა და რეალიზაციაზე; აგრეთვე მოგების აუცილებელ დონეს. მისი სიდიდე განსაზღვრავს პროდუქციის კონკურენტუნარიანობას და წარმოადგენს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებლის - "ფასი/ხარისხი" - გამოთვლის საფუძველს. გარდა ამისა, საქონლის ფასის გადახდისუნარიან მოთხოვნილების დონესთან შეპირისპირებით ყალიბდება პროდუქციაზე მოთხოვნილების რეალური მოცულობა; საშუალება გვეძლევა განისაზღვროს პოტენციალური მომხმარებლები, გამოვლინდეს მათი უპირატესობანი და მათ მაქსიმალური მონაწილეობა მიიღონ საქონლის შექმნაში და შემდგომ საქონელმოძრაობაში. პროდუქციის ფასის მნიშვნელობა იმითაც განისაზღვრება, რომ, არსებობს კონკურენციის განსაკუთრებული სახე - ფასის მიხედვით, რომელიც ემყარება კონკურენტული უპირატესობის გამოყენებას უფრო ნაკლები დანახარჯებით. ამრიგად, ფასი მძლავრი იარაღია პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მოპოვებისა და მართვისათვის.

მაგრამ, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის რეალურობა ვლინდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მწარმოებელი ბაზარზე თავისი საქონლით გამოდის, როდესაც საქონელი ბაზარზე დგას სხვა საქონელმწარმოებლის ანალოგი პროდუქციის ან შემცვლელი საქონლის პირისპირ და მხოლოდ მაშინ იქნება ის რეალიზებული, ანუ საკუთარ კონკურენტუნარიანობას დაადასტურებს მომხმარებლისათვის არჩევანის არსებობის პირობებში საქონელ-ანალოგთა და საქონელ-შემცვლელთა გვერდით, თუ საქონელი ფლობს კონკურენტულ უპირატესობას(უფრო დაბალი ფასი და უფრო მაღალი სამომხმარებლო ღირებულება კონკურენტ საქონელთან მიმართებაში).

განვიხილოთ პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მოდელირების მაგალითი შემდეგი გამარტივებული, პირობითი, საქმიანი თამაშის სახით: კონკურენციის საგანია დაფასოებული ფრინველის ხორცის რეალიზაცია. მოდელში ჩავრთოთ ორი ფაქტორი: ხარისხი და მიდგომის სიახლე. მონაცემები წარმოდგენილია შემდეგი ცხრილებით: #1 #2. #3

ცხრილი #1

| საწარმო | წლიური წარმოების მაქსიმალური დონე(ათასი ფრთა) | წარმოების მოცულობა (ათასი ფრთა) | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2008 წ. | 2009 წ. | 2010 წ. | 2011 წ. | 2012 წ. |
| “მუხრანი” | 750000 | 674 | 680 | 740 | 595 | 677 |
| | | 355 | 570 | 500 | 300 | 670 |
| “დილა” | 200000 | 104 | 2929 | 20600 | 40000 | 30112 |
| | | 801 | 2540 | 18200 | 36540 | 22350 |

ცხრილი #2

| ხარისხის კატეგორია | გასაყიდი ფასი (1000 ფრთის) ლარი | ერთეულის თვით-ღირებულება, ლარი | რეალიზაციის კოეფიციენტი |
|---|---|---|---|
| 1 | 5000 | 4,5 | 1 |
| 2 | 5500 | 5 | 1,1 |
| 3 | 6000 | 5,5 | 1,2 |

ცხრილი #3

| საწარმო | ფასის ზრდის კოეფიციენტი | თვითღირებულების ზრდის კოეფიციენტი | რეალიზაციის კოეფიციენტი |
|---|---|---|---|
| მუხრანი | 1,24 | 1,05 | 1.48 |
| დილა | 1,35 | 1,07 | 1,29 |

ხარისხის მაჩვენებლები




კოეფიციენტების შედარება







მონაწილეობს შეზღუდული პასუხისმგებლობის ორი საწარმო: “მუხრანი” და “დილა”. გამარჯვების განმსაზღვრელი კრიტერიუმია - მაქსიმალური მოგება(შეიძლება სხვა კრიტერიუმის შერჩევაც.) “საქმიანი თამაშის” საკვანძო (გამშვები) წერტილია – მოთხოვნილების მოცულობა. ვთქვათ, ის 10000 ფრთის ტოლია. თითოეული საწარმო ახდენს თავისი საწარმოო პროგრამის ფორმირებას განუსაზღვრელობის პირობებში კონკურენტის მხრიდან. ვთქვათ, შპს “მუხრანის” საწარმოო პროგრამა (საკონკურსო განაცხადი) შეადგენს ხარისხის II კატეგორიის ნაწარმის 7ათას ერთეულს, ხოლო შპს “დილისა” კი - შეადგენს ხარისხის I კატეგორიის ნაწარმის 6ათას ერთეულს. წარმოების ჯამური მოცულობა 10 ათასი ერთ. კონკურენტუნარიანი მოთხოვნილების შემთხვევაში შეადგენს 13 ათას ერთეულს. კონკურენტული მოთხოვნები შეადგენენ:

$$КЗ_1 = 7000*1,29*1,24 = 11197$$

სადაც 7000 არის შპს “მუხრანის” მიერ გამოშვებული პროდუქცია; 1,29 - ხარისხის II კატეგორიის შესაბამისი რეალიზაციის კოეფიციენტი, 1,24 – რეალიზაციის კოეფიციენტი, რომელიც “ძველ” მოდელს შეესაბამება.

$$КЗ_2 = 6000*1,35*1,48 = 11988$$

სადაც 6000 არის “დილის” მიერ გამოშვებული პროდუქცია; 1,35 - ხარისხის I კატეგორიის შესაბამისი რეალიზაციის კოეფიციენტი, 1,48 – რეალიზაციის კოეფიციენტი, რომელიც “ახალ” მოდელს შეესაბამება.

გაყიდვების მოცულობები შესაბამისად შეადგენენ:

$$V1 = 10000*\frac{11197}{11197+11988} = 4829,42 \text{ ლ.}$$

$$V2 = 10000*\frac{11988}{11988+11197} = 5170,58 \text{ ლ.}$$

ამრიგად, 7000 ერთეულიდან შპს “მუხრანის” მიერ რეალიზებულია 4829,42ლ. ხოლო “დილის“ მიერ 5170,58ლ. პირველის მოგება შეადგენს: (5,5 ათას ლ. - 5,0 ათასი ლ.) *4829,42 = 2414,71 ათასი ლ. სადაც 5,5 არის ხარისხის II კატეგორიის შესაბამისი პროდუქციის ერთ. ფასი, 5,0 ათასი – მისი თვითღირებულება. ანალოგიურად შპს “დილისათვის”:

( 5,0*1,07 – 4,5*1,05 )* 5170,58 = 3231,61 ათასი ლ.

3231,61 ლ – 2414,71 ლ. = 816,9 ლ.

ამრიგად, კონკურენტული უპირატესობის საფუძველზე, რაც პროდუქციის განახლებაში მდგომარეობდა, შპს “დილამ” შპს “მუხრანი” - დაამარცხა.

ამ მიდგომის უპირატესობად შემდეგი გარემოებები მიგვაჩნია:

- გახსნილია ლოგიკური ურთიერთკავშირები საწარმოს პროდუქციის ცალკეულ კონკურენტულ უპირატესობებსა და მის კონკურენტუნარიანობას შორის;

- მოდელირებულია ბაზარზე პროდუქციის გაყიდვის მოცულობის განაწილების მექანიზმი საწარმოებს შორის, მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის კონკურენტულ უპირატესობებთან დამოკიდებულებაში;
- პროდუქციის უმრავლეს სახეობათათვის დამუშავებულია კონკურენტუნარიანობის მოდელირების მიდგომები კონკურენტულ ბაზარზე.

## ლიტერატურა:


1. *Светуньков С.Г., Литвинов А.А.* Конкуренция и предпринимательские решения. – Ульяновск, 2008. – С. 118-132.
2. *Фаскиев Х., Ситникова О.* Конкурентоспособность и ее моделирование на стадии проектирования . Маркетинг. – 2010. – № 5. – С. 45-51.
3. *Смирницкий Е.К.* Экономические показатели бизнеса. – М., 2002. – С. 112-123.


## THE COMPETETION PRODUCTS'


**L. Nozadze**


## SUMMARY


The modelity of competetion promobing of the agricultural products are realized in some stages: modelity of the private competetion preference; to unife the private competentions preference in one competetion promote model and todefine sale share of every product of every establishment. In fact the agricultural rulers operate in the condition of uncertainty.

Thet is why the account of producted goods is more than necessery. So there are two models of demarded produets on the and market and they are discussed in the given articl.

# კორპორაციული მმართველობის კონცეფციების არსი და მისი განვითარების ისტორია

**ვაჟა კაკაბაძე**
*ეკონომიკის დოქტორი, ინჟინერ-გეოლოგი,*
*საქართველოს საინჟინრო აკადემიის*
*წევრ-კორესპოდენტი.*

**ანოტაცია:** მმართველობითი აზროვნების ევოლუციის მრავალსაუკუნოვანი პროცესის შედეგად - მართვა, როგორც მეცნიერება და ადამიანის დამოუკიდებელი საქმიანობის სფერო, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა. ამ პერიოდიდან დაწყებული დღემდე კორპორაციული მართვის სრულყოფის შესახებ მრავალი გამოკვლევა ჩატარდა, გამოიცა მეცნიერული შრომები, შეიქმნა კორპორაციული მართვის სრულყოფის მოდელები, განისაზღვრა მათი კავშირი და დამოკიდებულება საკანონმდებლო ბაზასთან, მიუხედავად ამისა მისი სრულყოფა დღესაც მიმდინარეობს.

ქართული და უცხოური ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ მართვა როგორც მეცნიერული მიმართულება ცარიელ ადგილზე არ წარმოშობილა, მას წინ უძღოდა სოციალური მართვის აზროვნების ევოლუციური პროცესები და პრაქტიკის თანდათანობითი პროგრესი. რომლის ხელშემწყობ და ზოგ შემთხვევაში შემაფერხებელ ფაქტორად გვევლინება საკანონმდებლო ბაზა და ახალი მიდგომები.

ეკონომიკური ლიტერაატურის შესწავლის საფუძველზე დადგინდა [5; 33], რომ პირველი საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცეული მართვის ნიშნები შეიმჩნევა შუამდინარეთის კულტურაში, ამ კულტურის არეალში ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში, პირველად ჩამოყალიბდა

განსაკუთრებული კასტა, რომლებიც ახორციელებდნენ სავაჭრო ოპერაციებს, საქმიან მიმოწერას და კომერციულ გარიგებას [13], მართვის ჩარჩოებში მოქცეული.

მართვის აღმოცენების საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა რუსი მეცნიერის ე. ა. უტკინის მეცნიერული შრომები და პუბლიკაციები, რომელიც ამ საქმიანობის სფეროში გამოყოფს ხუთ რევოლუციას, სახელდობრ: პირველ რევოლუციას უკავშირებს ძველ შუმერებში დამწერლობის აღმოცენებას; მეორე რევოლუციას უკავშირებს ბაბილონის მმართველის ჰამურაბის საკანონმდებლო კრებულს; მესამეს, საწარმოო-სამშენებლო მმართველობითი სისტემის ჩამოყალიბებას ნაბუქოდონოსორის მმართველობით პერიოდში; მეოთხე, რევოლუციას - კაპიტალიზმის ჩასახვასა და ევროპული ცივილიზაციის ინდუსტრიული პროგრესის დაწყებას; მეხუთეს, მმართველობით რევოლუციას - რაციონალური ბიუროკრატიულ კონცეფციას და მასთან დაკავშირებული იერარქიული მართვის ჩამოყალიბებას.

გავითვალისწინეთ რა თავად ე. ა. უტკინის შეხედულებები, და ვ. პ. სავჩუკის [42], პ. დრუკერის [33; 23], ზ. ლიპარტიას, ა. სილაგაძის, ა. აბრალავას [1], ვ. კაკაბაძის, [10] ბ. ბიწაძის [8] შეხედულებები ჩამოვაყალიბეთ მმართველობითი აზროვნების გარდაქმნის ეტაპობრივი სქემა, სახელდობრ:

1. მართვა დაკავშირებული ტრაქტატულ აზროვნებასთან ანუ განსჯასთან [11, გვ. 5; 19], რომელიც მოიცავს მონათმფლობელურ პერიოდს, დაკავშირებულს მონური შრომის რაციონალურ განაწილებასთან [41, c. 42]. ამ პერიოდს ემთხვევა პირველი მცდელობა მართვის შესახებ ცოდნის ფიქსირების და მის ნაწილობრივ სისტემატიზაციას.

2. მართვა დაკავშირებული სისტემურ ეკონომიკურ აზროვნებასთან. მართვის ეს პერიოდი ე. ა. უტკინის მიხედვით იწყება კაპიტალიზმის ჩასახვის პერიოდიდან, რომელსაც

ჩვენ აბსოლიტურად ვეთანხმებით და ამასთან გვსურს აღვნიშნოთ, რომ ამ პრიოდში ხდება მართვის ისეთი მექანიზმის დამკვიდრება, რასაც შრომის დანაწილება ჰქვია და რაც აღწერილია ადამ სმიტის წიგნში ,,ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ" [20].

ქართველი მეცნიერები ლ. თაკალანძე, ე. ბარათაშვილი, ა. აბრალავა მართვის ევოლუციურ განვითარებაში გამოყოფენ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ოთხ პერიოდს [6]:

პირველ პერიოდს უკავშირებენ "სამრეწველო კაპიტალიზმს";

მეორე პერიოდს (1890-1933 წლები) - აღნიშნავენ ტერმინით "ფინანსური კაპიტალიზმი";

მესამე პერიოდს (1933-1950 წლები) უკავშირებენ "ნაციონალური კაპიტალიზმის" ჩამოყალიბებას. ამ პერიოდში იკვეთება მართვის ისეთი ფორმები რომელიც ორიენტირებულია არა მარტო მიზნებზე და შედეგებზე, არამედ კონტროლზე. კონტროლთან დაკავშირებით საყურადღებოა გერმანელი პოლიტიკური მოღვაწის ლ. შპეტის [45] მოსაზრება, რომელსაც მიაჩნია, რომ წარმოების პროცესი ნედლეულის მოპოვებიდან საქონლის შექმნამდე, მისი ბაზარზე განაწილების ჩათვლით და, შემდგომში, რეალიზაციასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვება, უნდა ხდებოდეს ადამიანის და საინფორმაციო ტექნოლოგიების ურთიერთშერწყმით, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი უნდა დაეთმოს კონტროლს. კონტროლის მომხრეა ფ. შახმალოვი, მაგრამ, ამასთან აღნიშნავს [44], რომ კონტროლი უნდა იყოს არაიძულებითი ფორმა და განსაკუთრებით თუ ეს ეხება კონტროლს სახელმწიფოს მხრიდან.

მეოთხე პერიოდის საწყისად მიიჩნევენ 1950 წელს, როცა ფართოდ ინერგება კოლეგიალური მართვის სისტემა, და მიიჩნევენ, რომ ის დღემდე გრძელდება. [6] ჩვენი მოსა-

ზრებით ამ პერიოდის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ ინდივიდუალურმა გადაწყვეტილებამ უკანა პლანზე გადაინაცვლა (<u>მაგრამ არ მოიშალა</u>) და კორპორაციებში, ფირმებში, სააქციო საზოგადოებებში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღება თანამფლობელთა ერთობლივი ძალისხმევის საფუძველზე, რა თქმა უნდა ბაზრის კარნახის საფუძველზე, რამეთუ, ბაზარი წარმოადგენს მიზანდასახულ, რთულ ურთიერთდაკავშირებულ დინამიურ სისტემას [17; 16; 3, გვ. 62; 12; 37].

ლიტერატურის შესწავლის და უშუალო დაკვირვების საფუძველზე დადგინდა, რომ კორპორაციული მართვის რაციონალური აუცილებლობა განპირობებულია კონკურენტული გარემოთი და შეზღუდული რესურსებით, ვინაიდან ერთიც და მეორეც დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან, ასევე რისკთან, ხოლო, ყოველივე ეს ქმნის მართვის კანონზომიერებების სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობას.

მეცნიერები გ. შიხაშვილი [22], ე. ბარათაშვილი, ლ. თაკალანძე და ზ. ლიპარტია მართვის კანონზომიერებებიდან გამოყოფენ შემდეგ ურთიერთდამოკიდებულების ჯაჭვს [7, გვ., 30-58]:

1. საზოგადოება მიისწრაფის მოწესრიგებული მართვის ორგანიზაციისაკენ [7, გვ., 33]. ჩვენი მოსაზრებით საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების ისტორიული განჭვრეტა ადასტურებს ამ დებულების სისწორეს. მათ მიაჩნიათ, რომ ნებისმიერი დარგისა და დონის მენეჯერი, რომელიც ცდილობს რა მაქსიმალურად მაღალი ეკონომიკური ეფექტით გამოიყენოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი - სრულყოფს მართვის სისტემებს [8, გვ. 48];

2. მართვის ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის ოპტიმალური შეთანაწყობა. ამ კლასიფიკაციის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ეს კანონზომიერება აქტუალური ხდება

წარმოებისა და მმართველობით ურთიერთობათა განვითარების და ხარისხობრივად ახალი თვისებების შეძენის გამო [7, გვ., 35], და ასაბუთებენ, რომ აღნიშნული კანონზომიერების სისტემაში მოქმედებს კანონი მართვის ფუნქციების ცენტრალიზაციისა და კონტროლის გავრცელების შესახებ, რაც ნიშნავს რომ მართვის სუბიექტი მიისწრაფის მართვის ფუნქციების გაფართოებისა და მისი ცენტრალიზაციისაკენ;

3. მეურნეობის ნებისმიერ დონეზე პრინციპების ერთიანობა. [24;2; 9; 18];

4. მმართველობითი და სამართავი სისტემის პროპორციული და ოპტიმალური შესაბამისობა. ე. ბარათაშვილს და ლ. თაკალანძეს მიაჩნიათ, რომ მმართველი სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს წარმოების სისტემის ყველა სფეროსა და ქვედანაყოფის პროპორციულ განვითარებას. ამისათვის აუცილებელია საწარმოს ყველა რგოლებს შორის განვითარების ერთნაირი პირობების შექმნა როგორც შრომითი, მატერიალურ-ტექნიკური, ასევე ფინანსური საშუალებების სწორი განაწილება. ფინანსურ საშუალებების რაციონალურ განაწილებასთან დაკავშირებით საყურადღებოა ზ. ლიპარტიას მიდგომა, მას მიაჩნია, რომ ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ მოხდება დაფინანსების წყაროებისა და გამოყენების კრიტერიუმების სწორი განსაზღვრა [14 გვ., 358].

მეცნიერული მართვის სკოლის ფუძემდებლის ფ. ტეილორის გამოკვლევის [43] შესწავლის და უშუალო პრაქტიკული დაკვირვების საფუძველზე, ჩვენს მიერ გაკეთდა შემდეგი დასკვნა, რომშრომის მწარმოებლურობის ზრდის მთავარი ბარიერი ორგანიზაციებში მენეჯმენტის არასახარბიელო დონე დ აარასწორი მართვის სრულყოფის სტრატეგიების შერჩევა იყო. და „„არ-ემ-ჯიგრუპ“-ის მართვის პროცესის ანალიზის შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ რომ ეფექტიანი მართვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ

მართვის პროცესი განხორციელდება მკაცრად განსაზღვრულ პრინციპებზე დაყრნობით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მართვის ახალი მეცნიერული მიღწევები.

მეცნიერული მართვის სკოლის მიმდევრებისაგან განსხვავებით მენეჯმენტში 1920 წლიდან წარმოიშვა კიდევ ერთი ახალი მიმართულება, რომელმაც შეიმუშავა ორგანიზაიის მართვის კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებდა ბიუროკრატიული მართვის პრინციპებს. ამ კონცეფციის მამამთავარია მაქსვებერი [31]. მ. ვებერის შრომების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის მიღწევა შესაძლებელია მართვის რაციონალიზაციის გზით - ბიუროკრატულობამდე აყვანილი. მისი თეორიის ძირითადი მამოძრავებელი დებულებებია: შრომის ზუსტად განსაზღვრული დანაწილება მუშაკთა უფლებამოსილებების და პასუხისმგებლობის დონის შესაბამისად; ფორმალური უფლებამოსილების თანახმად თანამდებობების განსაზღვრა იერარქიულ სტრუქტურაში; მუშაკთა შერჩევისას მათი კვალიფიკაციის გათვალისწინება; ყველა გადაწყვეტილების წერილობით გაფორმების აუცილებლობა.

განსაკუთრებული წვლილი მართვაში, ეკუთვნის ანრი ფაიოლს [29], მერი პარკერ ფოლეტს და ჩასტერ ბერნარდს [46; 32, ст. 51-53.]. ა.ფაიოლიმ პრაქტიკული დაკვირვების და საკუთარი შეხედულებების განზოგადების საფუძველზე ჩამოაყალიბა ადმინისტრირების კონცეფცია და მენეჯმენტის ფუძემდებლური პრინციპები. სახელდობრ, მას მიაჩნია, რომ მართვის ჯაჭვი უნდა იყოს ცვალებადი და მოქნილი, სახელისუფლებო უფლებამოსილება კი უნდა დანაწილდეს უმაღლესი დონიდანძირეულიდონისაკენ და უნდა მოიცვას ყველა მუშაკი.

მართვის თვალსაზრისით მნიშვნელოვან ყურადღებას იქცევს პ. ფოლეტი,რომელიც დიდ დატვირთვას ანიჭებს

ისეთ საკითხება როგორიცაა: ეთიკა, ხელისუფლება, ლიდერობა. ჩვენი მოსაზრებით, მისმა კვლევებმა მენეჯმენტის თეორიაში დასაბამი მისცა ახალ ეტაპს, რომელიც ახლოს იყო მართვის ფსიქოლოგიურ ასპექტებთან. მისი დაწყებული საქმე გააგრძელა ჩ. ბერნარდმა. ჩ. ბერნარდი იკვლევდა მართვის პროცესს, რის საფუძველზე შეიმუშავა არაფორმალური ორგანიზციის კონცეფცია. ამ კონცეფციის თანახმად არაფორმალური ორგანიზაციები იქ მნებანებისმიერი ორგანიზაციის შიგნით. მას მიაჩნდა, რომ არაფორმალური ურთიერთობები არის მძლავრი ფაქტორი, რომელიც მენეჯერებმ აუნდ აგამოიყენონ მიზნის მისაღწევად.

მე-20 საუკუნის მიწურულს კორპორაციების უმეტესობამ მთელ მსოფლიოში დაიწყო სტრატეგიული დაგეგმვიდან სტრატეგიულ მართვაზე გადასვლა. სტრატეგიული მართვა წარმოადგენს არა მარტო მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესს, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის გრძელვადიან განვითარების ხარისხს, არამედ კონკრეტულ მოქმედებას, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს სწრაფ რეაგირებას გარე გარემოს კონიუნქტურის სულ უფრო მზარდ ცვლილებებზე [35].

ი. ანსოფის [27] აზრით, სტრატეგიული მართვა უნდა განვიხილოთ როგორც ორი ურთიერთშემვსები ქვესისტემის ერთობლიობა: პირველი, სტრატეგიული პოზიციის ანალიზი, შერჩევა და მეორე, ოპერატიული მართვა - დროის რეალურ მასშტაბში. ქართველ მეცნიერს რ. ხარებავას [21,გვ. 20-31] მიაჩნია, რომ ამის აუცილებლობა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ სტრატეგიული მართვა სტრატეგიული დაგეგმვისაგან განსხვავებით წარმოადგენს ქმედით, ორიენტირებულ სისტემას, რომელიც მოიცავს სტრატეგიის რეალიზაციის პროცესის განხილვას, შეფასებას და კონტროლს. რ. ხარებავას [21,გვ. 32-35] სტრატეგიის რეალიზაციის პროცესს

შემდეგნაირად ხსნის: ,,სტრატეგიის რეალიზაცია არის სტრა-ტეგიული მართვის საკვანძო ელემენტი, რადგან სტრატე-გიული გეგმის განხორციელებისმექანიზმების არარსებობის შემთხვევაში იგი რჩება მხოლოდ ფანტაზიად”.

დ. შენდელი და კ. ხატენი [25] სტრატეგიულ მართვას განიხილავენ, როგორც ორგანიზაციის გარე გარემოსთან კავშირების განსაზღვრისა და დამყარების პროცესს. მათი აზრითიგი მდგომარეობს არჩეული მიზნების რეალიზაციაში და გარემოსთან სასურველი მდგომარეობის მიღწევაში, რესურსების ეფექტური განაწილებითა და ორგანიზაციის ქვედანაყოფების შედეგიანი მოღვაწეობით.

დაბოლოს, დასკვნის სახით გვსურს აღვნიშნოთ, რომ უცხოელი და ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების ი. ანსოფი, ფ. კარლოფი, მ. მეკსონის, ე. არენსის, ა. მურავლოვის, ლ. ლოზოვსკის, ვ. ლეონტიევის, ფ. შახმალოვის, [26; 28; 34; 39; 30; 40; 38 c. 508-547; 36; 44, c.286], ზ. ლიპარტიას [14;15], რ. ხარებავას [21გვ. 32-35], ბ. ბიწაძის [8], ი. ანანიაშვილის, ვ. პაპავას, ი. მესხიას [4], ე. ბარათაშვილის [7] და სხვა ნა-შრომების შესწავლის საფუძველზე ჩამოვაყალიბეთ მართვის არსი: ,,მართვა არის ალტერნატიული მიზნების და გადაწყვეტილებების სწორი შერჩევა და მათი ერთ სისტემაში მოქცევა, რომელშიც მთავარი განმსაზღვრელია რაციონა-ლიზმი, რამეთუ ის უფრო ნაკლებად ექცევა ეგზოგენური პროცესების გავლენის ქვეშ და საშუალებას იძლევა სწორი სტრატეგიული არჩევანის გაკეთების”.

## ლიტერატურა:


1. აბრალავა ა. ტრანსნაციონალური კომპანიების როლი გლობალიზაციის პროცესში. ჟურ.: ეკონომიკა, №5-6, თბ., 2003 წ.

2. ადამია ნ. სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურა. ჟურ.: ბიზნესი და კანონმდებლობა, №19-20, თბ., 2010 წ.
3. ადეიშვილი გ.(მთ.რედ.) ეკონომიკურითეორიისსაფუძვლები.ნაწილი II.თბ.,თბილისისუნივერსიტეტისგამომცემლობა.1992 წ.
4. ანანიაშვილი ი., აჩელაშვილი კ., მესხია ი., პაპავა ვ., სილაგაძე ა., წერეთელი გ. მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები. გამ.: ,,მეცნიერება", თბ., 2003 წ.
5. აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შრომები. გამ.: ,,მეცნიერება", თბ., 1978 წ.
6. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., აბრალავა ა. მენეჯმენტი და ადმინისტრირება, გამ.: "ინოვაცია", თბ., 2007წ.
7. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ. მენეჯმენტის საფუძვლები. გამ.: ,,უნივერსალი" თბ., 2010 წ.
8. ბიწაძე ბ. კორპორაციული მენეჯმენტის საფუძვლები. გამ.: ,,აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია", თბ., 2009 წ.
9. ბიწაძე ს. კორპორაციულიმართვადასაქართველო. ჟურ.: ბიზნესი და კანონმდებლობა, №19-20, თბ., 2010 წ.
10. კაკაბაძე ვ. ინვესტიციები და საინვესტიციო პროექტების მართვა. გამ.: ,,მერიდიანი", თბ., 2012 წ.
11. კაკაბაძე ვ. ეკონომიკური აზროვნების ევოლუცია. გამ.: ,,მეცნიერება", თბ., 2004 წ.
12. კახნიაშვილი ჟ. მაკროეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა. II ნაწილი. გამ.: ,,სიახლე", თბ., 1997 წ.
13. ლიპარტია ზ. კორპორაციული ფინანსების მართვა. გამ.: ,,უნივერსალი" თბ., 2009
14. ლიპარტია ზ., გელაშვილი მ., ჯღარკავა ნ., ბერიშვილი ხ. კორპორაციული ფინანსები. ტომი I, გამ.: ,,უნივერსალი" თბ., 2012 წ.

15. ლიპარტია ზ., გელაშვილი მ., ჯღარკავა ნ., ბერიშვილი ხ. კორპორაციული ფინანსები. ტომი II, გამ.: ,,უნივერსალი" თბ., 2013 წ.
16. მაკარათი ა. ჰ. საერთაშორისო კორპორაციები და მათი მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოში. ჟურ.: ,,ეკონომიკა", №1-2. თბ., 2003 წ.
17. მენქიუ გ. ეკონომიკური პრინციპები. გამ.: ,,დიოგენე", თბ., 2000 წ.
18. ნატროშვილი ნ. კორპორაციული მართვა ქართულ კომპანიებში. გაზ.: 24 საათი, 18 მაისი, შაბათი, 2013 წ.
19. სილაგაძე ა. ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები. გამ.: ,,თსუ", თბ., 2001 წ.
20. სმითი ა. ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. ტომ.: 1,თბ.,1938 წ.
21. ხარებავა რ. ფირმის ეკონომიკური სტრატეგიები. გამ.: ,,სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2013 წ.
22. შიხაშვილი გ. რუსიძე კ. პროექტების მენეჯმენტი. გა.: ,,მერიდიანი", თბ., 2010 წ.
23. Peter F. Drucker. Management Challenges for the 21st century. HarperCollins Inc., New York 1999
24. Vinicius Carrasco. Corporate Board Structure, Managerial Self-Dealing and Common Agency. First Draft: July, 2004. This Draft: October, 2005 year
25. Chandler A. Strategy and Structure: Chapters in the History of the American Industrial Enterprise. Cambridge, 1962.
26. Management. Henry Fayols biography, Management; 2010. http://management4best. blogspot.com/2010/01/henry-fayolsbiography.html.
27. Ансофф И. Стратегическое управление: Пер. с англ.Из.: "Экономика", М., 1989 г.
28. Ансофф И. Стратегический Менеджмент. Пер.с англ. Класическое Изд.: "СПб", Питер, 2009 г.
29. Анри Файоль. Общее и промышленное управление. Перевод

на русский язык: Б. В. Бабина-Кореня. — М.: 1923. [Электронный ресурс] // Центр гуманитарных технологий. URL: http://gtmarket.ru/laboratory/basis/5783
30. Аренс Э. А., Лоббек Дж. Аудит. Изд.: "ФЫНАНСЫ И СТАТИСТИКА", М.,1995 г.
31. Вебер М. История хозяйства. Очерки всеобщей социальной и экономической истории. Пг.: „Наука и школа", М., 1923 г.
32. Веснин В.Р. "Менеджмент" (3-е изд., переработанное и дополненное), изд. "Проспект", 2007 г.
33. Друкер П. Ф. Задачи менеджмента в XXI веке. Москва-Санкт-Петербург-Киев, 2000
34. Карлофф Ф. деловая стратегия. Пер. с англ. Изд.: "Экономика", Москва, 1999 г.
35. Кузнецов Ю.В. Подлесных В.И. Основы менеджмента. Изд. ОЛБИС, М., 2002 г.
36. Леонтев В. Е., Бочаров В. В., Радковский Н. П. Финансовый менеджмент. Изд.: "ЭЛИТ", Москва, 2005 г.
37. Левшин Ф. Мировой рынок: Конъюнктура, цены и маркетинг. Из.: "МО". Моск., 1993
38. Лозовский Л. Ш. Управление предприятием. Менеджмент. Курс экономики. Изд.: "Инфра-М", Москва, 1999 г.
39. Мексон М., Алберт М., Хедоури Ф. Основы менеджмента. Изд.: "ДЕЛО", М., 2000 г.
40. Муравьёв А., Савулькин Л. Корпоративное управление и его влиание на повидение приватизированных предприатии. Ж.: "Вопросы Экономики", №7, М., 1998 г.
41. Райзберг Е. А. (ред.). Курс экономики. Учеб., 2-е изд. Изд.: "Анфора-М", М., 1992 г.
42. Савчук В. П. Фынансовый менеджмент предприатий: практические вопросы и анализ деловой ситуации. Изд.: "ФС", Киев, 2001 г.
43. Тейлор Ф. У. "Административно-техническая организация промышленных предприятий". Из.: „СПб"., М., 1912 г.
44. Шамхалов Ф. Государство и экономика: Власть и бизнес. Ж.: "Экономика", М., 1996

45. Шпет Л. Вызов брошен – но принали? Литературная газета, 3 февраля, 1988 г.
46. http://www.vse-uchebniki.com/osnovyi-menedjmentabesplatno/opredelenie-funktsii-motivirovaniya.html,

## THE ESSENCE OF CORPORATE GOVERNANCE CONCEPTS AND DEVELOPMENT HISTORY

***Vazha Kakabadze***

### SUMMARY

The present article briefly discussed: the emergence of economic activities, management issues, managing periods of evolutionary development, scientific management school attitudes; principles of bureaucratic management, switching from strategic planning to strategic management; ethics, leadership and the government's role in the managing system. Analyzed: interdependent chain management regulations. And presented the conclusion about management principles based on the research and observation: Management is an alternative goals and solutions for the proper selection of a system conversion, in which the main determinant of rationalism, because it is more or less given exogenous processes influence and allows the correct strategic choice".

# საზოგადოებასთან ურთიერთობის კონცეფცია

**ქეთევან გოგოძე**
*შპს "კაზინო აჭარა" ოფის მენეჯერი*

PR-ის, როგორც პროფესიისა და მეცნიერების ჩამოყალიბება თარიღდება მეოცე საუკუნის პირველი ნახევრით. ამ, შედარებით მოკლე პერიოდიდან მოყოლებული დღემდე, მისი მრავალი განსაზღვრება მივიღეთ.

გასული საუკუნის დასაწყისში დაიწყო PR-ის, როგორც საკომუნიკაციო დისციპლინის დამკვიდრება. პირველი ფაქტი, რომლის დროსაც სიტყვა "PR" გამოიყენეს ასეთი იყო: ამერიკის შეერთებული შტატებში სარკინოგზო კატასტროფების სერიის შემდეგ, მკვეთრად შემცირდა სარკინიგზო ტრანსპორტის გამოყენება, რის გამოც ამერიკის რკინიგზის დეპარტამენტმა რამდენიმე სპეციალობის თანამშრომელს დაავალა, რომ მომხმარებელი რკინიგზის უსაფრთხოებაში დაერწმუნებინათ. მაშინ, ფსიქოლოგების, სოციოლოგების, მარკეტოლოგებისა და ჟურნალისტების ჯგუფის წევრებს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები უწოდეს. [1]

პირველი ადამიანი, რომელმაც საზოგადოებასთან ურთიერთობის აბრევიატურა გამოიყენა ტომას ჯეფერსონი გახლდათ. 1807 წელს მის ერთ-ერთ მოხსენებაში, ეს ორი სიტყვა გააერთიანა და ტერმინად იხმარა. [2]

ედვარდ ლ. ბერნეისი თავისი წიგნით "საზოგადოებრივი აზრის კრისტალიზაცია", რომელიც 1923 წელს გამოიცა, საზოგადოებასთან ურთიერთობის, როგორც ახალი პროფესიის ჩამოყალიბების მთავარი ორატორი და ფუძემდებელი გახდა. მან დასაწყისშივე განმარტა: " ამ წიგნის წერისას ვცდილობდი, ჩამომეყალიბებინა ის ძირითადი პრინციპები,

რომელიც მართავს საზოგადოებასთან ურთიერთობის მრჩევლის მთავარ ფუნქციას". [3]

1923 წელს ბერნეისმა ნიუ-იურკში სტუდენტთა ჯგუფი შეკრიბა და PR-ის პირველი კურსები ჩამოაყალიბა. ამ დროიდან მოყოლებული დღემდე, ამერიკის შეერთებულ შტატებში PR-ის სწავლება ყოველწლიურად უფრო და უფრო იხვეწება და ფართო მასშტაბებს იღებს.

კატლიპი, რომელმაც გამოსცა პირველი წიგნები, სადაც PR-ის თეორია და პრაქტიკა ერთმანეთთან შერწყმულია, მას შემდეგნაერად განმარტავს:

"საზოგადოებასთან ურთიერთობა არის მენეჯმენტის ფუნქცია, რომელიც ახდენს ორმაგი სარგებლიანი ურთიერთობის იდენტიფიცირებას, დაფუძნებას და მოპოვებას ორგანიზაციასა და იმ სხვადასხვა საზოგადოებებს შორის, რომელზეც მისი წარმატება, ან წარუმატებლობაა დაფუძნებული". [4]

პირველი ადამიანი, რომელმაც საზოგადოებასთან ურთიერთობის ფართო და ყოვლის მომცველი განმარტება გააკეთა, ამერიკელი აკადემიკოსი რექს ჰარლოუ გახლდათ. მისი დეფინიცია აერთიანებდა PR-ის იმ 472 განმარტებას, რომელიც 1900 წლიდან მოყოლებული 1976 წლამდე გაკეთებულა. ჰარლოუმ განსაზღვრებები ერთმანეთში შერწყა, რის მიხედვითაც მიიღო PR-ის შემდეგი განმარტება:

"საზოგადოებასთან ურთიერთობა არის მართვის გამორჩეული ფუნქცია, რომელიც ხელს უწყობს კომუნიკაციის, ურთიერთგაგების, ურთიერთმიღებისა და აღიარების, თანამშრომლობის საერთო ინტერესების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებას, ორგანიზაციასა და მისით დაინტერესებულ ჯგუფებს შორის; ის მოიცავს პრობლემებისა და საკითხების მართვას; ეხმარება ორგანიზაციას, იყოს საზოგადოებრივი აზრის საქმის კურსში და იყოს პასუხისმგებელი მის წინაშე." [5]

2011-2012 წლებში PRSA-მ (ამერიკის საზოგადოებასთან ურთიერთობის საზოგადოებამ) ჩაატარა ინტერნაციონალური გამოკითხვა, რათა მოეხდინა 1982 წელს შემუშავებული მისივე განმატრების მოდერნიზაცია, რაც შემდეგს გულისხმობდა:

“PR ეხმარება ორგანიზაციებსა და საზოგადოებას ერთმანეთთან ურთიერთობების ორმხრივ ადაპტაციაში. ”(1982 წელი)

და ჩამოაყალიბა თანამედროვე განმარტება:

-“საზოგადოებასთან ურთიერთობა არის სტრატეგიული კომუნიკაციის პროცესი, რომელიც აყალიბებს ორმხრივ და სარგებლიან ურთიერთობას, საზოგადოებასა და ორგანიზაციას შორის”. (2012 წელი). [6]

PRSA- აყალიბებს საზოგადოებასთან ურთიერთობის შემდეგ ფუნქციებს:

-PR გვეხმარება მივიდეთ კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე და ჯგუფებსა, თუ ინსტიტუტებს შორის ორმხრივი ინტერესების ჩამოყალიბების მეშვეობით, ჩვენს ფუნქციონირებას უფრო ეფექტურს ხდის. ის გვეხმარება კერძო და საჯარო პოლიტიკის ჰარმონიის მიღწევაში.

-საზოგადოებასთან ურთიერთობა ემსახურება ისეთ საზოგადოებრივ ინსტიტუებს, როგორიც არის ბიზნესი, საცალო ვაჭრობა, სამთავრობო უწყებები, სხვადასხვა ასოციაციები, ფონდები, საავადმყოფოები, სკოლები, კოლეჯები და რელიგიური დაწესებულებები. ამ ინსტიტუტებს თავისი მიზნების მისაღწევად,სხვადასხვა აუდიტორიასთან ან თანამშრომლებთან, კომპანიის წევრებთან, მომხმარებლებთან, თუ აუქციონერებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება სურთ.

-მართველობით მენეჯმენტს, საკუთარი მიზნების მიღწევისთვის, სამიზნე აუდიტორიის მნიშვნელობა უნდა

ესმოდეს. მიზნები თავისთავად განსაზღვრულია გარემო ფაქტორების მიხედვით. საზოგადოებასთან ურთიერთობის პრაქტიკოსი მოქმედებს, როგორც მრჩეველი მენეჯმენტის ფუნქციაში და როგორც შუამავალი, რომელიც ეხმარება პირადი მიზნების, გონივრულ და საჯაროდ მისაღებ პოლიტიკად გადაქცევას. [7]

ვინაიდან, ეს სფერო ადამიანის სუბიექტურ აღქმასთან მოდის თანხვედრაში, არ არსებობს ერთიანი ობიექტური საფუძველი, რაც გააერთიანებდა PR-ის უმთავრეს პრინციპებს. დღესდღეობით მსოფლიოში საზოგადოებასთან ურთიერთობის 600-ზე მეტი განსაზღვრება არსებობს. ამ მხრივ, გამონაკლისი არც ჩვენი ქვეყანაა, სადაც რამდენი ადამიანიცაა, იმდენივე გაგებაა. სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი, ამ სფეროსადმი სხვადასხვა მიდგომის ცოდნა.

განმარტება ხშირად იცვლება და ვითარდება უშუალოდ საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმების მიხედვით, იცვლება როლები და კომუნიკაციის ტექნოლოგიები. გარემო ფაქტორები ძალიან დიდ გავლენას ახდენს, პროფესიის სახეცვლილებებზე და ხშირად, მის ფუნქციურ დატვირთვასაც სხვა მიმართულებას აძლევს. მაგალითად, თუკი ადრე PR-ის აღქმასა და მიმართულებებში ძირითადი მნიშვნელობა ენიჭებოდა პრესას, თანამედროვე მიმართულებასა და შესაბამისად აღქმაში ჭარბობს "ჩართულობის" უდიდესი როლი მისი კარგად მუშაობისთვის. პირველ რიგში საჭიროა ვიცოდეთ, რა არის თავად ვირტუალური სივრცე, მივხვდეთ რამდენად მნიშვნელოვანია ვირტუალური საზოგადოება და სოციალური მედია, არა მხოლოდ როგორც ტექნოლოგიური ძალა, არამედ, როგორც კომუნიკაციის ახალი საფეხური, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა საზოგადოების დინამიკა.

## ლიტერატურა:


1. Cameron, Wilcox, Reber and Shin. (2008). Public Relations Today: Managing Competition and Conflict, 1st, Boston: Allyn & Bacon. P.66
2. Д.В. Ольшанский Политическая Психология 55Ст. 2002 Пиитер Москва
3. Crystallizing public Opinionn By Edward L. Bernays LIVERIGHT PUBLISHING CORPORATION NEW YORK
4. Scott M. Cutlip, Allen H. Center, and Glen M. Broom, Effective Public Relations, 9th ed.(Upper Saddle River, NJ: Prentice–Hall, Inc.2006 p. 5
5. [Definitions of Public Relations Handout #1 Accreditation Study Course 2003 Universal Accreditation Board Page p.1-3
6. http://www.prsa.org/AboutPRSA/PublicRelationsDefined/#.U2dDn4GSw9U
7. Public Relations Society of America (2009a)


## SUMMARY


Unlimited possibilities and methods of social relations gives to various companies a possibility of establishing contact with proper segmented audience, which is combined with the media, out of which public relation practitioners receive updated possibilities almost daily. There exists the whole list of PR processes and actions, changes and functions, which give exact result.

Methods are rapidly growing, spreading and changing, but the main goal of communication, to be attractive, remains the same.

# საზოგადოებასთან ურთიერთობა ვირტუალურ რეალობაში

**ქეთევან გოგოძე**
*შპს "კაზინო აჭარა" ოფის მენეჯერი*

ნებისმიერი სფეროსა და საზოგადოების შესახებ მსჯელობისას და განხილვისას, გვერდს ვერ ავუვლით სოციალური მედიის უდიდეს როლსა თუ მნიშვნელობას, ნებისმიერი დარგის არსებობისა და განვითარების პროცესში. დღევანდელმა რეალობამ უკვე არაერთხელ გვიჩვენა, რომ სოციალური მედია უდიდესი ძალაა, რომელსაც წარმოუდგენლად დიდი გავლენა აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. სწორედ ამან გამოიწვია ნებისმიერ დარგში ვირტუალური საზოგადოების, როგორც ტერმინის, დანერგვა.

კომუნიკაციის ახალი ეპოქის დაწყებამ ხელი შეუწყო PR-ის რევოლუციას. რევოლუცია გულისხმობს არა მხოლოდ კომუნიკაციის დამყარების პროცესის მნიშვნელობას და მის სახე ცვლილებას, არამედ თავად კომუნიკაციის ხასიათისა და ბუნების ცვლასაც. ჩამოყალიბდა მრავალი სტრატეგია, მოსაზრება და სქემა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ PR სპეციალისტებმა ვირტუალური სივრცე კონკრეტული მიზნების მისაღწევად სწორად და ეფექტურად.

ვირტუალურმა სამყარომ, სრულიად შეცვალა დღევანდელი ცხოვრების ტემპი და საგრძნობლად დააჩქარა მოვლენების განვითარება. ონლაინ სივრცის გამოჩენა და ვირტუალური საზოგადოების ჩამოყალიბება, PR-ის სფეროში მომუშავე ადამიანებს, მნიშვნელოვნად უცვლის საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმებსა და მუშაობის პრინციპებს. აქ საუბარია არა მხოლოდ ახალი ხერხების, ტაქტიკისა და გამოგონებების, შეთვისებასა თუ განვითა-

რებაზე, არამედ "ახალ PR"-ზე, რომელიც ვირტუალური საზოგადოების არსებობის პირობებში ახალ საფეხურზე გადასვლას გულისხმობს.

ვირტუალური საზოგადოებები არსებობდა სოციალური მედიისა და ზოგადად, ინტერნეტ სივრცის წარმოშობამდეც. მაგალითად, განცხადების დაფების მომსახურებები, რომლებიც დღემდე განაგრძობენ არსებობას. მსგავსი ტიპის ვირტუალური საზოგადოებები იგივე ხასიათითა და თავისებურებებით გამოირჩეოდა, როგორიც სოციალურ მედიაში.

ვირტუალური საზოგადოების წევრებს შორის არსებობს ორი ტიპის, სახის ურთიერთობა: პირველი არის გაგზავნა - განთავსება, და მეორე - რეალურ დროში საუბარი (იგივე Chat-ი).

რა არის ვირტუალური საზოგადოება? ვირტუალური საზოგადოება არის ჯგუფი, რომელიც შედგება იმ ადამიანებისგან, რომლებიც იზიარებენ საერთო ინტერესებს, იდეებსა და უბრალოდ შეგრძნებებს, ინტერნეტის, ან სხვა ერთობლივი გუნდური ქსელების გამოყენებით. პირველი ადამიანი, რომელმაც გამოიყენა და შეიძლება ითქვას, რომ დაამკვიდრა ეს ტერმინი, ჰოვარდ რეინგოლდი გახლდათ. მან შექმნა პირველი მასშტაბური ვირტუალური საზოგადოება სახელით "The Well". წიგნში "The Virtual Community", რეინგოლდი განსაზღვრავს ვირტუალურ საზოგადოებას, როგორც ინტერნეტის მეშვეობით თავშეყრილ ადამიანებს. მისი მოსაზრებით ადამიანები მსგავსი ტიპის საზოგადოებაში ერთიანდებიან საჯარო დისკუსიების გასახანგრძლივებლად, მათთვის საინტერესო თემებზე სასაუბროდ და ადამიანურ განცდებზე დაყრდნობით, პერსონალური ურთიერთობების დასამყარებლად, ვირტუალურ კიბერსივრცეში აყალიბებენ საკუთარ Web-ს.

ვირტუალურმა სივრცემ და ვირტუალურმა საზოგა-

დოებამ გაართულა და ამასთანავე გაამარტივა PR-მუშაობა. ინფორმაცია და კომუნიკაცია, რომელიც სოციალური მედიის საშუალებით ვრცელდება და მყარდება, გამჭვირვალე, მარტივი, ყველასათვის ხელმისაწვდომი და ადვილად გასაკრიტიკებელი გახდა.

სიტყვა ვირტუალურს ლათინური ძირი აქვს (ლათ. virtualis) და შესაძლოს, პოტენციურს, გარკვეულ პირობებში გამოვლენილს ნიშნავს. ტერმინი ვირტუალური სამყარო, ვირტუალური რეალობა ორი ცნების, ვირტუალურისა და რეალობის ერთობლიობაა. შესაბამისად პოტენციურ, შესაძლო რეალობას ნიშნავს. [1]

ვირტუალური რეალობა ეს ის ხელოვნურად შექმნილი გარემოა, რომელიც პროგრამული უზრუნველყოფით და წარდგენის ხელოვნებით მომხმარებელში ბადებს რწმენასა და აღქმას იმისა, რომ ის რეალურია. ვირტუალური რეალობა ეს ტექნოლოგიაა, რომელიც გვეხმარება შევაბიჯოთ კომპიუტერის მიერ შექმნილ სამყაროში. სპეციალური გრაფიკა, ვიდეოგამოსახულება და სტერეოხმა ამ ფანტაზიის სამყაროდ რეალურად აქცევს.

კომპიუტერი იმ მრავალფუნქციურ ტექნოლოგიებს განეკუთვნება, რომელსაც საზოგადოებასთან ურთიერთობის პროფესიონალები დღეს აქტიურად და წარმატებით იყენებენ. კომპუტერული ვირტუალური რეალობა ხუთი ძირითადი გრძნობიდან ორ ძირითად გრძნობაზე, მხედველობასა და სმენაზეა დაფუძვნებული.

ვირტუალური რეალობის ყველაზე პოპულარული განმარტებებში, ვირტუალური სამყარო კონკრეტულ ტექნოლოგიურ სისტემად იშიფრება. სისტემა, რომელიც ქმნის რეალურ დროში არსებულ ანიმაციას. გთავაზობთ VR-ის (Virtual Reality) შემდეგ განმარტებებს :

”ვირტუალური რეალობა, არის ელექტრონული სიმულაციების ერთობლიობა, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, რეალისტურ სამ-განზომილებიან სივრცესთან დაამყაროს ურთიერთობა.” [2]

”ვირტუალური რეალობა არის კომპიუტერული გამოსახულებებით შექმნილი ალტერნატიული სამყარო, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანების მოთხოვნილებებს”. [3]

”ტერმინი ვირტუალური სამყარო, ვირტუალური კაბინა და ვირტუალური სადგურები, კონკრეტული პროექტების აღმნიშვნელი სიტყვები გახლდათ. 1989 წელს, ჯაარონ ლანიერმა, კომპანია VPL-ის დირექტორმა, თავისი ყველა პროექტის ერთი რუბრიკის ქვეშ გასაერთიანებლად, გამოიყენა ტერმინი ვირტუალური რეალობა, რის შემდეგაც ამ ორი სიტყვის ერთობლიობა სამგანზომილებიანი რეალობის აღმნიშვნელ ტერმინად გამოიყენება”._[4]

სამივე განმარტებაში ვირტუალური რეალობა განიხილება, როგორც იმიტირებულ გარემოში შექმნილი სამყარო, თუმცა ვირტუალურ რეალობასა და სივრცეს მრავალმხრივი დატვირთვა აქვს. ის შეგვიძლია ისევე გამოვიყენოთ გასართობად, სათამაშოდ, მუსიკის მოსასმენად თუ ფილმების სანახავად, როგორც სერიოზული პროგრამებით სარგებლობისთვის, რომლებიც ასწავლიან მაგალითად ქირურგებს, თუ როგორ წარმართონ უსაფრთხოდ ოპერაცია, ავარჯიშებენ პროფესიულ მფრინავებს, იყენებენ საოფისე ან ინდუსტრიულ სფეროში და ასე შემდეგ. კომპიუტერული სამყარო არის იმდენად უზარმაზარი ზომის, რამდენადაც მიკროსკოპულად პატარა.

ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, სანამ ინტერნეტი და ვირტუალური სივრცე შეიქმნებოდა ვოლტერ ლიპმანმა თქვა : ”რეკლამის მუშაობა მაშინ იქნება იდეალური, როდესაც ნებისმიერ ადამიანს, ნებისმიერი ადგილიდან შეეძლება

დაინახოს და გაიგოს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მიმდინარე მოვლენები". [5]

ფაქტია რომ ის, რაზეც ლიპმანი საუბრობდა, ზუსტად აღნიშნავს ინტერნეტის ფუნქციურ არსსა და მის დანიშნულებას დღეს. რეკლამის მუშაობაც იმაზე უფრო მეტად განვითარებული და წარმატებულია, ვიდრე ინტერნეტ სივრცის არსებობამდე იყო და ნელ-ნელა სწორად იმ "იდეალურობამდე" მივედით, რაზეც მრავალი წლის წინ გვესაუბრებოდა ლიპმანი.

ინტერნეტი და ვირტუალური სივრცე საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, სხვადასხვა სახის კომუნიკაციის საშუალებას აძლევს. დღეს აღარ არსებობს გეოგრაფიული, ადგილის ან დროის შეზღუდვა. უკუკავშირი ინტერნეტმა სწრაფი და მყისიერი გახდა, სივრცე ინფორმაციულად შეუზღუდავია და ნაკლებ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ინტერნეტი მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში აღწევს და ინფორმაცია გლობალურად ვრცელდება.

## ლიტერატურა:


1. Defining Virtual Reality: Dimensions Determining Telepresence Jonathan Steuer Department of Communication, Stanford University October 15, 1993 P 3.
2. Coates, G. (1992). Program from Invisible Site—a virtual sho, a multimedia performance work presented by George Coates Performance Works, San Francisco, CA, March, 1992
3. Greenbaum, P. (1992, March). The lawnmower man. Film and video, 9 (3), P. 58-62
4. Krueger, M. W. (1991). Artificial reality (2nd ed.). Reading, MA: Addison-Wesley.P. 13

First impressions: US media portrayals of public relations in Timothy Penning School of Communications, Grand Valley State University, Allendale, Michigan, USA – p

## SUMMARY

Online media development and virtual PR is already experienced praxis all over the world. Online Media in Georgia in not as developed in comparison to the rest of the world, but nowadays social media already started competing with the print media.

During daily routine work computer is not only used as specific business action instrument, it is an information source and also most rapid and diverse tool of spreading the information.

# ბიზნესის ეთიკა, კულტურა და სოციალური პასუხისმგებლობა

**იუნონა მარგალიტაძე**
*საქართველოს ტექ. უნივერსიტეტის*
*ასოც. პროფ.*

ბიზნესი, როგორც რეალური ეკონომიკური მოვლენა, საზოგადოების ისტორიის გარიჯრაჟზე იშვა, მაგრამ თვით ტერმინი „ბიზნესი“ სამეცნიერო და სამეურნეო ბრუნვაში შემოვიდა XVIII საუკუნეში, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად.

არსებობს გამოთქმა „ბიზნესი არ უნდა აკეთო მაკიაველის პრინციპებით“! ეს ნიშნავს, რომ ბიზნესმენის მიერ მიზნის მიღწევა (მოგების მაქსიმიზება) არ უნდა ხდებოდეს დაუშვებელი ხერხებით და მეთოდებით: მოტყუებით, ვერაგობით, კოლექტივის, მომხმარებლის, სახელმწიფოს და მთლიანად საზოგადოების წინაშე უპასუხისმგებლობით. თუ ბიზნესმენი, მეწარმე, მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ფიქრობს და ბიზნესის სხვა მონაწილეების და საზოგადოების წინაშე არანაირ პასუხისმგებლობას არ კისრულობს, **სახეზეა ეგოისტური ქცევა,** რომელიც ველური კაპიტალიზმისთვის იყო დამახასიათებელი და რომელსაც თანამედროვე ბიზნესში მომავალი არა აქვს. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მეწარმე საკუთარ ინტერესებს ივიწყებს და სხვებზე ზრუნავს, **სახეზეა ალტრუისტული ქცევა,** ანუ მეორე უკიდურესობა. საჭიროა შეირჩეს ოქროს შუალედი, რომელიც ბიზნესის სხვა მონაწილეების (მომხმარებლები, პარტნიორები, დაქირავებული მუშაკები, სახელმწიფო) მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და საბაზრო წესების დაცვის საფუძველზე მაქსიმალურ მოგებას გულისხმობს.

სწორედ ამგვარი, ეთიკური, პრაგმატული და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის ქცევა დომინირებს თანამედროვე ბიზნესში და სწორედ ამ შემთხვევაში თანამშრომლობენ ბიზნესთან ხელისუფლების ადგილობრივი თუ ცენტრალური ორგანოები.

ზოგადად, ეთიკა გვეხმარება იმის შეცნებაში, თუ რა უნდა ვაკეთოთ და რისგან შევიკავოთ თავი. „ეთიკის“ ცნებაში იგულისხმება ადამიანის სხვა ადამიანებთან ზნეობრივი, წესიერი ურთიერთობა. „სხვა ადამიანებში“ იგულისხმება არა მარტო უკვე დაბადებულები, არამედ ჩვენგან წასულებიც და ისინიც, ვინც მომავალში დაიბადება.

მაგალითად, გარემოსთვის დღეს მიყენებული ზარალი, ან უცხოელებზე მიწის ნაკვეთების მიყიდვით გატაცება, თავის უარყოფით გავლენას მოახდენს მომავალი თაობების სასიცოცხლო სივრცეზე, მათ ზრდა-განვითარებაზე. იგივე შეიძლება ითქვას ქვეყნის ვალების შესახებაც. კერძოდ, დღეს არსებული და დროზე დაუბრუნებელი ვალები, რომლებიც გარკვეულ ზღვარს გადასცილდა, მომავალი თაობების გასასტუმრებელი გახდება. ეს კი ეკონომიკურთან ერთად ეთიკურ პრობლემასაც წარმოქმნის.

თუ მეწარმეობას ეთიკა და მორალი მოსცილდა, იგი არ განვთარდება, ან თუ განვითარდება - არაცივილიზებული მიმართულებით.

კონკრეტულად, **ბიზნეს-ეთიკა არის** საბაზრო თამაშების წესების (ეკონომიკური კანონები, სამართლებრივი, ეთიკური ნორმები და პროგრესული ეროვნული წეს- ჩვეულებანი) მიხედვით განხორციელებული საქმიანობა მოგებისთვის.

**სამეწარმეო კულტურა** კი ეთიკური საქმიანობის მდიდარი ისტორია და ტრადიციაა. ჩვეულებრივ, მდიდარი სამეწარმეო კულტურის ქვეყნებში საზოგადოება არა მხოლოდ

კეთილგანწყობილია მეწარმის მიმართ, არამედ მისი მნიშვნელოვანი ნაწილისთვის განსაკუთრებულ ფასეულობასაც წარმოადგენს.

**სოციალური პასუხისმგებლობა კი,** კანონის გზით მოგების მიღებისა და გადასახადების გადახდასთან ერთად, გულისხმობს საჭირბოროტო ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში მეწარმეთა ნებაყოფლობით მონაწილეობასაც. ამგვარი ქცევით ბიზნესი სახელმწიფოს პარტნიორი ხდება და ხელისუფლების ადგილობრივი, თუ ცენტრალური ორგანოებიც ხალისით მოდიან მასთან თანამშრომლობაზე.

ცხადია, ასეთ მრვალფეროვანი ინტერესების რეალიზება ერთობ რთულია და ზოგჯერ შეუძლებელიც. საქმე ისაა, რომ შექმნილი დოვლათი იურიდიულად მთლიანად ბიზნესმენს (მეპატრონეს) ეკუთვნის. ეკონომიკური თვალსაზრისით კი დოვლათის შექმნაში მონაწილეობს ბიზნესის ყველა სუბიექტი და, სავსებით ბუნებრივად, თითოეულს აქვს პრეტენზია თავის წილზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, ბიზნესის წარმატებები დიდადაა დამოკიდებული მის მონაწილეთა ინტერესების ჰარმონიზაციაზე, ე. ი. იმაზე, თუ რამდენად არის მიღწეული კონტრაგენტთა ინტერესების ურთიერთშეხამება და ბიზნესის დინამიური წონასწორობა, ანუ რამდენადაა სახეზე გუნდური მუშაობის პრინციპი. ამ საქმეში კი მთავარი ფიგურა ბიზნესმენია.

სამწუხაროს, საქართველოში ჯერ კიდევ დაბალია სამეწარმეო ეთიკა, კულტურა და სოციალური პასუხისმგებლობა. ხშირია შემთხვევები, როცა მეწარმე არ გადის რეგისტრაციას, არ იხდის გადასახადს სახელმწიფო ხარჯების (ხელფასების, სტიპენდიების და სხვათა) დასაფინანსებლად, უშვებს ფალსიფიცირებულ, ეკოლოგიურად უსუფთაო პროდუქციას, იტყუება ზომა-წონაში, ეწევა უმცირესობისა და

ინვალიდების დისკრიმინაციას, აბინძურებს გარემოს და მრავალი სხვა. სუსტი პროფკავშირების გამო განსაკუთრებით დაუცველია დაქირავებული მუშაკი. ხშირად დამქირავებლის მხრიდან არ გაითვალისწინება შრომის მავნე და მძიმე პირობები; არ ანაზღაურდება ზეგანაკვეთური სამუშაო დრო; იდება ორკვირიანი, ერთთვიანი კონტრაქტები, რომლებიც დამქირავებლის მხრიდან თვითნებურად ირღვევა, უქმდება სრულიად უმნიშვნელო მიზეზის გამო. ოფიციალური სტატისტიკით. საქართველოში დაქირავებით მომუშავეთა 32% არის ღარიბი ანუ იღებს არსებობისთვის არადამაკმაყოფილებელ შემოსავალს. უფრო მარტივად, ხელფასი საარსებო მინიმუმზე ნაკლებია და თვიდან თვემდე არასაკმარისია. ამას ემატება 20%-იანი საშემოსავლო გადასახადი, რაც კიდევ უფრო ამცირებს მოთხოვნას და კიდევ უფრო აფერხებს მცირე ბიზნესის განვითარებას. განსაკუთრებით დაუცველია თვითდასაქმებული. მაგალითად, თვითდასაქმებული ქალი (ბაზარში ან ბაზრობაზე მომუშავე) მოკლებულია სადეკრეტო შვებულებას. თვითდასაქმებულთა ამგვარი დაუცველობა მათში ბადებს არასრულფასოვანი მოქალაქის განცდას თავისი თანამდევი უარყოფითი ეფექტებით.

ყოველივე ამის გამო მოსახლეობის არც თუ მცირე ნაწილი ჯერაც ეჭვის თვალით უყურებს მეწარმეთა ფენას და მათი საქმიანობის შედეგებს. ამგვარ სოციალურ გარემოში კი ბიზნესის განვითარება ძნელდება. საჭირო იქნება არც თუ ცოტა წლები და ძალისხმევა საქართველოში ცივილიზებულ მეწარმეთა მისაღებად.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებაში თავისი წვლილის შეტანა შეუძლია კონსიუმერიზმს - მოძრაობას მომხმარებელთა (უფლებების) ინტერესების დასაცავად, რომელსაც საფუძველი დაედო 1966 წელს. დღეს კონ-

სიუმერიზმით მოცულია მთელი ამერიკა. კონსიუმერიზმი მეწარმეთაგან მოითხოვს სამ უფლებას:

1. მომხმარებელთა ინფორმირებულების უფლებას;
2. მომხმარებელთა უსაფრთხოების უფლებას;
3. მომხმარებელთა ცხოვრების ხარისხის დაცვის უფლებას.

კონსიუმერიზმი გავლენას ახდენს ბიზნესზე და ქვეყნის მთავრობაზე. მომხმარებლები ამ ორგანიზაციული ჯგუფის წყალობით უკვე მარტონი აღარ არიან უწესო ბიზნესმენებთან წინააღმდეგ ბრძოლაში. ყოველი მეწარმე იძულებულია ანგარიში გაუწიოს მას. სწორედ კონსიუმერიზმმა განაპირობა სოციალურ-ეთიკური მარკეტინგის ჩამოყალიბება. მომხმარებელთა მოთხოვნის გათვალისწინება კი, როგორც ვიცით, როგორც ბიზნესის, ასევე მარკეტინგის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა.

ამგვარად, თანამედროვე ბიზნესის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია საქმიანი ეთიკა, კულტურა და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა მომხმარებლების, კომპანიების, სახელმწიფოს და მთელი საზოგადოების წინაშე. აქედან გამომდინარე, მეწარმემ მოგებისკენ სწრაფვისას, ბიზნესის ყველა მონაწილესთან (კრედიტორი, ინვესტორი, მომხმარებელი, სახელმწიფო, პარტნიორი) და დაინტერესებულ ადამიანთა ჯგუფებთან საქმიანი ურთიერთობები უნდა ააგოს ურთიერთსარგებლიანობის, ეთიკური ნორმების და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის დაცვის პრინციპებით. თანამედროვე პირობებში მხოლოდ ამ კრიტერიუმების დაცვითაა შესაძლებელი ბიზნესი გახდეს სოციალურად წარმატებული

**საკვანძო სიტყვები:** ბიზნესი, მეწარმე, ეთიკა, კულტურა, სოციალური პასუხისმგებლობა, კონსიუმერიზმი, თვითდასაქმებული.

## ლიტერატურა


1. შუბლაძე გ. ბიზნესის საფუძვლები, თბილისი. 2000წ.
2. ძნელაძედ. ძნელაძე ლ. ბიზნესი, ორგანიზაცია და მართვა, თბილისი. 1999წ.
3. სამადაშვილი უ. ბიზნესი ყველასათვის, თბილისი. 2008წ.
4. დევიდ ქემბელი ბიზნესი არაბიზნესის სპეციალობის სტუდენტებისთვის, თბილისი. 2001წ.


## SUMMARY


Business ethics and high social responsibility towards consumer, organization, government and society as a whole are the most important components of modern business. Thus, business owner, while striving for profit, should build working relationship with all participants of business and interest groups (creditor, investor, consumer, partner and government) based on mutual benefit, ethical norms and high sense of social responsibility. In present world, business can become socially successful only by following above mentioned criteria.

# სარჩევი

## სამართალი

**ზაურ ჯინჯოლავა** ..... **3**
*იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*
საქართველოს პრეზიდენტის კომპეტენცია

**ჯ. ბაბილაშვილი** ..... **13**
*სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
მტკიცებულების ახალი სტანდარტები სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში

**ირმა მერებაშვილი** ..... **43**
*სამართლის დოქტორი, პროფესორი*
სასამართლოთა უწყებრივი ქვემდებარეობის საზღვრების შეზღუდვა

**ედუარდ ფეიქრიშვილი** ..... **52**
*სოციალურ და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორანტი*
პოლიტიკის მოკლე განსაზღვრება

## მედიცინა

**ხათუნა ტვილდიანი** ..... **57**
*მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ექიმი-სტომატოლოგი*
კალციუმის ჰიდროქსიაპატიტი, მის ფუძეზე დამზადებული ბიოლოგიურად აქტიური რეგენერატები და მათი როლი თერაპიულ სტომატოლოგიაში

**მარინე აბულაძე** ..... **64**
*სტომატოლოგიური სამკურნალო და სარეზიდენტო პროგრამების ცენტრის ხელმძღვანელი, ექიმი-სტომატოლოგი*
სტომატოლოგიური მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის პერსპექტივები საქართველოში

**ლედი გაჩეჩილაძე[a], ნოდარ ჭიჭინაძე[a, b], კონსტანტინე ჭიჭინაძე[c, d, *]** ..... **73**
*[a] Tbilisis damoukidebeli universiteti "gorgasali" [b] ა. ნათიშვილის*

*მორფოლოგიის ინსტიტუტი [c] ი. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი [d] ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
ცხოველთა ქცევის ადრეული ნეიროქიმიური პრედიქტორების შეფასების ახალი მეთოდი
**ნ. ნადარაია, მ. კახაბრიშვილი, ნ. ბარბაქაძე, ე. ონაშვილი .....86**
*თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი*
5α-ანდროსტ-2-ენ-17-ონის წარმოებულების სინთეზი და ბიოლოგიური კვლევა
**მარინა შაქარაშვილი, ლელა დოლიშვილი.....90**
*მედიცინის მეცნიერებათადოქტორი, პროფესორი*
გენმოდიფიცირებული პროდუქტები საქართველოში
**ხათუნა კუდავა[1], თინა ქიტუაშვილი[2].....98**
*[1]მედიცინის დოქტორი, კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრის დერმატო–ვენეროლოგი,*
*[2]კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრის დირექტორი სამეცნიერო–სასწავლო დარგში, ასოცირებული პროფესორი.*
ალერგიული რეაქციები თავის თმიანი არის მიკოზების დროს
**ზურაბ ქუთათელაძე.....103**
*დოქტორი, პროფესორი*
„ჰომოფობია“ - პირველი ნაბიჯი ოთხსაფეხურიანი უფსკრულისაკენ

## ეკონომიკა

**ლერი ნოზაძე .....113**
*ასოცირებული პროფესორი*
პროდუქციის კონკურენტუნარიანობა
**ვაჟა კაკაბაძე .....125**
*ეკონომიკის დოქტორი, ინჟინერ-გეოლოგი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპოდენტი.*
კორპორაციული მმართველობის კონცეფციების არსი და მისი განვითარებისისტორია

**ქეთევან გოგოძე** .....137
*შპს "კაზინო აჭარა" ოფის მენეჯერი*
საზოგადოებასთან ურთიერთობის კონცეფცია
**ქეთევან გოგოძე** .....141
*შპს "კაზინო აჭარა" ოფის მენეჯერი*
საზოგადოებასთან ურთიერთობა ვირტუალურ
რეალობაში
**იუნონა მარგალიტაძე.** .....148
*საქართველოს ტექ. უნივერსიტეტის ასოც. პროფ.*
ბიზნესის ეთიკა, კულტურა და სოციალური
პასუხისმგებლობა

გამომცემლობა „**უნივერსალი**"
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge